



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ზაფხული
პიონერული

ISSN 0130 1624

# დროშა

ივლისი
№ 7 1983 წ.



ხორბლის კარგი მოსავლით ხარობს კოლმეურნე დავით ზურაბაშვილი (სიღნაღის რაიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტია-ჩვენი მესაჭე



პარტიის II ყრილობამ დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში და ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის არსებობას. „ლენინური პარტიის შექმნა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავის შესახებ“, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო, რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის შემობრუნების პუნქტი გახდა“.

პირველად ყრილობის მოწვევა ბრიუსელში იყო გათვალისწინებული. აქ ჩატარდა მისი პირველი სხდომები (13 სხდომა). იმ დროისათვის ბრიუსელში ცხოვრობდა კოლცოვი — ძველი პლეხანოველი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ყრილობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ყრილობამ შემდეგ ლონდონში გააგრძელა მუშაობა.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რუსეთის 26 სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ყრილობას 43 დელეგატი ესწრებოდა 51 გადამწყვეტი ხმით, 14 დელეგატს სათათბირო ხმა ჰქონდა. ყრილობის წესდების შესაბამისად, თითოეულ სრულუფლებიან ორგანიზაციას ეძლეოდა ორი ხმა, იმის მიუხედავად, რამდენი დელეგატი ყავდა გაგზავნილი ყრილობაზე — ორი თუ ერთი. ყრილობა მიმდინარეობდა 1903 წლის 17 (30) ივლისიდან 10 (23) აგვისტომდე. ყრილობა გახსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ვეტერანმა გიორგი პლეხანოვმა. დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მისი შესავალი სიტყვა, რომელშიც აღინიშნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმატებები.

II ყრილობა არსებითად დამფუძნებელი იყო. პირველ ყრილობაზე მიიღეს მხოლოდ პარტიის სახელწოდება და მანიფესტი მისი შექმნის შესახებ. II ყრილობამდე პარტიას არც პროგრამა ჰქონდა და არც წესდება. გაზეთ „ისკრის“ რედაქციამ მოამზადა პარტიის პროგრამის პროექტი, იგი გულდასმით განიხილებოდა რედაქციაში, იხვეწებოდა მისი ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა.

თავისი შემადგენლობით ყრილობა ერთგვაროვანი არ იყო. სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ ფრთას მიეკუთვნებოდნენ, უწინარეს ყოვლისა, ბუნდის (ებრაელ სოციალ-დემოკრატთა კავშირი) და „რაბოჩეე დელოს“ წარმომადგენლები, რომლებიც „ისკრის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მეორე ჯგუფს ეკუთვნოდნენ „იუჟნი რაბოჩის“ მიმდევრები. ისინი სიტყვიერად აღიარებდნენ „ისკრას“ ხელმძღვანელ ორგანოდ, ხოლო საქმით პრინციპულ საკითხებში მერყეობდნენ. ყრილობის მსვლელობაში ნათლად გამოიკვეთა შემდეგი დაჯგუფებები: ისკრელები, რომელთაც 33 ხმა ჰქონდათ, აქედან 24 ხმა ჰქონდათ მტკიცე ისკრელებს, ხოლო 9 ხმა მერყევ, ე. წ. „რბილ ისკრელებს“, რომლებიც მარტოვს მიჰყვებოდნენ. მათ ვ. ი. ლენინი „პატარა ოპორტუნისტებს“ უწოდებდა. „ისკრის“ აშკარა მოწინააღმდეგეებს — „დიდ ოპორტუნისტებს“ ჰქონდათ 8 ხმა (სამი „ეკონომისტი“ და ხუთი ბუნდელი). დანარჩენი 10 ხმა ჰქონდათ ცენტრისტულ ელემენტებს, რომლებიც ე. წ. „ჭაობს“ მიეკუთვნებოდნენ. ასეთი არაერთგვაროვანი შემადგენლობის გამო, ყრილობა შეუძლებელი იყო, არ გამხდარიყო ოპორტუნისტებთან მძაფრი ბრძოლის ორგანო.

ყრილობაზე აუცილებელი იყო პარტიის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის ძირეული საკითხების გადაწყვეტა. სწორედ ამით განისაზღვრებოდა ყრილობის დღის წესრიგიც: „ბუნდის“ ადგილი პარტიაში, პროგრამა და წესდება, პარტიის რაიონული და ეროვნული ორგანიზაციები, შინაპარტიული მუშაობის საკითხები, ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური ორგანოსა და პარტიის საბჭოს არჩევნები და ა. შ.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მონაწილეობდა ყრილობის ყველა მნიშვნელოვან რეზოლუციისა და პროექტის მომზადებაში, არჩეული იყო სამანდატო, საპროგრამო და საწესდებო კომისიებში, გამოდიოდა მოხსენებით პარტიის წესდების შესახებ და სიტყვებით სხვადასხვა საკითხების განხილვისას. ყრილობის ოქმებში ფიქსირებულია ლენინის ასზე მეტი გამოსვლა, რეპლიკა და შენიშვნა.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო ბუნდის საკითხის განხილვას. პირველ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბუნდი პარტიის ავტონომიურ ნაწილად ცხადდებოდა. ვინაიდან პარტია, როგორც მთლიანი ორგანიზაცია, ჯერ კიდევ არ იყო, ბუნდიც განაგრძობდა განცალკევებულ არსებობას. რსდმპ II ყრილობაზე ბუნდმა მოითხოვა ამ განკერძოებულების დაკანონება პარტიასთან ფედერაციული ურთიერთობის დამყარების გზით. „ისკრის“ რედაქცია მხარს უჭერდა მუშათა კლასის ინტერნაციონალურ შეკავშირებას, ხოლო ბუნდი ეროვნულ განკერძოებულებას.

საკითხი ბუნდის შესახებ დეტალურად განიხილებოდა ყრილობაზე. იგი „ისკრის“ სულისკვეთებით გადაწყდა. ყრილობამ უკუაგდო ბუნდის პრეტენზიები.

ყრილობის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი პროგრამისა და წესდების განხილვამ დაიკავა. ლენინსა და მის მომხრეებს მძაფრი ბრძოლის გადატანა მოუხდათ ბუნდელების, „ეკონომისტების“ და სხვა ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ. ოპორტუნისტებთან ბრძოლაში ვ. ი. ლენინი მტკიცედ იცავდა პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნას და პროგრამაც ამავე სულისკვეთებით მიიღეს. ეს იყო რუსი მარქსისტების დიდი თეორიული მუშაობის შედეგი, რომელმაც სერიოზულად გაამდიდრა მარქსიზმი მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებით ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად. პროგრამა ზრდიდა პროლეტარიატს ძალაუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით.

წესდების, განსაკუთრებით კი მისი პირველი პარაგრაფის განხილვისას პარტიის წევრობის შესახებ — გამოვლინდა ორი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (559) ივლისი. 1983

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1983 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ხახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფიფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, შოთა ჯაფარიძე.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვეთრად განსხვავებული მიდგომა საკითხისადმი. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ პარტიის წევრად შეიძლება იყოს ის, ვინც აღიარებს მის პროგრამას და მხარს უჭერს პარტიას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის მუშაობაში. მარტოვის მიხედვით, პარტიის წევრად უნდა ჩათვლილიყო ყველა, ვინც აღიარებდა პროგრამას, მხარს დაუჭერდა პარტიას მატერიალური საშუალებებით და აღმოუჩენდა რეგულარულ პირად ხელშეწყობას.

ამრიგად, პარტიის წევრობის განსაზღვრისას, ლენინი მოითხოვდა პირად მონაწილეობას მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ხოლო მარტოვი წინადადებას აყენებდა, „რეგულარული პირადი ხელშეწყობის" შესახებ. ამით იგი პარტიის კარს ულებდა ნებისმიერ მოქალაქეს, ყოველი გაფიცულიდან — ბურჟუაზიულ ელემენტებამდე.

ოპორტუნისტთა გაერთიანების შედეგად — აკიმოვიდან ტროცკამდე, ყრილობამ 28 ხმით, 22-ის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა, მიიღო წესდების პირველი პარაგრაფი მარტოვის ფორმულირებით. ეს იყო ოპორტუნისტების დროებითი გამარჯვება. ორიოდე წლის შემდეგ პარტიის III ყრილობამ უარყო მარტოვის ფორმულირება და დაამტკიცა ლენინის ფორმულირება.

რსდმპ II ყრილობაზე დელეგატების უმრავლესობა მტკიცედ უჭერდა მხარს ლენინურ ხაზს. უმრავლესობის მხარდაჭერით ყრილობამ დაამკვიდრა პარტიაში ლენინური პრინციპების გამარჯვება. ამიერიდან ლენინის მომხრეებს, რომლებმაც პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებში უმრავლესობა მოიპოვეს, ბოლშევიკები უწოდეს, ხოლო მოწინააღმდეგეებს — მენშევიკები. სიტყვა „ბოლშევიკი" თანმიმდევრული მარქსისტი-რევოლუციონერის სინონიმი გახდა.

რსდმპ II ყრილობის ძირითადი შედეგი ისაა, რომ აქ დამთავრდა რევოლუციური, მარქსისტული ორგანიზაციების გაერთიანების პროცესი და შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ბოლშევიკების პარტია. „ბოლშევიზმი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს" (თხზ. ტ. 31, გვ. 9).

მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული ბოლშევიკების პარტია სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების განმათავისუფლებელ ბრძოლას რუსეთის სამ რევოლუციაში და მშრომელი მასები ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციამდე მიიყვანა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიის წინაშე დაისახა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მშენებლობისა და დაცვის ამოცანები. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც გაანადგურეს შინაგანი კონტრრევოლუცია, საერთაშორისო იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალები და გამარჯვებით დაამთავრეს სამოქალაქო ომი, გაჩაღეს ჭეშმარიტად ტიტანური საქმიანობა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. ქვეყანაში განხორციელდა ძირეული გარდაქმნები: სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობის მთავარი შედეგი გახდა სსრ კავშირში განვითარებული სოციალიზმის აშენება. ჩვენს დროში პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმიანობის ძირითადი შინაარსია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, რის შედეგადაც მოხდება თანდათანობითი გადასვლა კომუნიზმზე.

სკკპ XXVI ყრილობამ განსაზღვრა მეთერთმეტე ხუთწლედისა და მთლიანად 80-იანი წლების ამოცანები. პარტიის ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მისი ინტენსიფიკაციის კურსის განხორციელება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, პლენუმზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში მოცემულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის ღრმა ანალიზი, ნაჩვენებია რეზერვები, დასახულია მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის გზები, ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომისნაყოფიერებას, რომელიც ვ. ი. ლენინის თქმით, საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. დასახულია ამოცანა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება სამრეწველო და სასურსათო საქონელზე. უნდა დაჩქარდეს მუშაობა ეკონომიკის ხელმძღვანელობის ყველა სფეროს — მართვის, დაგეგმვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი ამბობდა: „ქვეყნის წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას. ამიტომ პარტია ნიადაგ უნდა სრულყოფდეს საკუთარი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს".

საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნაცად ავანგარდად, მათი სასიცოცხლო ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველად. ამიტომ, ისინი მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აქტიურად, თავდადებით იბრძვიან მისი რეალიზაციისათვის.

ალექსანდრე მუჯირი,
პროფესორი.



## გადასვლა გოდერძის უღელტეხილით მესხეთიდან — მაიაკოვსკამდე

წინ რომ მელოდა ბევრი სიახლე,
ამას წინასწარ ვგრძნობდი გუმანით,
შორს გაზაფხულის დარჩნენ ნიადვრებს
ადიგენი და აბასთუმანი!
ხალისით სავსე ჩემი თვალები
ხედავდნენ ვაჟას ღვიას და დეკას,
ისე ავმაღლდით, რომ მწვერვალების
თითქოსდა ფეხქვეშ ვიგრძენი დრეკა!
ხმობდა მაისი ქეთილ ფერიებს,
მეგონა, ყველა ოცნება ახდა,
მერე მაღლიდან გადავერიეთ
მაიაკოვსკის ნააკვნარ ბაღდადს!
ქვეშ ხანისწყალის ზურმუხტის ხარკეს
მზე აქანებდა ცელქი ბავშვივით,
მხურვა ჩიტივით გაფრენა ცალკე
იმხელა სივრცე იყო გაშლილი!
დაბინდულ მთების ერთი შეხედვით
ჩნდებოდა აზრი მათთან დარჩენის,
უკლებლივ ყველა, გზაზე შემხვედრი,
მეხალმებოდა აწვდილ მარჯვენით!
ხაირმის ქედზე ირმების ყვირილს
უერთდებოდა ორბის ყივილი,
და გაზაფხული, რძით სავსე პირით,
დაბაჩუნობდა მოლზე ჩვილივით!
ჩანჩქერი ქვებზე დუღდა რძესავით,
მზით — ხანძარივით მოგიზგიზეთი,
და რომ არავინ ჩანდა მკვნესარი —
ეს იყო ჩემი ლხენის მიზეზი!
მეც მოწყურებულს ვგავდი ხარირემს,
მიხმობდნენ სველი ჭურისთავები,
და მერე როცა ღვინოც დავლიე
აზურმუხტებულ ქედებს გავები!
ცხადად ვიგრძენი: ამ მიწის მადლი
მართლა ყოფილა სიმღერის ფუძე,
და შენაც უნდა ეძებო ხანთლით,
რაც საუკუნო გამოცდას უძლებს!
რაც არ გახვენებს ცხადში და ძილში,
მას ვერ გადეწავს ხაწუთრის ძვრა,
გიცდის მამულის დიდების დირხე
სიტყვა გაზივით გამძლე და ბევრი!

ნუგზარ წერეთელი

# ვლადიმერ მაიაკოვსკი 90

სახელი მისი მშობლიურია ყველა ჩვენგანისთვის.

90 წლის წინათ ქართულ მიწაზე დაიბადა მომავალი პოეტი — ტრიბუნი რევოლუციისა.

წლები გადიან, მოვლენები იცვლებიან, მაგრამ თავისი ცხოველმყოფელი ძალა როდი აკლდება მაიაკოვსკის შემოქმედებას. პირიქით: რაც უფრო ვშორდებით პოეტის დაბადების თარიღს, მით უფრო ახლობელი ხდება ეს შემოქმედება მილიონობით ადამიანთათვის პლანეტის ყველა კონტინენტზე.

გამოჩენილი საბჭოთა პოეტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ეგორ ისაევი, „პრავდის“ ფურცლებზე, მისთვის ჩვეული მგზნებარებით გვარწმუნებს, რომ რუსული პოეზიის ყველაზე დიდი მწვერვალები არიან: პუშკინი, ნეკრასოვი, მაიაკოვსკი, რომ პუშკინი ეს არის დეკაბრიზმი, ნეკრასოვი — რევოლუციური დემოკრატები, ხოლო მაიაკოვსკი — სოციალისტური რევოლუციის ეპოქა...

ეს მაღალი შეფასება ძახილია დროისა, კიდევ ერთი აღიარება ვლადიმერ მაიაკოვსკის განუზომელი დამსახურებისა რევოლუციის, საბჭოთა ხალხის, რუსული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. სწორედ ამ ლიტერატურის მშვენებას წარმოადგენენ მისი ლირიკული შედევრები, პოემები „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, „კარგია“, „მთელი ხმით“, უმძაფრესი სატირული ნაწარმოებები, მათ შორის პიესები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გასული წლის ბოლომდე მაიაკოვსკის წიგნები 1.198--ჯერ გამოიცა სსრ კავშირსა და უცხოეთის ქვეყნებში, 144 მილიონი ტირაჟით, 84 ენაზე.

ეს ციფრებიც განა თავისთავად არ მეტყველებენ იმ უსაზღვრო პოპულარობაზე, რითაც სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს პოეტი მკითხველთა ფართო მასებში!

ბუნებრივი იყო მაიაკოვსკის ეს პოპულარობა და რეზონანსი, მაგრამ ბუნებრივი იყო ისიც, რომ იგი თავის შემოქმედებითს გზაზე აწყდებოდა გააფთრებულ წინააღმდეგობას იმ ადამიანებისას, რომელთათვისაც უცხო და გაუგებარი იყო მაიაკოვსკის ენა — რევოლუციური ხალხის ენა; არ ესმოდათ, რარიგ ღრმად იყო დაკავშირებული მაიაკოვსკი სულ კლასიკურ პოეზიასთან: არ უწყოდნენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის ტრადიციას საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურისათვის.

გამოჩენილი საბჭოთა მწერლის, სოციალისტური შრომის გმირის ანატოლ სოფრონოვის მოწმობით, რევოლუციის მომღერალს „რაპელობას“ სწამებდნენ. და ეს მაშინ, როცა იგი სიკვდილამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე მიიღეს „რაპის“ რიგებში...

პოეზიის ამ ჭეშმარიტად სახალხო ზეიმზე — მაიაკოვსკის საიუბილეო დღეებში უნებურად გვაგონდება ის მძიმე ატმოსფერო, რომელშიც უხდებოდა შემოქმედებითი შრომა და განუწყვეტელი ბრძოლა პოეტს. მისი მტრები არ ერიდებოდნენ არავითარ ცილისწამებას, შხამიან ისრებს ესროდნენ მის მგრძნობიარე გულს...

ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ის, ვისაც თავისი სიმართლითა და შორსმჭვრეტელობით უნდა გაემარჯვა: მაიაკოვსკი. პოეტური სიტყვის კეთილშობილი რაინდი, როგორც ცოცხალი, დგას თავისი ხალხის მხარდამხარ და მასთან ერთად აშენებს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს.

მაიაკოვსკიც უკვდავია და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

პოეტმა თავის მოკლე ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „მე-თვითონ“ ყველას გასაგონად განაცხადა: **„...სამშობლო-სოფელი ბაღდათი, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“**. სხვაგანაც არაერთხელ გაიხსენა თავისი „ქართველობა“.

დიახ, პოეტს უყვარდა ქართული მიწა, სადაც დაირწა მისი აკვანი, ის მხარე, სადაც პირველად იგრძნო სუნთქვა მოახლოებული ძლევამოსილი რევოლუციისა, საქართველოს დედაქალაქი, სადაც მას ბევრი პირადი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა. რა თქმა უნდა, ამ ნაცნობთაგან ან თუნდაც მეგობართაგან ყველა როდი ჩაითვლება მაიაკოვსკის მიმდევრად.

...საბჭოეთის ყოველი მოქალაქე კვლავ და კვლავ სიამაყით იმეორებს ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსის „საბჭოთა პასპორტის“ უკვდავ სტრიქონებს:

„იკითხეთ და გშურდეთ, —
მე ვარ
მოქალაქე
საბჭოთა კავშირის“.

## უმღერიან მოიერიშე ლექსის სარდალს

ერთხელ, ეს იყო 1953 წლის ზაფხულში, საქართველოს მწერალთა კავშირის დერეფანში, გიორგი ლეონიძემ მომაძახა: მაიაკოვსკიზე შეყვარებულო!

წამით გავვოცდი, ხომ არ ჩამესმა?

— შენ გეუბნები, ზუგდიდელო! — გაიმეორა ისევ ბუხუნა ხმამ, — წაიკითხე ჩემი ახალი ლექსი?

იმის მაგიერ, რომ მეთქვა ან „ჰო“ ან „ჯერ არა“, ვუპასუხე: „ლალო და ნაღდო, ძელქვის სადარო, სიტყვა მყივარო ლექსის სარდალო!“

— ყოჩაღ! არა თუ წაგიკითხავს, დაგიზეპირებია კიდეც, — მომიგო სახალხო პოეტმა.

დაუვიწყარი გიორგი ლეონიძე ხატავს საბჭოთა პოეზიის ჯადოქრის შესანიშნავ პორტრეტს, როცა ამბობს: „არა მსუბუქი რითმის ბატონი, მკერდზე ვარდით და ხელში რტოებით, — პროლეტარული აგიტატორი — გლადიატორის მემკვიდრეობით“.

აქვე პასუხი აქვს გაცემული კითხვას, „რატომ გვიყვარს მაიაკოვსკი?“ „შენს რუსულ ძმობას, შენს ქართულ ძმობას, რა დაგვავიწყებს, რა შევადაროთ? — ქუხილის ძმაო, ლექსის დელგმაო, მოიერიშე ლექსის სარდალო!

ირაკლი აბაშიძე ლექსში „ბაღდადი-მაიაკოვსკი“ წერს, „მიყვარს ზაფხული მაგ შენი მზის ფერად ბრწყინვაში, ზვრებით, ველებით ვერა ძღება გული და თვალი... შენ, ვალმოხდილო ქვეყნისა და კაცთა წინაშე, არ დაგწყდეს გული — ამ ლურჯ ცისაც აღარ გაქვს ვალი“.

იოსებ ნონეშვილი ასე მიმართავდა უფროს ძმას. „ეგ დალეწილი სტრიქონი მიყვარს, გულზე შუქად რომ გადაგვიქროლებს. განა კალამი?.. მქუხარე სიტყვა ვერ ეტეოდა, ლეწდა სტრიქონებს, ვერ მოგერია ლერწმის ღეროთა ზიზილ-პიპილა ლექსის ცდუნება... შენი გმირული ლექსიც შველოდა მზისკენ სამყაროს შემობრუნებას“.

ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ ტიციან ტაბიძემ დაწერა „ბაღდათის ზეცა“ და მასში თქვა: „ორივე და და საწყალი დედა ცრემლით ალბობენ ბაღდათის მიწას, ბედნიერებას მან აქ შეხედა, გამბედაობა ამ ზეცამ მისცა“...

რით უნდა ენუგეშებინათ პოეტის დედა? აქ ისევ ტიციანს ეკუთვნის სიტყვა: „ვიცი, დადგება ბაღდათის ბაღში ყმა მაიაკოვსკი — ბრინჯაოს ბავშვი. მე ეს ვუთხარი მწუხარე დედას და ყველას ერთად მოგვეშვა სევდა“.

გიორგი სალუქვაძის ლექსი „მაიაკოვსკის სადგური“ ასე იწყება. „ქარი ფიფქების მარულას მართავს, მოსკოვის ქუჩებს ვტოვებ დათოვლილს და მიწისქვეშა სასახლის კართან მალე მიმიყვანს ესკალატორი“.

პოეტი მიჰქრის, ჩქარობს, რომ ლექსად აუღერდეს ერთი სადგურის ნახვის სურვილი. და აი, ეწვია კიდევაც: „თვალს ვერ ვაშორებ თაღის მშვენებას და მარმარილო ფეხქვეშ მეგება. სიზმარი არის თუ მოჩვენება?! თვითონ პოეტი შემომეგება. ოცნების კარნი დამხვდნენ ღიანი, არ დაიხუროს ნეტავი დიდხანს! მოვიდა ახლოს ომახიანი და საქართველოს ამბავი მკითხა... სწვდება სიმღერა უმაღლეს მიზანს, რომ სტრიქონებმა მარად ინათონ. მე ვალი დამრჩა ბაღდათის ცისა. ქართველთ მგოსნებმა გადაიხადონ“.

ამ პატარა წერილში არ შეიძლება ყველა იმ ლექსის გაცნობა, რომელიც მიეძღვნა უნიჭიერეს საბჭოთა პოეტს...

**შალვა შენგელი**

# გოგლაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გარეკახეთში ერთი ლამაზი სოფელი. მას ასევე ლამაზი სახელი ჰქვია — პატარძეული. ამ სოფელში ცხოვრობდა ნიკო ლეონიძე — სოლომონ ლიონიძის პირდაპირი შთამომავალი, როგორც იფიცებოდა ნიკოს ერთ-ერთი შვილი, გოგლას რომ ეძახდა მთელი საქართველო.

არავის უკვირდა, რომ პატარძეულში იბადებოდნენ საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები, კეთილი და პატიოსანი მეზვრენი, ქართული ვაზის დიდოსტატები. არც ის გაკვირვებიათ, რომ გოგლა ლეონიძე საქართველოს სახალხო პოეტი გახდა, გახდა აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი, თავის დროზე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სიკვდილის შემდეგ რუსთაველის პრემიაც მიენიჭა...

დიდ კაცს, მთავრობის კაცს უხმობდნენ გარეჯელები. დიდი კაციც იყო და მთავრობის კაციც ეს დალოცვილი გიორგი. ცდილობდა, ძალიან ცდილობდა რაიმე სიკეთე მოეტანა მეზობლებისათვის, თუნდაც სულ მცირე რამ გაეკეთებინა ნააკვნარისათვის, მშობლიური სოფლისათვის. დიდი „ვერაფერი" შეძლო შვილმა თავისი სოფლისათვის, გარდა იმისა, რომ მთელ საქართველოში, მთელ საბჭოეთში, მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი პატარძეულს, პატარძეულის მკვიდრებს.

მის სიცოცხლეშივე მოდიოდნენ აქ საქართველოს ყველა კუთხიდან, საბჭოთა კავშირის ყველა მხრიდან, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ადამიანები, რომელთაც უყვართ ის საოცრება, ზღაპარი, ჯადოქრობა, რასაც ლეონიძის პოეზია ეწოდება.

ამ გაოცებული და აღტაცებული ადამიანების ნატვრა ის იყო, რომ მხოლოდ თვალი შეევლოთ ამ ომახიანი ხმის პატრონისათვის, ხელი ჩამოერთმიათ, გაეღიმათ მისთვის და სამაგიეროდ პოეტის ჩვეული ჯადოსნური ღიმილით დაჯილდოებულნი გასდგომოდნენ თავიანთ გზას.

ზაფხულის ერთ არამშვენიერ დღეს, წყნეთის აგარაკზე ცუდად იგრძნო თავი გიორგი ლეონიძემ, წყეული სენი ცეცხლის ალივით შემოეხვია ტანზე, სწვავდა ტკივილი უმძიმესი და სულთამხუთავი.

და მაშინ იგრძნო, ერთბაშად იგრძნო პატარძეულმა, საგარეჯოს რაიონმა, სრულიად საქართველომ, რამხელა შვილი ეცლებოდა ხელიდან, რამხელა იმედი, რამხელა სიამაყე!

ვაგლახ, პატარძეულის წყაროს წყალმაც ვერ უშველა დიდ პოეტს.

მეც ვიდექ იმ დღეებში გიორგი ლეონიძის თავსასთუმალთან, მეც არაერთხელ მისივე სურვილით ვესაუბრე მას სიკვდილის წინა დღეებში.

ო, არა! მას სიკვდილისა არ ეშინოდა, თუმცა ძალიან, ძალიან, არ უნდოდა სიკვდილი!

პოეტის სიკვდილის შემდეგაც მოდიან ადამიანები პატარძეულში, მის ნააკვნარში, რათა ერთხელ კიდევ გაოცდნენ, რარიგ უბრალო აკვანში იწვა და რარიგ უბრალო ხის სახლში იზრდებოდა მომავალი პოეტი, რათა ერთხელ კიდევ თაყვანი [illegible] ხსოვნას, რათა ერთხელ კიდევ აღიარონ გოგლას უკვდავება.

ამ უკვდავების აღსანიშნავ დღეს, პოეტის დაბადების დღეს, გოგლაობას უწოდებს სრულიად საქართველო.

საოცარია: რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ახლობელი, მშობლიური, გასაგები ხდება ყველა ჩვენგანისათვის.

ბევრი მასპინძელია დღეს პატარძეულში. რომ შემეძლოს, ყველა მათგანს სათითაოდ ჩამოვთვლიდი და ყველას ძმურად გადავკოცნიდი გოგლას სიყვარულისთვის, ქართული ენის სიყვარულისთვის, დიდი მოყვრისა და მოკეთის არდავიწყებისათვის. ბევრია-მეთქი მასპინძელი, ყველას ვერ ჩამოთვლი, ამიტომ მინდა ორი მასპინძელი დავასახელო გოგლას ლექსებით გაზრდილი, გოგლას და მისი მეგობრების ღირსეული დამფასებელი, სახალხო სიყვარულით გარემოსილი მედიკო მეზვრიშვილი და... გოგლას მიერ დალოცვილი, გოგლას საყვარელი უმცროსი მეგობარი, ამჟამად სამოცი წლის სახელოვანი იუბილარი თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

მადლობა მათ და ყველა თქვენგანს, ძვირფასო მეგობრებო!

გაუმარჯოს გოგლაობას — ქართული პოეზიის ერთ-ერთ ულამაზეს დღესასწაულს.

დიდება გიორგი ლეონიძის სახელს!

**ხუტა ბერულავა,**

5 ივნისი, 1983 წელი. პატარძეული.

## სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადა



მოსკოვი. სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის მე-8 სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

გეორგიევსკის ტრაქტატი 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი ფიცისა

ნოდარ ასათიანი,
პროფესორი.

მეტად მძიმე იყო ფეოდალური საქართველოსათვის XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა ორ უძლიერეს აგრესორს შორის იყო მოქცეული. 1555 წლის ამასიის ზავით საქართველო ყიზილბაშურმა ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილა. დასავლეთ საქართველო და დასავლეთ სამცხე ოსმალეთმა ირგუნა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო და აღმოსავლეთ სამცხე — ირანმა. ამის შემდეგ აგრესორები ცდილობდნენ საბოლოოდ დაეპყროთ ჩვენი ქვეყანა. ქართველი ხალხი თავგანწირვით ებრძოდა მტერს და ქვეყანაში დამკვიდრების საშუალებას არ აძლევდა.

ამ ბრძოლის მეთაური ქართლი იყო. ქართლის მეფე სიმონ I ღირსეულად აგრძელებდა თავისი გმირი მამის ლუარსაბ I-ის საქმეს და ქართველ ხალხს მტრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლებისათვის რაზმავდა. 1569 წელს სიმონი ფარცხისთან ბრძოლაში ყიზილბაშებმა დაატყვევეს და მრავალი წლით ალამუტის ციხეში გამოკეტეს. ქართლის ამ გმირული ბრძოლებიდან კახეთი ფაქტიურად განზე იდგა — კახეთის სამეფო კარი აგრძელებდა თავის ტრადიციულ პოლიტიკას — მოხერხებული დიპლომატიით, ფორმალური მორჩილების აღთქმით, მცირე დათმობებით როგორმე ქვეყნისათვის აეცილებინა დამპყრობლების უშუალო შემოსევა, ქვეყანა გადაერჩინა ნგრევისა და აოხრებისაგან. ასეთ პოლიტიკას მანამდე ჰქონდა წარმატება, სანამ ქართლი თავგამოდებით იბრძოდა, ხოლო როცა ყიზილბაშებმა სიმონი დაატყვევეს და ქართლში თავიანთი პოზიციები განიმტკიცეს, კახეთსაც იგივე საფრთხე დაემუქრა.

ქართლისა და კახეთის მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა 1578 წლიდან, როცა ოსმალეთმა დაარღვია ამასიის ზავი და ამიერკავკასიის მიმართულებით დაიწყო შეტევა ირანის წინააღმდეგ. ჩილდირის ტბასთან ყიზილბაშები (რომლებსაც ძალაუნებურად ქართველებიც ეხმარებოდნენ) სასტიკად დამარცხდნენ და ოსმალთა უზარმაზარმა არმიამ მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით თითქმის უომრად დაიკავა ქართლის ტერიტორია. კახეთის მეფე ალექსანდრე II ოსმალთა სარდალს სართიჭალასთან დახვდა და ზავი შესთავაზა. ოსმალები მოერიდნენ ამჯერად კახეთის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ჯერ კიდევ არ დაეპყროთ აღმოსავლეთ ამიერკავკასია და არც ზურგი ჰქონდათ მტკიცე, ამიტომ ისინი დათანხმდნენ კახეთის მეფის ფორმალურ მორჩილებას, მცირე ხარკს და კახეთის მეფესვე დაავალეს შაქის დაკავება. შაქში ამ დროს ალექსანდრეს მეტოქე ძმა, გამაჰმადიანებული იესე იყო ყიზილბაშების მიერ დასმული მმართველად და მის წინააღმდეგ გამოსვლა თვით მეფე ალექსანდრეს ანგარიშგებაშიც შედიოდა. ამრიგად, მოხერხებული დიპლომატიით ალექსანდრე მეფემ ამჯერადაც შეძლო უძლიერესი მტრის შემოსევის თავიდან აცილება და შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება. შაქიდან გააძევეს იესე ბატონიშვილი და მის მაგივრად ალექსანდრემ თავისი შვილი ერეკლე დასვა.

იმავე წლის შემოდგომისათვის ოსმალებმა თითქმის მთლიანად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ ამიერკავკასია და იქ თავიანთი მმართველობის შემოღებას შეუდგნენ. ირანის შაჰის კარი იძულებული შეიქმნა, ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა მეფე სიმონი, რომელსაც ქართლში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაეჩაღებინა. ქართლის მოსახლეობა სიმონ მეფეს აღტაცებით შეხვდა და მალე მისი მეთაურობით დამპყრობთა წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ბრძოლების მძლავრი ცეცხლი დაინთო. ამან ოსმალების მდგომარეობა ერთობ გაართულა და ირანელებმა შეძლეს მათი შემოტევის შეჩერება. შემდეგ წლებში ეს ბრძოლები კიდევ უფრო გამძაფრდა. ქართველებმა არა ერთი დამარცხება აგემეს ოსმალებს. აჯანყდა სამცხეც მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით.

ოსმალთა ამ საერთო წარუმატებლობის ვითარებაში გააქტიურდა ირანიც და შაჰმა ალექსანდრე მეფეს კვლავ მის მხარეზე დადგომა მოსთხოვა. კახეთის მეფე იძულებული გახდა, ირანში თავისი უმცროსი შვილი, კონსტანტინე გაეგზავნა მძევლად. თავის მხრივ ოსმალები ჯარს ჯარზე აგზავნიდნენ, მაგრამ მებრძოლი ქართლის დამორჩილება მაინც ვერ შეძლეს.

ოსმალთა წაქეზებით დაღესტნელმა ფეოდალებმა გააძლიერეს კახეთზე თავდასხმები, რასაც დიდი უბედურება მოჰქონდა კახეთისათვის. იმიერკავკასიელ მთიელთა ბრბოები, უმთავრესად პატარ-პატარა რაზმებად, ღამით ქურდულად თავს ესხმოდნენ კახეთის მშვიდობიან სოფლებს და იტაცებდნენ ყველას და ყველაფერს, რის წაყვანაც და წაღებაც შეიძლებოდა. განსაკუთრებით ადამიანების მოტაცება აინტერესებდათ, რადგან ასეთ „საქონელზე" ოსმალეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო. ქართველ ტყვეებს დიდ ფასად ყიდულობდნენ ოსმალო დიდგვაროვნები და სულთნის მოხელენი. ასეთი გზით კომპლექტდებოდა ოსმალთა იანიჩარის ჯარი და ივსებოდა ოსმალო ფაშების ჰარამხანები. გასაგებია, ტყვეების მომტაცებლები ძირითადად ახალგაზრდა ვაჟკაცებს და ლამაზ ასულებს ეტანებოდნენ. ამით ქვეყანა გამოუსწორებელ ზიანს განიცდიდა. კახეთის სამეფოს არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ დაღესტნიდან შემოსასვლელი გზები (ასეთი გზები კი უამრავი იყო) ციხეებით შეეკრა და შიგ მუდმივად მეციხოვნეები ჩაეყენებინა, ჯარი მუდმივად ჰყოლოდა მზად მომხვდურთა ყოველი შემოსევისათვის პასუხის გასაცემად. კახეთის სამხედრო ორგანიზაცია მისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შესაბამისი იყო. ფეოდალური ლაშქარი მხოლოდ მტრის შემოსევისას იკრიბებოდა, ისიც მცირე ხნით. სხვა დროს კი ეს მოლაშქრენი ჩვეულებრივი მიწის მუშამეურნენი იყვნენ, რომლებიც თავის მეურნეობას დიდი ხნით ვერ მოწყდებოდნენ. ამრიგად, მართალია ამ რთულ ვითარებაში კახეთი თითქოს გადარჩა მტრის მიერ უშუალოდ დაპყრობას, მაგრამ ამ ამბების გავლენა კახეთისათვის მაინც საბედისწერო შეიქმნა. კახეთის მმართველი წრეები კარგად გრძნობდნენ, რომ ოსმალეთი და ირანი როგორც კი ურთიერთშორის ომს მორჩებოდნენ, კახეთისათვისაც მოიცლიდნენ და მის დამოუკიდებლობას ბოლოს მოუღებდნენ. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, თუ რა დიდი კმაყოფილებით უნდა შეხვედროდნენ კახეთის მესვეურები რუსეთის მეფის მოციქულს, ასტრახანელ მეთოფეთა ასისთავს, რუსინ დანილოვს, რომელსაც დავალებული ჰქონდა, დაეზვერა კავკასიის ვითარება და დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფალნი, რომ კავშირი აღედგინათ მოსკოვის სამეფო კართან.

კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებამ საფრთხე შეუქმნა რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ოსმალები ასტრახანს დაკავებით ემუქრებოდნენ და სამხრეთით რამდენჯერმე ლაშქრობაც მოაწყვეს. 1583 წელს ივანე IV ლივონიის ომი დაამთავრა, მაგრამ სამხრეთში თავისი პოზიციების გასამტკიცებლად რაიმე რეალური ღონისძიების გატარება ველარ მოასწრო — 1584 წელს გარდაიცვალა. რუსეთის სამეფო ტახტი ივანე IV-ის უნიათო შვილმა თევდორემ დაიკავა, მაგრამ რუსეთის მმართველობა ფაქტიურად ხელთ ჩაუვარდა მის ჭკვიანსა და ენერგიულ ცოლისძმას ბორის გოდუნოვს, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო კავკასიის საკითხს.

1585 წელს რუსინ დანილოვი კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს ეახლა და თევდორე ივანეს ძის წერილი გადასცა, რომელშიც რუსეთის სამეფო კარი კახეთს შეწყვეტილი პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენას და მფარველობას სთავაზობდა.

კახეთის მეფე წინდახედულად შეხვდა ამ წინადადებას. ირანი ოსმალეთთან ომით მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და იგი თვითონ ეშურებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთთან კავშირს, ამიტომ კახეთის დაკავშირება რუსეთთან ირანის შაჰის მხრივ პროტესტს არ გამოიწვევდა. რუსეთთან დაკავშირებით შეიძლებოდა აღკვეთილიყო გამუდმებული „ლეკიანობა", რაც სისხლიდან ცლიდა მის ქვეყანას და რის წინააღმდეგ ბრძოლაც კახეთს მეტისმეტად უჭირდა. უკან გაბრუნებულ რუსინ დანილოვს კახეთის მეფემ თავისი ელჩები იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი გააყოლა. მოსკოვში ჩასულმა ქართველმა ელჩებმა რუსეთის მეფეს ალექსანდრე II-ის წერილი და მოსაკითხი გადასცეს. ამ წერილით კახეთის მეფე მოსკოვის სამეფო კარს მფარველობას სთხოვდა და კონკრეტულად აყენებდა საკითხს, რათა რუსეთს თერგზე ციხე-ქალაქი აეგო, შიგ ჯარი ჩაეყენებინა და დაეჭირა გზა თერგიდან კახეთამდე, რომელიც საშამხლოზე გადიოდა. ამით ბოლო მოეღებოდა შამხალის ქვეშევრდომ მთიელთა კახეთზე თავდასხმებს. საჭიროების შემთხვევაში რუსეთი დაეხმარებოდა კახეთს სამხედრო ძალით. მეორეს მხრივ, ეს რუსეთისათვისაც მეტად სასარგებლო იქნებოდა, რადგან ასეთი ღონისძიებანი შესამჩნევად გააძლიერებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში და უზრუნველყოფდა ასტრახანისა და საერთოდ ვოლგისპირეთის უშიშროებას.

ქართველ ელჩებს რუსეთის მეფემ თავისი ელჩები — როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი გამოაყოლა. მათ თან მოჰქონდათ საელჩო პრიკაზის მიერ შემუშავებული „ფიცის წიგნის" ტექსტი, რომლის მიღებით და დაფიცებით კახეთის სამეფო კარს ოფიციალურად უნდა დაედასტურებინა თავისი ხელდებულება მოსკოვის მეფისადმი.

1587 წლის 28 აგვისტოს მეფე თევდორეს ელჩები კახეთის მეფის კარზე იყვნენ და დაიწყეს მოლაპარაკება ორ სახელმწიფოს შორის მფარველობა-ხელდებულების აქტის საბოლოო პირობების შესამუშავებლად. დიდი კამათი გამოიწვია თე-

რგის ციხის გარნიზონის პურით მომარაგების საკითხმა. რუსი ელჩები მოითხოვდნენ, რომ რადგან ამ ციხის ჩადგმა, ახევე სხვა ციხეების აგება კახეთის თხოვნით ხდებოდა, მათი მომარაგებაც (15.000 ჩეტვერტი წლიურად) ალექსანდრე მეფეს უნდა ეკისრა. კახეთის მეფე უმტკიცებდა რუსეთის წარმოგზავნილებს, რომ სიშორის, უგზოობისა და ამდენი მარაგის უქონლობის გამო კახეთს არ შეეძლო ამ მოვალეობის შესრულება. მაშინ რუსეთის ელჩებმა კახეთის მეფეს „ხაზინით დახმარება“, ანუ სავალდებულო მოსაკითხი — მისართმეველი მოსთხოვეს. ამაზე კახეთის მეფე დათანხმდა.

1587 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილებით და დარბაისლებით, საჯაროდ ჯვარზე მთხვევით დადო მოსკოვის მეფის ხელდებულების ფიცი. „ფიცის წიგნით“ ალექსანდრე კახთა მეფე შვილებითა და უახლოესი დარბაისლებით აცხადებდა:

1. მან (ალექსანდრე მეფემ) რუსთ ხელმწიფე თევდორე ივანეს ძესთან თავისი ელჩები ოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტ-ალა გაგზავნა აჯით, რათა ხელმწიფეს შეეწყალებინა ის, კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა, მისთვის (კახეთისათვის) თავისი (ხელმწიფის) ხელი დაედვა და ალექსანდრე მეფისა და მისი ქვეყნის ყველა მტრისაგან დაცვა ებრძანებინა;

2. რომ ხელმწიფემ შეიწყალა ის (კახთა მეფე), მფარველობის ხელი დასდო მას და მის ქვეყანას და მტრებისაგან დაცვა (ალექსანდრესი და მისი ქვეყნისა) თავის სარდლებს უბრძანა:

3. რომ (ამიერიდან) ის (ალექსანდრე მეფე) თავისი შვილებით და მთელი ქვეყნით მკვიდრად და წაუვალად იქნება თევდორე მეფისა და მისი შვილების ხელქვეშ;

4. რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავისი შვილებით და მთელი ქვეყნით ხელმწიფისა და მისი შვილების ავნებს და საზიანოს არაფერს ისურვებს და არც გონებაში გაივლებს; არავის ხელმწიფის მტერს არ მიუდგება და არც თავის ხალხს არსად ხელმწიფის ქვეყანაზე სალაშქროდ მიაშველებს მათ;

5. რომ (ამიერიდან) ხელმწიფის მეგობარს ისიც თავის მეგობრად მიიჩნევს, ხოლო ხელმწიფის მტერს თავის მტრად დაიგულებს და მტრადაც აღუდგება მას;

6. რომ ის (ალექსანდრე მეფე) გამოიძიებს, დასჯის და ხელმწიფის სარდლებს გაუგზავნის ყველას, ვინც კი მისი ქვეშევრდომი თერგსა და ასტრახანს ხელმწიფისა და მისი კაცების მოღალატედ და ავის მოქმედად აღმოჩნდება;

7. რომ ის (ალექსანდრე მეფე) შვილებით და მთელი ქვეყნით ხელმწიფის სამსახურს შეუდგება წაუვალად გულმართლად და თავდადებით;

8. რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავს იდებს ყოველწლიურად მოსაკითხი უგზავნოს ხელმწიფეს — ნაცვლად 50 ოქრონემსული ყიზილბაშური ფარჩისა და 10 ოქრო-ვერცხლით ქსოვილი ნოხისა ისეთი ლარით, რაც მის ქვეყანაში მოიპოვება.

1589 წელს მოსკოვიდან კახეთში ჩამოვიდა ახალი ელჩობა სიმონ ზვენიგოროდსკის მეთაურობით, რომელმაც ალექსანდრე II-ს ჩამოუტანა მეფე თევდორე ივანეს ძის „წყალობის სიგელი“, რომელშიც რუსეთის მხრიდანაც დადასტურებული იყო მფარველობა-ხელდებულობის უფლება-მოვალეობანი. რუსეთის მეფე ამ სიგელით აცხადებდა, რომ მან მფარველობის ხელი უბოძა კახეთის მეფეს და მის ქვეყანას, ბრძანა, აეგოთ თერგზე ციხე და შიგ განეწესა მეციხოვნე ჯარი, კახეთის დაცვა ყველა მტრისაგან ასტრახანისა და თერგის სარდლებს ებრძანათ. რუსეთის მეფე „წყალობის სიგელში წერდა: „ჩვენ, თევდორე მეფემ, შეგიწყალეთ და შენ, ალექსანდრე მეფე, შენი შვილები და მთელი შენი ქვეყანა ჩვენი მფარველობის ქვეშ მიგიღეთ და შენი ქვეყნის დაცვა ყველა შენი მტრისაგან ჩვენს ასტრახანის და თერგის სარდლებს უბრძანეთ, ხოლო შენს მტერ შამხალზე ჯარის გასევას და გზის გაწმენდას შენი ქვეყნიდან ჩვენ სახელმწიფომდის ვბრძანებთ. შენი ელჩები, შეწყალებულნი, ჩვენს ელჩებთან, თავად სიმონ ზვენიგოროდსკისთან და მდივან ტორხ ანტონოვთან ერთად გამოვისტუმრეთ და ეს წყალობის სიგელი, ოქრობეჭდით, ჩვენი ელჩების ხელით გამოგიგზავნეთ“.

ამრიგად, 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II მიერ — „ფიცის წიგნით“ მიღებული, ხოლო შემდეგ 1589 წელს მოსკოვის მეფე თევდორეს მიერ „წყალობის სიგელით“ დამტკიცებული პირობების გამაფორმებელი აქტი იყო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება, რომელიც დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის. იგი ორი დოკუმენტისაგან („ფიცის წიგნი“, „წყალობის სიგელი“) შედგებოდა და ორმხრივ ვალდებულებებს შეიცავდა: კახეთის მეფეს ევალებოდა საჭიროების შემთხვევაში რუსეთისადმი სამსახური, ძირითადად სამხედრო დახმარება, მაგრამ ეს ვალდებულება ოდნავადაც არ ამცირებდა კახეთის მეფის ხელისუფლების პრეროგატივას. რუსეთი კისრულობდა, დაეცვა კახეთი ყველა მტრისაგან. მართალია, კახეთს ეკისრებოდა სავალდებულო მისართმეველი, მაგრამ რუსეთის მეფეც ყოველთვის უგზავნიდა საჩუქრებს ხელდებულ მეფეს, თანაც ეს ძღვენ-მისართმეველი რუსეთისათვის განკუთვნილი იყო იმის სამაგიეროდ, რომ კახეთის ინტერესების შესაბამისად თერგსა და დაღესტნის ტერიტორიაზე აგებულ ციხეებში ჩაყენებულ გარნიზონებს რუსეთი შეინახავდა, მოამარაგებდა სურსათით. ამრიგად, ეს ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორი სამოკავშირეო ვალდებულებებით აღჭურვილი სუვერენული მხარის კავშირი. მართალია, კახეთს უფრო მეტი ვალდებულებანი ეკისრებოდა, ვიდრე მოსკოვის სახელმწიფოს, მაგრამ ფეოდალიზმის ხანის საერთაშორისო სამართლებრივი ეთიკისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო: როდესაც კავშირი მყარდებოდა ორი სხვადასხვა სიძლიერის მხარეს შორის, სუსტს ყოველთვის უფრო მეტი ევალებოდა.

კახეთის პოლიტიკურ სუვერენიტეტს და მის განსაკუთრებულ მდგომარეობას კარგად მოწმობს ის დიდი პატივი და საზეიმო ცერემონიალი, რომლითაც იღებდნენ ხოლმე კახეთის ელჩებს მოსკოვის სამეფო კარზე. კახეთი ამ ხელშეკრულების მიხედვით რუსეთის მიმართ ხდებოდა ერთგვარად დამოკიდებულ სახელმწიფოდ, მაგრამ იგი როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში რჩებოდა სუვერენულად— ე. ი. ინარჩუნებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოქმედების უფლებასა და საშუალებას.

შეთანხმების მიხედვით რუსეთმა ააგო ციხე მდინარე თერგზე და იქ თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამავე დროს დაიწყო სამზადისი შამხალის წინააღმდეგ სალაშქროდ. 1593-1594 წლებში ეს ლაშქრობა განხორციელდა კიდეც, მაგრამ ამან ისეთი შედეგი ვერ მოიტანა, როგორიც ორივე მხარეს სურდა: რუსეთმა ფეხი ვერ მოიკიდა დაღესტნის ტერიტორიაზე და ვერც ის გზა დაიჭირა, რომლითაც იგი კახეთს დაუბრკოლებლად დაუკავშირდებოდა და საჭიროების შემთხვევაში მას დაეხმარებოდა.

ამასობაში კავკასიის ასპარეზზე პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. დამარცხებულმა ირანმა ზავი ითხოვა და ამიერკავკასია მთლიანად ოსმალეთს დაუთმო (1590 წლის 21 მარტის სტამბოლის ზავი). კახეთის დაკავშირებამ რუსეთთან ოსმალეთი მეტისმეტად გაალიზიანა და მეფე ალექსანდრეს მოუხდა მთელი თავისი დიპლომატიური ხელოვნების გამოყენება, რომ სულთანის რისხვა თავიდან აეცილებინა. ამ რთულ ვითარებაში კახეთის სამეფო კარი მაინც რუსეთთან კავშირის განმტკიცების პოლიტიკის ერთგული რჩებოდა და ამ კავშირზე დიდ იმედებს ამყარებდა.

მალე ირანის მდგომარეობამ გამოსწორება იწყო. მისმა ახალმა მბრძანებელმა, მეტად ენერგიულმა და შორსმჭვრეტელმა შაჰმა — აბას პირველმა (1587-1629 წ.წ.) ოსმალეთთან მშვიდობის ჩამოგდება იმისათვის გამოიყენა, რომ გადამწყვეტი ღონისძიებებით გამოესწორებინა ირანის საშინაო ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, 1602 წელს მან ოსმალეთთან ომი განაახლა.

1603 წ. გვიან შემოდგომით შაჰ-აბასი უკვე ერევნის ციხეს შემოადგა და თავისთან დაიბარა ქართლის მეფე გიორგი და კახეთის მეფე ალექსანდრე. ქართლის მეფე დაუყოვნებლივ გამოცხადდა შაჰთან, მეფე ალექსანდრემ კი ყოყმანის შემდეგ კახეთის მმართველად ყა[illegible]ვილი გიორგი დატოვა და თვითონ შაჰთან გაემგზავრა.

შაჰ-აბასმა იწყინა ალექსანდრე მეფის მიერ ფეხის ათრევა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და იგი მაინც დიდი პატივით მიიღო. ერევნის აღების შემდეგ შაჰმა ქართლის მეფე გიორგი უკან დააბრუნა, ხოლო ალექსანდრე [illegible] თავისთან დაიტოვა.

1604 წლის ზაფხულში, როდესაც მეფე ალექსანდრე ჯერ კიდევ შაჰ-აბასთან იმყოფებოდა, კახეთში რუსეთის ახალი ელჩობა ჩამოვიდა თავად მიხეილ ტატიშჩევის მეთაურობით. მას ევალებოდა განეახლებინა კახეთის მეფის მიერ მიცემული „ფიცის წიგნი“. ამავე დროს ასეთივე „ფიცის წიგნები“ მიეღებინებინა სხვა ქართველი მეფე მთავრებისათვის, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა. ტატიშჩევს მოჰქონდა ამბავი, რომ რუსეთი ჯარს აგზავნიდა დაღესტნის დასაპყრობად და კახეთის მეფეს, შეთანხმების მიხედვით, ევალებოდა სამხრეთიდან შეეტია შამხალისათვის. ამას გარდა, რუს ელჩებს განსაკუთრებული დავალებაც ჰქონდათ: მათ უნდა შეერჩიათ საცოლე რუსეთის ახალი მეფე ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის, აგრეთვე საქმრო მეფის ასულ ქსენიასათვის.

განვლილი 20 წლის განმავლობაში კახეთიდან რუსეთში და რუსეთიდან კახეთში სისტემატურად იგზავნებოდნენ ელჩები, მაგრამ კახეთისათვის სასურველი შედეგი ამ ურთიერთობას ჯერ კიდევ არ გამოეღო. რუსეთმა დაღესტანში საშამხლოს წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწია. ამჯერად რუსეთის ახალი მეფე ბორის გოდუნოვი ენერგიულად ამოქმედდა, მაგრამ ვითარება უკვე შეცვლილი იყო. ამჯერად კავკასიის ასპარეზზე გაძლიერებული ირანი გამოვიდა, რომლის ცბიერი და ვერაგი მბრძანებელი შაჰ-აბას პირველი არაფრით არ დაუშვებდა, რომ რუსეთს თავისი გავლენა გაევრცელებინა კავკასიაში. შაჰ-აბასი, მართალია, სიტყვით მეგობრობას ეფიცებოდა რუსეთს, მაგრამ სინამდვილეში მისი და მის მოკავშირე კახეთის მეფის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელს ხლართავდა. მას საამისოდ გაწვრთნილი და გამზადებული ჰყავდა ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე, რომელიც პატარაობიდანვე შაჰის კარზე იზრდებოდა. შაჰ-აბასმა თავისთან გაიწვია ალექსანდრეს შვილიშვილიც, ბორის გოდუნოვის სასიძოდ განზრახული — თეიმურაზ დავითის ძე და, როგორც აღვნიშნეთ, თვითონ ალექსანდრე მეფეც თავისთან ჰყავდა კარგა ხნით დაკავებული.

კახეთში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმა გიორგი ალექსანდრეს ძეს „ფიცის წიგნის“ განახლება მოსთხოვეს, მაგრამ კახეთის გამგებელი ბატონიშვილი ამ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში ფიცის

# გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

## ჟურნალ „ნიანგს“ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი „ნიანგი“ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

## დაჯილდოება და საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „ნიანგის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ავთანდილ ადეიშვილი** — ჟურნალ „ნიანგის“ ლიტერატურის განყოფილების გამგე, **მურთაზ აბაშიძე** — ჟურნალ „ნიანგის“ შტატგარეშე მხატვარი, **მიხეილ კუხალაშვილი** — ჟურნალ „ნიანგის“ უფროსი რედაქტორი, **გივი ლომიძე** — ჟურნალ „ნიანგის“ შტატგარეშე მხატვარი, **ელგუჯა მერაბიშვილი** — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორ-ლიტმუშაკი, **ივანე ცინცაძე** — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორ-ლიტმუშაკი, **ნანა ჯაჯანაშვილი** — ჟურნალ „ნიანგის“ კორექტორი;

ჟურნალის მხატვრულ რედაქტორს **ნოდარ მალაზონიას** მიენიჭა საპატიო წოდება: „საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“.

საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“ მიენიჭათ:

**ზაურ ბოლქვაძეს** — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორს, **ვაჟა ჭანიშვილს** — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილეს.

საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“ მიენიჭათ:

**გულნარა ბოსიკაშვილს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს, **მარიამ გველესიანს** — ჟურნალ „ნიანგის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგეს, **სარა დალაქიანს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ამწყობს, **ზინაიდა ლომჯანიძეს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მერონტაჟეს, **ბეჟან სიხარულიძეს** — ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივანს, [illegible] **ციშვილს** — ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის გამგეს.

## საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები

ჟურნალ „ნიანგის“ დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ამხანაგები: **დავით ასკურავა** — შტატგარეშე კორესპონდენტი, **ნომადი ბართაია** — სარედაქციო კოლეგიის წევრი, **ნანა კანდელაკი** — რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, **მამია (ჯემალ) ლოლუა** — სარედაქციო კოლეგიის წევრი, **ვალერიან მამუკელაშვილი** — შტატგარეშე კორესპონდენტი, **გარი მეტრეველი** — რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, შტატგარეშე კორესპონდენტი, **რევაზ ოსეფაიშვილი** — შტატგარეშე კორესპონდენტი, **ზურაბ ფორჩხიძე** — შტატგარეშე მხატვარ-კორესპონდენტი, **ზურაბ ქაჯაია** — შტატგარეშე კორესპონდენტი, **იური ყეინაშვილი** — შტატგარეშე მხატვარ-კორესპონდენტი.

---

მილებისაგან თავს იკავებდა, ამასობაში მოვიდა ცნობა, რომ განჯა-შამახიის ფაშები ჯარით წამოსულან კახეთისაკენ და ქალაქ ძეგამს თავდასხმით ემუქრებოდნენ. გიორგი ბატონიშვილი დაუყოვნებლივ ამხედრდა და თან რუს ელჩებს სთხოვა მათი მცველი რაზმი, 40 მეთოფე, მისთვის გაეტანებინათ ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბატონიშვილის მოციქული რუს ელჩებს მოახსენებდა: — თუმცა ეს რაზმი მეტად მცირეა, მაგრამ ამას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება: ყველა დაინახავს, რომ კახეთი მარტო არ არის და მას დიდი ხელმწიფე ნამდვილად მფარველობსო. ელჩებმა ბევრი ყოყმანის შემდეგ მეთოფეთა რაზმი აახლეს ოსმალთა წინააღმდეგ ომში მიმავალ გიორგი ბატონიშვილს.

ბრძოლა 1604 წლის 7 ოქტომბერს მოხდა ქ. ძეგამის აღმოსავლეთით ერთი დღის სავალზე. კახელებმა რუსთა რაზმთან ერთად, სასტიკად დაამარცხეს ოსმალო ფაშები. მტერმა ოთხი დროშა, მრავალი ტყვე და მოკლული დატოვა ბრძოლის ველზე. 1605 წლის 1 იანვარს გიორგი ბატონიშვილმა თავისი უახლოესი დარბაისლებით მოსკოვის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო. 8 იანვარს მოვიდა ცნობა, რომ რუსთა ლაშქარი ბუტურლინის სარდლობით საშამხლოს შესეოდა, თარღუ აიღო და ყუმუხები დაამარცხებინა. პირობის თანახმად, საჭირო იყო დაღესტნის წინააღმდეგ კახეთსაც დაეწყო სამხრეთიდან შეტევა. გიორგი ბატონიშვილი ალექსანდრე მეფის მოსვლამდე სამხედრო მოქმედების დაწყებას ვერ ბედავდა.

1604 წლის ბოლოს და 1605 წლის დასაწყისში ირან-ოსმალეთის ომში ინიციატივას ოსმალები დაეუფლნენ. შაჰ-აბასი უკან იხევდა. ამით ისარგებლა ალექსანდრე მეფემ და ირანის შაჰს საქართველოში გამოშვება სთხოვა იმ პირობით, რომ იგი თავისი ჯარით შარავანს შეესეოდა და იქიდან ოსმალებს განდევნიდა. შაჰ-აბასი იძულებული გახდა, დათანხმებოდა კახეთის მეფეს, მაგრამ მისადმი ნდობა მაინც არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრეს თან მისი გამაჰმადიანებულ-გასპარსებული შვილი კონსტანტინე მირზა ყიზილბაშთა ჯარით გამოატანა, რომელსაც დაავალა, თუ მეფე ალექსანდრეს ირანის საწინააღმდეგო რაიმე განზრახვას შეატყობდნენ, დაუნდობლად ემოქმედა.

კონსტანტინე მირზამ შეიტყო, რომ ალექსანდრე მეფე შაჰის დავალების შესრულებას არ აპირებდა და საშამხლოში მებრძოლ რუსეთის ჯარის დასახმარებლად ემზადებოდა. მან ძეგამში კახეთის სახლკართან დატოვებული ყიზილბაშთა ჯარი შემოიყვანა, შემოიკრიბა ყიზილბაში ხანები და დილითვე მეფის სასახლეში გამოცხადდა. მეფე-მამასთან ბჭობა ცხარე კამათში გადაიზარდა, ბოლოს კონსტანტინეს ბრძანებით ყიზილბაშმა ხანებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მეფე ალექსანდრე და გიორგი ბატონიშვილი. მათთან ერთად მოკლეს რუსთაველი ეპისკოპოსი და მისი ძმა ამილი, აგრეთვე ხუთი სხვა კახელი დარბაისელი. ხმაურზე რუსი ელჩები მეფის სადგომისაკენ გაეშურნენ. მათ თვალწინ საშინელი სანახაობა გადაეშალათ: კონსტანტინე მირზას წინ ყიზილბაშ მხედარს მეფე ალექსანდრეს მოკვეთილი თავი ეჭირა, იქვე ეყარნენ დახოცილი კახელი თავკაცებიც.

კონსტანტინემ თავი კახეთის „მეფედ“ გამოაცხადა და რუსი ელჩები სასწრაფოდ გაისტუმრა თავისი ქვეყნიდან. ამ ფინალს აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა შემდეგი შეფასება მისცა: „რუსეთმა წააგო. შაჰ-აბასმა გაბედული დაკვრით გააქარწყლა კახეთში მოსკოვის ელჩობის ოცი წლის დიპლომატიურ-პოლიტიკური მონაპოვარი და ჩრდილოელ მოკავშირეს ენერგიულად აგრძნობინა, რომ ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არ მოითმენდა არა მარტო მოსისხარ ოსმალეთს, არამედ „მეგობარ“ რუსეთსაც კი“.

კახეთიდან რუსი ელჩები ქართლში გადავიდნენ, ხოლო იქიდან სწრაფად რუსეთს დაბრუნდნენ იქ შექმნილი რთული შინაპოლიტიკური ვითარების გამო. როგორც ცნობილია, 1605 წლის აპრილში ბორის გოდუნოვი გარდაიცვალა, ხოლო ქვეყანაში პოლონელთა ინტერვენცია (ცრუ დიმიტრი I) და გლეხთა დიდი მღელვარება დაიწყო.

უძლეური გამოდგა კონსტანტინეს „მეფობა“ კახეთში. მიუხედავად იმისა, რომ მას ძლიერი შაჰ-აბასი უმაგრებდა ზურგს, ვერ შეძლო კახეთის დამორჩილება და ბოლოსდაბოლოს იგი აჯანყებულმა კახელებმა მოკლეს იმავე 1605 წლის 18 ოქტომბერს. ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთში გაგზავნეს ალექსანდრე მეფის ძმისშვილი ბაგრატ იესეს ძე, თან შაჰ-აბასს მოსთხოვეს კახეთის მეფედ მის კარზე მყოფი ალექსანდრეს შვილიშვილი თეიმურაზ დავითის ძე დაემტკიცებინა. ოსმალეთთან გადამწყვეტი ბრძოლების მოლოდინში შაჰი მოერიდა კახეთში ახალი აჯანყების ცეცხლის დანთებას, ამავე დროს იმის შიშით, რომ რუსეთს კახეთში ბაგრატ იესეს ძე არ გაემეფებინა, სამშობლოში დააბრუნა თეიმურაზ ბატონიშვილი და დათანხმდა იგი კახეთში ქრისტიანული წესით გამეფებულიყო (1606 წ.) ეს იყო „ქართველობის“ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება.

რუსეთის მმართველმა წრეებმა, მიუხედავად გართულებული შინა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისა, ალექსანდრე მეფისა და მისი მემკვიდრის მოკვლის ამბავი უყურადღებოდ არ დატოვეს და ახალმა მეფემ, ვასილ შუისკიმ, შაჰ-აბასთან სპეციალური ელჩი ივანე რომოდანოვსკი მიავლინა, რომელსაც ენერგიული პროტესტი უნდა განეცხადებინა კახეთში მომხდარი მკვლელობის გამო, მაგრამ ამ ელჩობამ ისპაჰანამდე ვერ მიაღწია. რუსეთი სახალხო აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული და რომოდანოვსკი აჯანყებულებმა მოკლეს სარატოვში (1607 წ.) პოლონელი ინტერვენტების შემოსევებმა და სახალხო აჯანყებებმა საკმაოდ დაასუსტეს რუსეთის სახელმწიფო და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირი კარგა ხნით შეწყდა.

# სიყვარულის ფერადი მძივი

აკაკი გეწაძე

გულს ნუ გაიტეხ: მოგვეახლა ღამე ბნელიო,
ნუ შეგაშინებს წამიერი მზის დაბნელება.
ჩვენ შეიძლება სიძულვილი შემოგველიოს,
სიყვარული კი არასოდეს შემოგველევა.

* * *

შენ იყავ ჩემი რწმენა და ბედი,
არ ვუჩიოდი ჩემს ხვედრს და არჩიეს,
როცა გიყვარდი, მე მწამდა ღმერთი,
შემიძულე და უღმერთოდ დავრჩი.

* * *

სიყვარული დამაქვს მე კარიდან კარად.
ღმერთო, ღმერთო, ამას ნუ მომიშლი მარად!

* * *

ჩემს სიცოცხლეს სიყვარული სდევს,
სიძულვილი ვერასოდეს დამაზრობს.
ყოველ დილით ვესალმები მზეს:
მშვიდობა შენს მობრძანებას, ლამაზო!

* * *

თმაში გამიჩნდა ჭაღარას ჭირხლი,
მაინც შემომრჩა ოცნების ნიჭი...
შენ მაგონდები, როდესაც მილხინს,
შენ მაგონდები, როდესაც მიჭირს.

* * *

გავურბივართ მუდამ ვილაც მდევარს,
გულში გვიდუღს ხან მზე, ხანაც ბალღამი...
ყველა ადამს ენატრება ევა,
ყველა ევას ენატრება ადამი.

* * *

დღეს მეც მიგალობს შრიალი ხეთა,
მზემ დღეს ჩემს გულშიც გაიდგა ფესვი:
მე შენი გულის ღიმილსა ვხედავ
და შენი გულის სიცილიც მესმის.

* * *

მთები და ველები მზის ღვინით თვრებიან,
ხალისის ჩიტები გალობენ გუნდად.
ჩვენს შორის ზღვებია, ჩვენს შორის მთებია
და მაინც ერთად ვართ მუდამ.

* * *

არ დაკარგო კვალი, დაიხსომე კარგად,
ვაი მისი ბრალი, ვინც სიყვარულს კარგავს!

* * *

მწამს, ვერაფერი მე ვერ გამგმირავს,
მარად ვიქროლებ ფიქრთა მარულით,
ვიდრე იცოცხლებს გულში სამი რამ:
რწმენა, იმედი და სიყვარული.

* * *

მოგოგმანებს გოგო გზაზე,
მთელი ქვეყნის სილამაზე,
ცას ღიმილის შუქით ავსებს,
მზის გვირგვინი ადგას თავზე.
შემომხვდა სულში ღმერთი,
მზე ჩამიდგა ნათლის სვეტად...
და ვიწამე: ღმერთმა ჩემთვის
ანგელოზი გაიმეტა.

* * *

მიმატოვა მარტო გზაზე,
ხულ ცრემლსა ვღვრი მე იმ დღიდან
და ჩემს ყველა ნაცრემლარზე
ყვავილები ამოვიდა.
ცამ დარდი არ დამიძველა,
იმედიც ვერ დავიგულე
და ვურიგებ ახლა ყველას
ცრემლით მორწყულ თაიგულებს.

* * *

გზაზე სიყვარულს ხვდება ეკლები,
ხვდება ღიმილი, ხვდება ვარდები,
ხვდება ვედრებით ლოცვის მტრედები,
თეთრი ღრუბლები — თეთრი დარდები.

მთისკენ მოჰყვება ფერდობს ხევიანს,
ხვდება გზადაგზა სევდის ბორცვები.
ნამდვილ სიყვარულს სევდაც სჩვევია,
სევდა ნათელი — სავსე ოცნებით.

ახლა სიზმარშიც აღარ მშორდები,
თურმე სიყვარულს ასეც სცოდნია.
გულში მემსხვრევა დარდის ლოდები,
სულში ღრუბლები მიდი-მოდიან.

ღამე მიყუჩებს გულის იარებს,
ფიქრი მეხვევა ლამაზ ნისლებად...
ჩემი ოცნების თბილი მდინარე
შენი თვალების შუქით ივსება.

* * *

ცრემლში მიზის ღრუბლიანი მთა
და დღეები — იმ ცრემლითვე სველი.
ხალისი ხომ შენ წაიღე თან
და მე მხოლოდ დამიტოვე ცრემლი.
ბნელში ვეძებ შენს საპოვნელ გზებს,
ვინ მიშველის, ვისა ვთხოვო რამე?!
შენ წახვედი, თან წაიღე მზე
და მე მხოლოდ დამიტოვე ღამე.

* * *

შენი თვალები, შენი ღიმილი
მთა-ბარს ანათებს.
სული ამივსე ტკბილი ტკივილით,
უცებ დამათვრე.
შენთვის შრიალებს მწვანე ფოთლები
ჩემი ოცნების.
შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის მოვკვდები,
შენზე მლოცველი.

* * *

შენა ხარ ჩემი დილის სალამო,
ღრუბელი ჩემი მზის,
ჩემი ტკივილის შენ ხარ მალამო,
როცა ცრემლები მდის.
როცა მეხვევა ღამე ვარამის,
შენ ხარ იმედის ხმა
და ვინც მიშველის, ქვეყნად არავინ
არ მეგულება სხვა.

* * *

სიყვარული ზოგჯერ თურმე მზესაც აწვალებს.
არ იდარდო არასოდეს, შენ გენაცვალე!
ვარსკვლავები ზეცაში ასე მღერიან:
სიყვარულის თამაში ყველაფერია.

ალუდა არაბული,
რევაზ დანელია,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტები.

მესხეთ-ჯავახეთში ჩასული კაცისათვის პირველი შთაბეჭდილება წარუშლელია. ღრმა კანიონები, ზურმუხტოვანი მთები და ღელე-ხევები, თვალშეუდგამი [illegible] და ძერასფერი ქარაფები, ლაჟვარდოვანი კამკამა ტბები... ეს ყველაფერი თვალის ერთი გადავლებით ქმნის იმ მშვენიერ ხედს, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავხარ, მაგრამ ჰორიზონტზე როცა გამოჩნდებიან ნახანძრალი, თავმორღვეული და ფერდ-შენგრეული ციხე-კოშკები, მაშინვე ცოცხლდება თორ-აბჯარში ჩამჯდარი საქართველოს წარსული.

გახსენდება, რა მძიმე ჟამი და ქარტეხილების დამანგრეველი თარეში გადაუტანია ამ ღვთითმშვენიერ კუთხეს. რა სისხლის წვიმებს უწვიმია და რა ცოდო-ბრალის კალოები ულეწია, რა ტყვევნა, ყრა და გაოხრება ხვდომია წილად, რა გადაუტანია და რისთვის გაუძლია ამ მხარეს და აქაურ ქართველ კაცს! თუმცა, საერთოდ, ქართველისათვის ჭირი და სისხლის ღვრა არასოდეს ყოფილა უცხო მოვლენა, მაგრამ ამ მხარეს განსაკუთრებით მძიმე დღეები გადახდომია თავს, ყველა ქვა მის თავზე გატეხილა და ჟამთა სიავის ყველა ბორბალს მასზე გადაუვლია, გაუთელავს, გაუსრესია და გაუნადგურებია იგი.

ახლა ხედავ და გიკვირს, რა ძალამ გაამძლებინა და გადაარჩინა ის, რაც დღემდის კიდევაა შემორჩენილი. ჩანს, ქართველი კაცის სული იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი მოსპობა ვერავითარ ძალას, ვერავითარ ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებას ვერ შეეძლო.

ტყუილად როდი უთქვამს ჩვენს იგავმიუწვდომელ ხალხურ მელექსეს: „ვაჟკაცსა გული რკინისა აბჯარი თუნდაც ხისაო“. ამ რკინის გულით იდგნენ და უძლებდნენ ჩვენი შეუდრეკელი წინაპრები ჟამთა სვლის ორომტრიალს, ბედის უკუღმართობასა და აურაცხელი მტრის მოძალებას.

მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა იმის შემდეგ, წავიდა ის დრო და ახლა, დღეს, მესხეთ-ჯავახეთი დამშვიდებული და დაწყნარებული აშენებს ახალ ცხოვრებას, საერთო-საქვეყნო საქმის თავის წილ უღელს ერთგულად და მუხლჩაუხრელად ეწევა.

მესხეთ-ჯავახეთის მიწა დალოცვილი და მადლიანია. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აქ დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მეთევზეობა... „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ კახა ერისთავს (თორელს) უამრავი საქონლის ჯოგები ჰყავდა... ესეც რომ არ იყოს, ერთი ცნობილი ხალხური ლექსი კარგად ახასიათებს ამ კუთხის უხვნაყოფიანობასა და ბარაქიანობას:

# ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი

„მე ჯავახეთს რა მინდოდა,
მთვარე იდგა მზესავითა.
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა".

• • •

ისტორია კარგი და ბევრისმთქმელი რამ არის, მაგრამ დღევანდელობა, ხვალ რომ უკვე ისტორიად იქცევა, ყველა ადამიანს უდიდეს ვალს აკისრებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

— იცით თქვენ, ბარათაშვილი ამბობდა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!" აი, რა უნდა გვახსოვდეს ყველა ჩვენთაგანს, — გვეუბნება პარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივანი ედუარდ მესხიძე, — კაცის უპირველესი მოვალეობა სწორედ ესაა დღევანდელ დღეს, რომ სოფელზე, ხალხსა და ქვეყანაზე იფიქროს და იზრუნოს. საერთოდ ცხოვრება არცთუ ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. მას ყოველდღე სჭირდება ადამიანის ხელი, ფიქრი და ზრუნვა, გარდაქმნა, გაუმჯობესება და, თუ გნებავთ, გალამაზება, თუ ეს არ ჰქენი, გული და გონება არ დაღალე, ოფლი არ მოიდინე და მარჯვენა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, არ დაიკაპიწე, მაშინ წინ ვერ წაიწევ, ვერ გამოადგები ვერც ხალხს, ვერც ქვეყანას.

ცხადია, როდესაც რაიონის ხელმძღვანელობა ნათლად ხედავს ცხოვრების მიზანს, ეძებს მისი უკეთ მოწყობის გზებსა და საშუალებებს, ზრუნავს მშრომელი ადამიანის კეთილდღეობაზე, მაშინ ჩანაფიქრი დროულად ხორცს ისხამს.

უნდა ითქვას, რომ ახალქალაქის რაიონს მართლა ეტყობა მზრუნველი და საქმეში ზედმიწევნით ჩახედული კაცის ხელი. რაიონში შეუნელებელი ტემპით მიმდინარეობს ახალი ბინების მშენებლობა, შენდება ახალი მიკრორაიონი, საბაგირო გზების ქარხანა, სადაც მრავალი მშრომელი იმუშავებს, 1985 წლისათვის ექსპლოატაციაში შევა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი...

• • •

ახალქალაქის რაიონში მეურნეობის ძირითადი დარგებია მეცხოველეობა, მარცვლეული კულტურების მოყვანა და მეკარტოფილეობა.

ოკამის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ოთარ ნათინაძე მზით სახე გარუჯული ვაჟკაცია. ლაპარაკობს დინჯად, საქმის ცოდნითა და დაფიქრებით.

ოკამის მეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა. აქ ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მოჰყავთ ქერი, შვრია, ბარდა, კარტოფილი... მეურნეობას მრავალი მუშა ჰყავს, თავდადებულად რომ შრომობენ და ქმნიან საქვეყნო დოვლათს. მათ შორის უნდა დავასახელოთ: შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, მეცხვარე — ოთარ ოქრუაძე, მექანიზატორები — ჩახალ ნათენაძე და ფამბუხჩან მნაცაგანი, მწველავი — ლერი ნათენაძე და სხვები.

**არ შეიძლება, რომ აქვე არ მოვიხსენიოთ მშრომელთა გულისტკივილი ერთ გაჭიანურებულ საქმეზე: ვარძია-ოკამის წყალსადენის მშენებლობა კარგა ხანია დაწყებულია, მაგრამ როდის დამთავრდება არავინ უწყის! წყალსადენის მშენებელი ორგანიზაცია ყურად იღებს სოფლის ამ სატკივარს?**

მნიშვნელოვანია კოთელიის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვანო აჩელაშვილი) მიღწევები საკვების წარმოებაში. თუ ადრე კოლმეურნეობას წლების განმავლობაში აკლდებოდა საქონლის საკვები, ახლა, სასუქების დროულად შეტანისა და სათიბი ფართობების გონივრულად გამოყენების მეშვეობით, იგი სხვა რაიონებსაც ეხმარება საკვებით (მაგალითად, ახალციხის, ბორჯომის, ტყიბულის რაიონებს).

ვფიქრობთ, საყურადღებო მოვლენაა...

ახალქალაქში ცხოვრობს ერთი კარგი კაცი — არსენ კარაპეტიანი.

ტკბილი საუბარი იცის არსენმა... ქვა ქვაზე არ დევს მესხეთ-ჯავახეთში, ციხე არაა და ეკლესია არცერთი, რომ საკუთარი თვალით არ მოეხილოს მას, მისი ისტორია არ შეესწავლოს. თავანკარა ქართულით მოგვითხრობს იგი საქართველოს ამ მშვენიერი და მრავალტანჯული კუთხის თავგადასავალს.

არ მოგწყინდება არსენის ნაუბარი. აღტაცებით, სიყვარულით და ლამაზად ლაპარაკობს საქართველოს წარსულზე, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობაზე, ილია ჭავჭავაძესა და ოვანეს თუმანიანზე, კონსტანტინე გამსახურდიასა და ავეტიქ ისააკიანზე, ორი მოძმე ერის ლიტერატურაზე, ისტორიასა და დღევანდელ დღეზე...

ყველაფერი ეს ზედმიწევნით იცის არსენმა. სწორედ ასეთი კაცებით სულდგმულობს სიყვარული ერთა შორის...

• • •

იმ დღეს მზე ილვრებოდა ასპინძის მიწაზე. ლურჯად ხასხასებდა ლორთქო ბალახი შემოგარეებში, ველის ჭრელ-ჭრელი ყვავილები, ყაყაჩოები და თამარისთვალები მოსდებოდნენ მინდვრებს. ლადო ასათიანის არ იყოს, — ადგილის დედა ჩურჩულებდა.

ენაცვლებიან მწვანეში ჩაფლული სოფლები სოფლებს: ოშორა, რუსთავი, ოთა, ივერია, გულსუნდა...

მივდივართ ოთაში. ოთის წყალი ლურჯად მიიკლაკნება. გავცდით ასპინძის ციხეს, შორს გამოჩნდა კინჭუხზე გადმომდგარი ჩიტიკების ციხე. ოთაში, ღელისპირას, ჭალაში წამოჭიმულან ორსართულიანი ლამაზი სახლები. ეს ახალმოსახლეები არიან აჭარის მთებიდან. იზრდება, განზე იწევს სოფელი ოთა. ახალმოსახლეები თოხნიან სიმინდის ყანებს, დარბიან, ჰყივიან მზეში გახუხული შავტუხა გოგობიჭები. მომავალი ოთელნი, ასპინძელნი, ვარძიელნი, თმოგველნი, ხერთვისელნი, და ახალციხელნი.

დგახარ კაცი, უყურებ ამ მარადმოჩუხჩუხე სიცოცხლის წყაროს და გული იმედითა და სიხარულით გევსება.

აღსდგა ნასოფლარები — ივერია და გულსუნდა.

მალე ფიასა და ნარმანში დაბრუნდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მესხი ახალგაზრდები.

რაიონის ხელმძღვანელობა ფიქრობს, სიცოცხლე დაუბრუნოს ძველთაძველ ქართულ ნასოფლარებს: ალანძიას, ზავრას, როკეთს, ზედა ვარძიას, აგარას...

მედეა წიწქალაძე — პარტიის ასპინძის რაიკომის მეორე მდივანი გასაოცარი გულისხმიერებით ლაპარაკობს მშრომელ ადამიანებზე. აღდგენილ სოფლებზე, დიდ ასპინძაზე — მომავალში რომ იქნება.

• • •

კოპწია კაკბები დაგოგმანებენ თმოგვის ფერდობებზე. დგას ბევრის მომსწრე თმოგვის ნანგრევი. დაბლა, ქარაფის კალთებს ლოკავს ჩამავალ მზეზე ვერცხლისფრად მოლაპლაპე არტაანის მტკვარი. გაღმა მოწყენილად გამოიყურება „ვანის ქვაბები" — მონასტერი გამოქვაბული. ხელმარჯვნივ ვარძიაა, ხელმარცხნივ კი შორს — ქედნისფერ სივრცეს გასჩრია ხერთვისის ქონგურები.

ციხე-კოშკებით, ეკლესიებითა და მონასტრებით მოფენილია მესხეთ-ჯავახეთის დალოცვილი მიწა. რად ღირს თუნდაც კუმურდოს გუმბათიანი ეკლესია, საფარის მონასტერი (ანსამბლი), ზარზმის მონასტერი (ანსამბლი) და სხვა მრავალი.

დიდი წინაპრის ლანდი და მისი უკვდავი

სული წამითაც არ სცილდება ამ ადგილებს. „კურთხეულ იყო ასპინძა!“.

ასპინძიდან ახალციხისკენ მიმავალ გზაზე კაცს უნებლიედ გაახსენდება ზერდაგებზე ამხედრებული მესხთა ლაშქარი. მესხნი ხომ საქართველოს სამეფო ჯარში მეწინავენი იყვნენ! პირველნი ეგებებოდნენ მტერს და პირველნი ეცემოდნენ ბრძოლის ველზე! მტერის კორიანტელი მისდევდა, ალბათ, ამ ხეობაში თქარათქურით ჩავლილ ლაშქარს...

ახალციხის ნანგრევი გადმომდგარა მდინარის თავზე. რა დრო იყო, რა ჟამი ბრუნავდა, ანდა მერმე რა ვეფხვისნაირი ვაჟკაცები იყვნენ ძმანი ახალციხელნი — ივანე და შალვა. და შემდეგ ყველასთვის ცნობილი ამბავი: საგორავებით ჩაქოლილი ივანე და ხმლით აკუწული შალვა...

კურთხეულ იყოს მათი სახელიც!

...დანარჩენი კი ცალკე ნარკვევის თემაა ახალციხეზე, მისი დღევანდელობა და მშრომელი ადამიანები...

* * *

ადიგენის სანახები ლამაზად შეფენილა მდინარე ქვაბლიანის გაღმა-გამოღმა. ცალკერძ ცის ლაჟვარდებს შეჰყუდებია უზმარეთი და შაშვის წვერი, ხოლო ცალკერძ ნისლით დაჯანღულ მთის კორტოხზე ამაყად გადმომდგარა ოქროს ციხე...

„რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი...“

პარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი ჯემალ ნაკაშიძე რაიონის პერსპექტივებზე გვესაუბრება. გვაცნობს რაიონის სასურსათო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ხორცისა და რძის წარმოების გადიდებას.

დიდი და კეთილშობილი გეგმები აქვს რაიონს დასახული. ამ გეგმების განხორციელება გაზრდის მშრომელთა კეთილდღეობას, გადააქცევს რაიონს ერთ-ერთ მოწინავე რეგიონად რესპუბლიკაში.

შემდეგ კი პარტიის რაიკომის მდივანი ნინო მეტრეველი კიდევ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს იმ ძვრებსა და სიახლეებზე, რაც ამჟამად რაიონში მიმდინარეობს.

* * *

ისევ ცოცხლდება უტყის უბანი. ამ, მთის ფერდობზე ლამაზად ჩასმულ ნასოფლარში, ისევ მოსულა ქართველი კაცი, საძირკველი გაუჭრია, — მკვიდრდება და ფესვს მტკიცედ იდგამს. აქ მალე, სულ მალე დაირწევა აკვნები. უშშვენიერესი ქართული იავნანა კვლავ მოეფინება ამ მიდამოებს, ტკბილად და უშფოთველად ჩააძინებს მომავალ საგინაძეებს, ლორჯომელაძეებს, პაქსაძეებს, კოჩალიძეებს, გელაძეებს, შაინიძეებს, ართმელაძეებს...

უტყის უბნის ახალმოსახლენი ახალგაზრდები არიან. ბაღ-ბოსტნებში, — ვაჟას სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, — უკვე კოწიწობენ და ჩუჩუნებენ ახალგაზრდა დედები, ყანებში ტრიალებენ ვაჟკაცები... უტყის თავზე ჩახჩახა მზე ანთია.

შენდება სოფელი. რაიონის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა დროულად მიაწოდონ ახალმოსახლეებს საშენი მასალა, გაუწიონ მატერიალური და მორალური დახმარება. გათვალისწინებულია სულ მოკლე ვადაში აშენდეს სკოლა, მაღაზია, მოიხრეშოს სოფელში შემავალი გზა. გაიყვანონ ელექტროშუქი, ტელეფონის ხაზი...

რაიონული სახალხო კონტროლის თავმჯდომარე — ვალიკო თათოშვილი გზადაგზა გვაცნობს რაიონის ადამიანებს. იგი თითქმის ყველას იცნობს, იცის ყველას შრომითი ბიოგრაფია, ყველას სიხარული თუ საწუხარი. ზარზმასთან გზაში ტრაქტორი შემოგვხვდა. ტრაქტორს კომბინეზონიანი გოგონა მართავდა. ვალიკომ მანქანა შეაჩერა და გვეუბნება:

— ეს პირველი გოგონაა, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ ტრაქტორის საჭეს მიუჯდა.

დალი ბალდოშვილი კომკავშირელია. ჯერ შრომით ბიოგრაფიას ქმნის, შემდეგ კი სურვილი აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში.

რაიონის ახალგაზრდობისთვის — მისაბაძი მაგალითი.

აქვე უნდა ვთქვათ ბადრი თინიძის ამბავი. იგი მერვე კლასის მოსწავლე და რვა და-ძმის მეცხრე ძმაა. ბადრის გადაწყვეტილი აქვს, სწავლა გააგრძელოს ტექნიკურ სასწავლებელში და შემდეგ კი თავის მშობლიურ ზარზმას დაუბრუნდეს, იშრომოს და იცხოვროს მშობლიურ კერაზე.

* * *

ძველი ქართული სოფელი უდე. აქ ოდითგანვე მკვიდრობენ მერაბიშვილები, ზაზაშვილები, თათოშვილები, ბოჩიკაშვილები, აფრიამაშვილები...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე პავლე მერაბიშვილი დაწვრილებით მოგვითხრობს სოფლის ავ-კარგზე. სოფელი დიდი და ძლიერია. აქვს ორი საშუალო სკოლა, ერთი საღამოს სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, სავაჭრო ცენტრი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, პიონერთა ბანაკი სამოც ბავშვზე. უნდა ითქვას, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს სოფელში.

**ერთია მხოლოდ: წყალი არ ყოფნის 1800 კომლიან სოფელს...**

* * *

ზაზანო — მიტოვებული სოფელი. საძირკველი აქაც ჩაუყრიათ უკვე. მალე აქაც ისევ დასახლდება ქართველი კაცი.

გზა პირშემართოს მიუყვება. ხავსიან ლოდებში მოწანწკარებს ჩხრიალოს ხევი. ფიჭვნარის კორომებში მოქცეულა ირმის ჭალა. იშლება გულშემძვრელი პეიზაჟი. მიწიდან სვეტივით ამოზრდილ კლდის თავზე დგას ფერდგახვრეტილი საძალოს ციხე და ამაყად გადმოჰყურებს ჩხრიალოს ხევსა და ირმის ჭალას.

# ერთი დღე ბიჭვინთაში

**1969 წლის აგვისტოში პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა დამიანე ჯიჯელავამ კონსტანტინე გამსახურდიასაგან ბარათი მიიღო, ბიჭვინთაში იწვევდა თავის კეთილ მეგობარს.**

**29 აგვისტოს ვესტუმრეთ დიდ მწერალს. ქალბატონმა მირანდამ მაშინვე ზღაპრული სუფრა გააწყო. თამადა თავად კონსტანტინე ბრძანდებოდა.**

დიდოსტატი მალე გამხიარულდა, მეუღლეს გაეხუმრა:

— მირანდა, ეს წიწილი უფროთოდ დაიბადა?

მე მაშინვე მივართვი წიწილის ფრთა, თან ერთი მეგრული ზღაპარი გავიხსენე, დედამთილმა რომ ჰკითხა რძალს, ქათმის რა ნაწილი გიყვარსო. — ქათმისა, დედავ? — უპასუხა რძალმა, — რომ დაფრინავს, დადის, ზურგზე ახურია და მკერდზე ეხურება.

ბატონმა კონსტანტინემ ჩაიცინა და თქვა, აფერუმ, ჩემი მადის ყოფილა ის პატარძალიო. ბევრი ვიცინეთ.

ამას მასპინძელმა მოაყოლა ერთი ძველი ამბავი:

— ინგლისში ვიყავი. საღამოს ცოტა შეზარხოშებული გამოვედი ქუჩაში, საფოსტო ყუთს ვეძებდი, წერილის გაგზავნა მინდოდა. ბევრი ვიარე. პოლიციელი შემხვდა. მისტერ, ასე გვიანობამდე რას აკეთებო, მითხრა. ამხანაგს ვუცდი, ნახევარ საათში მოვა-მეთქი, ვუპასუხე. თან აზრზე აღარ ვიყავი, რომელ ქუჩაზე ვიმყოფებოდი; გავიდა ნახევარი საათი, კვლავ დამადგა თავზე პოლიციელი და მითხრა, ახლავე მიბრძანდით აქედანო. მე შეურაცხყოფად მივიღე, ხანჯალზე ხელი გავიკარი და მაშინ გამახსენდა, სად ვიმყოფებოდი.

იმ დროს ჟურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „ბერლინელი წულუკიძეები“. ბერლინელი ექიმის გოგი წულუკიძის დედა, სახელგანთქმული მკურნალი პროფესორი ქრისტიანე (ბადუ) თოდუა-წულუკიძე, ჩემი ახლო ნათესავი იყო და ძალიან მაინტერესებდა ყველაფერი მათ შესახებ. მწერალმა გაიხსენა ბერლინში მათთან გატარებული დღეები, მათი დაუოკებელი სიყვარული საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

მერე დიდოსტატმა სიმღერა წამოიწყო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ უნიჭო თანამესუფრენი ჰყავდა...

დაუვიწყარია ეს დღე ჩემთვის.

**ვარლამ როდონაია,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კეშალმაძე



მხატვარი სპარტაკ ცინცაძე.

მოთხრობა

# სახლი გარეუბანში

ეს ოთახიც ერთი უბადრუკი სორო იყო. იგი არაფრით სჯობდა იმ ბინებს, მრავლად რომ ჰქონდა აბოს მოცვლილი ქალაქის სხვადასხვა უბანში, მაგრამ არც დიდად ჩამორჩებოდა; ასე რომ აბომ, როგორც კი დაბინავდა, შვებით ამოისუნთქა, საკუთარ სტიქიაში იგრძნო თავი. თუმცა, თანაკურსელთაგან ვინც კი ეწვია, ახალი ბინა ყველამ დაუწუნა, ეს რა საცოდავი გომურია, დიდი ქვახარშია უნდა იყოს შენი დიასახლისი, ოც მანეთს რომ გახდევინებსო. მე კი მიღირსო, თქვა აბომ, ჩემი საქმე მე ვიციო. „თავისი საქმე" დიასახლისმაც კარგად იცოდა, ამაში აბო მაშინვე დარწმუნდა, ფასზე რომ დაიწყეს მოლაპარაკება. ქალი აწუწუნდა, მარტოხელა ვარ, ერთი ბიჭის ამარაო. ქალიშვილი გავზარდე, გავათხოვე და მაინც ხელებში მიყურებსო. ეს ოთახი, შვილო აბო, გენაცვალე... აბო გქვია, ხომ? პატარაკია, მაგრამ სამაგიეროდ, ხედავ სად ვცხოვრობთ? თითქმის ქალაქის ცენტრში. ნახე ერთი, რა წყნარი, განმარტოებული სახლია, რა მყუდრო ეზო. მეცადინეობით რომ დაიღლები, გარეთ გამოხვალ, ისეირნებ, თვალს წყალს დაალევინებ, არავინ ხელს არ შეგიშლის. ოთახი პატარა რომაა, უკეთესიცაა ზამთარში...

აბომ ძლივს შეიკავა ღიმილი. ზამთრის თვეებს იგი, როგორც წესი, სტუდქალაქში ატარებდა, ჩაწერილი იქ იყო და ერთი იქაური ლოგინი და კომოდი მუდამ ერთგულად ელოდა აბოს დაბრუნებას.

ჰოდა, იმას ვამბობდიო, განაგრძობდა დიასახლისი, უნივერსიტეტიც აგერ გაქვს ორ ნაბიჯზე და ოცდაათ მანეთად ეს ოთახი თითქმის მუქთიაო. თანაც ორი თვისა ერთად უნდა გადამიხადო, შენთვისაც ასე სჯობია: მთელი ორი თვე თავისუფალი იქნები და მეც ამ ჩემს მალხაზს საშემოდგომოდ ქურთუკს ვუყიდიო. დიასახლისის ამ ენერგიულ შემოტევას აბო მისთვის უჩვეულო სიმტკიცით დახვდა (თვითონვე უკვირდა მერე), სტიპენდიაა ჩემი ერთადერთი სახსარი და ოც მანეთს კაპიკსაც ვერ დავუმატებო, განაცხადა მან ისეთი შეუვალი კილოთი, რომ დიასახლისი მაშინვე მიხვდა, ფასზე მოლაპარაკება დამთავრებული იყო.

ეს ოთახი აბოსთვის იმ წელს უკვე მეორე ბინა იყო. გაზაფხულზე სადღაც დასაკარგავში ცხოვრობდა, ქალაქის უშორეს უბანში. იმ ქუჩას, მგონი, მეორე თუ მესამე დოლაბაურის ხევი ერქვა. როგორ მოხვდა იქ, ვინ მიასწავლა, თვითონაც არ ახსოვდა. დილით, უნივერსიტეტისაკენ რომ გამოსწევდა, სამი სახის ტრანსპორტის გამოცვლა უხდებოდა და ყოველ დილით ისე ბეგვავდნენ და ზელდნენ აბოს მგზავრებით გაჭედილ ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში, რომ იმ გაზაფხულზე შვიდი კილო დაიკლო. ჩასკვნილ-ჩასხმული არც იქამდე იყო და მთლად ჩონჩხად იქცა, კაცს ყბებში სინათლე გასდიოდა. სწორედ იქ იყო, ბიძაშვილი რომ ესტუმრა ტოტებშემოფლეთილი შარვლით. კაცი ლექტორი იყო, ფსიქოლოგიას კითხულობდა, რაღაც პრობლემებს იკვლევდა და ამის გამო საკმაოდ ხშირად უხდებოდა თბილისში ჩამოსვლა. ბუნებრივია, რომ იგი, იშოვიდა თუ არა დროს, აბოს თანაკურსელებთან ბიძაშვილის ახალ მისამართს დააზუსტებდა და მის მოსაძებნად გასწევდა. მოხდა ისე, რომ ფსიქოლოგს ამ მისთვის სავსებით უცნობ უბანში გზა აებნა, სადღაც ღელე-ღელე და ხევ-ხევ იარა მთელი საათნახევარი, გზადაგზა გაავებულ ძაღლებს გადააწყდა და შარვლის ტოტიც იზარალა, აბოს რომ მიაგნო, უთხრა, ახლა კი მივხვდი, ამ სიშორეზე რისთვის წამოსულხარ, ასეთ ბოსელს სხვაგან სად იშოვიდიო. ჩემს პრობლემებს რომ მოვრჩები, შენი ფსიქოლოგია უნდა გამოვიკვლიო, შესასწავლი კაცი ხარო... ამ ქუჩას და ბინას კიდევ არა უშავსო, მიუგო აბომ სიცილით, შენ ჩემი სახლის პატრონი უნდა ნახოო. არც ცოლი ჰყავს, არც შვილი, რომელიღაც შორსმიმავალ მატარებელზე კონდუქტორად მუშაობს, სახლში კვირაში ერთხელ თუ შემოივლის, ისიც აუცილებლად შუაღამეზე, ასე ორსა და სამს შორის, უეჭველად გამომაღვიძებს და ფულს მომთხოვს. გათენებამდე უნდა ვუმტკიცო, რომ უკვე გადახდილი მაქვს ქირა. ამაში რომ დარწმუნდება (ან ვინ იცის, დარწმუნდება კი?), ბუზღუნ-ბუზღუნით თავისი მატარებლისკენ გასწევსო. ამ ბინაში (დოლაბაურზე) აბომ საბოლოოდ გადაამუშავა, გაასწორა და დახვეწა პატარა პოემა, შარშან საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე დაბეჭდვის რეკომენდაცია რომ მიიღო.

სახლი ორსართულიანი იყო, უკვე მოძველებული, მომცრო; ეზოს ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული — პატარა ციხე-სიმაგრეს მოგაგონებდათ. გალავნის ზედაპირზე ბოთლების ნამსხვრევები იყო დაცემენტებული, ზედ გადმოცოცების მსურველთა დასაშინებლად. მეორე სართულზე დიასახლისი ცხოვრობდა თავისი ვაჟით. ის ოთახი კი, აბომ რომ დაიქირავა, პირველ სართულზე იყო. მას ფიცრის თხელი კედელი ჰყოფდა ვრცელი სათავსოსაგან, რომელიც სახლის პატრონს შეშით, ძველი, დამსხვრეული ავეჯით, ძველმანებით და სხვა ათასი, აბოს აზრით, ყოვლად უვარგისი ხარახურით გამოეტენა. ოთახში სიგრძეზე ძლივს ეტეოდა ერთი პატარა საწოლი, სიგანე კი კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდა. ჭერი ისე დაბალი იყო, დიასახლისის ალაწოდა ვაჟი ვერ იმართებოდა შიგ. პატარა სარკმელი არ ილებოდა; კარი პირდაპირ კიბის ქვეშ გადიოდა და ოთახში მუდამ ბნელოდა. აბო იძულებული იყო, სინათლე დღისითაც ჩართული ჰქონოდა.

დიასახლისი ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ქალი იყო. ქმარი მოუკვდა თუ გაექცა, აბოს ჯერჯერობით ვერ გაერკვია. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარა იყო, ქალს საამისო დარდები კარგა ხნის მონელებული და მოთავებული ჰქონდა. იცვამდა მხიარულ, ახალგაზრდულ ტანსაცმელს, თამამად იცინოდა, ხალისიანად ღიღინებდა, მღეროდა, მთელი ხმით აღრიალებდა რადიოსა და ტელევიზორს, უკრავდა პიანინოსაც კი, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ აბოს ხშირად უფიქრია, ნეტა ეს ქალი კლავიშებზე ზურგს ხომ არ იფხანსო. დიასახლისს ხშირად ეწვეოდა ხოლმე გათხოვილი ქალიშვილი, რომელიც საოცრად ჰგავდა დედას გარეგნულად და ხასიათითაც. მასავით ხმაურიანი და მოუსვენარი იყო. იგი ჯერ დედას ეჩხუბებოდა, ჯანმრთელობას რატომ არ უფრთხილდებიო, მერე ძმას გათათხავდა, დედას დაუჯერე, ჯიუტი და უქნარა ნუ ხარო, ბოლოს მხატვრულ განყოფილებაზე გადავიდოდა: პიანინოს უბრახუნებდა, მღეროდა, უსტვენდა, ცეკვავდა კიდეც, ისე, რომ მთელ სახლს აზანზარებდა. ამ დროს აბოს კარგა ბლომად აცვივოდა თავზე მტვერი. ბიჭი კი არც დედას ჰგავდა და არც დას — ნამეტანი ზანტი და ზოზინა იყო. გამხდარსა და მაღალს მხრებაწურული სიარული უყვარდა და ამიტომ ბეჭებში მოხრილი ჩანდა. სკოლიდან დაბრუნდებოდა თუ არა, მოკრივეს ხელთათმანებს გაიკეთებდა. ეზოში დადიოდა და რასაც კი მიწვდებოდა, ყველაფერს მუშტებს უბრაგუნებდა და თან გაიძახოდა მუდამ ერთსა და იგივეს: „ბახ-ბუხ... დუმ-დუმ-ბახ...“ განსაკუთრებით უყვარდა ჩხუბი სილითა და ნახერხით გატენილ ტომარასთან, რომელიც ზედ აბოს ოთახის კარწინ ჩამოეკიდებინა კიბის ქვეშ. ზოგჯერ ისე თავგამეტებით დაეტაკებოდა იმ ტომარას, რომ ბოლოს არაქათი გამოეცლებოდა და დაოსებული იქვე ჩაიკეცებოდა. აბოს თუ შინ დაიგულებდა, აუცილებლად ეწვეოდა, შუა ოთახში დაერჭობოდა და კედლებს მუშტებს ულაწუნებდა. „ხედავ, რა დარტყმა მაქვს? ბუხ-ბუხ-ბახ...“ ფიცრულ კედელს თავისი გაჭირვება ჰყოფნიდა და ამ ბიჭმა სულ მოუთავა ხელი. „არ გაიტანო, ბიჭო, მაგ კედელი“, გააფრთხილებდა დროდადრო აბო. „ერთი რომ მაგრად ვატაკო მუშტი, მართლა გავიტან, ხომ იცი...“ „მერე შენ გადაურჩები დედაშენს?“ „დედაჩემს ვინ კითხავს... დუმ-დუმ-ბახ...“ აბო ცერად ახედავდა თავის აბეზარ სტუმარს და ფიქრობდა, ერთი პანღური ახლა ამისთვის წამალი იქნებაო. არა და რამ სიგრძეა, როდის გაიზარდა ამოდენა. რანაირი საქმეა, მეათეკლასელი ლაწირაკი და ისიც ასეთი სულელი ზემოდან რომ დაგყურებს, თითქოს ოჩოფეხებზე დგასო... „რას წერ... ბახ-ბახ... რა გაქვს ამდენი საწერი?“ ეს ვის გადაეყარეო, წუხდა, ნერვიულობდა აბო, ისევ ეფანტებოდა თავმოყრილი აზრები, ბოლოსდაბოლოს ავდგები, ჩავუკეტავ კარებს, აღარ შემოვუშვებო. ფულს ვიხდი მე ამ ოთახში... თუ კი ამასაც ოთახი ჰქვია. „რას კითხულობ? კარგი წიგნია? ბუხ-ბუხ...“ „გიყვარს კრივი?“ — ჰკითხა აბომ მოულოდნელად. „მიყვარს, აბა არ მიყვარს?“ „შენ რომ გიყვარს, ეგ ცოტას ნიშნავს. შენგან მოკრივე არ დადგება“. „რაო? — იფეთქა ბიჭმა და ერთიანად დაიძაბა, — რატომ არ დადგება?“ „მოკრივე ცეცხლივით უნდა იყოს... რაა, რანაირი ლოხი ხარ, თითქოს ფეხზე სძინავსო“. „მე მძინავს? მეე? დუმ-დუმ-ბუხ-ბუხ-ბახ-ბახ...“ გაცხარებულმა ვეღარ მოზომა და უცებ ოთახის იმ ერთადერთ სარკმელში გაუყარა მარცხენა ხელი. „შენ ჭკუაზე ხარ?! იყვირა აბომ. „სს... გაჩუმდი თუ ძმა ხარ... მოვიტან და მე თვითონ ჩავსვამ მინას. დღესვე... დედაჩემმა თუ გაიგო, ხომ იცი, რა ფეთიანია, ამომჭამს გულს“.

მოკრივეს, რა თქმა უნდა, მინა არ ჩაუსვამს. ზედვე ეტყობოდა, რა სიტყვის პატრონიც უნდა ყოფილიყო და არც აბოს მიუძალებია. კაცმა რომ თქვას, მინა იქ სულაც არ იყო საჭირო. სარკმელი ხომ ჩაჭედილი იყო და ოთახის გასანიავებლად აბოს კარის გაღება უხდებოდა, კიბის ქვეშ კი რა სასიკეთო ჰაერი უნდა ყოფილიყო. ახლა კი ოთახს უკვე ჰქონდა მუდმივი საჰაერო-სანიავებელი. რაც შეეხება დიასახლისს, მას არ შეუმჩნევია, სარკმელში მინა ჩალეწილი რომ იყო და ვერც შეამჩნევდა, სანამ თვე არ გასრულდებოდა და ბინის ქირის აღების დრო არ დადგებოდა. სხვა მხრივ მას თავის მდგმურთან და მის მიერ დაკავებულ ოთახთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. პირისპირ თუ არ შეეჩეხებოდა, სალმისთვისაც არ იწუხებდა თავს. მისი აზრით, კაცს, რომელსაც ასეთ სოროში ედო ბინა, მეტი პრეტენზიის უფლება არც უნდა ჰქონოდა. რა ვუყოთ, რომ სტუდენტი იყო, რომ უნივერსიტეტში სწავლობდა. მთელი თბილისი სტუდენტებით იყო სავსე და ყველასგან მინისტრი და რაიკომის მდივანი არ დადგებოდა. აბო მაინცდამაინც პატივმოყვარე არ იყო და ასეთი ურთიერთობა ერჩია. მას თავისი განუწყვეტელი გადასვლა-გადმოსვლების დროს ისეთი დიასახლისებიც ბევრი შეხვედრია, სისხლს რომ უშრობდნენ უმიზნო ლაქლაქითა და მეტისმეტი ყურადღებით. მას აშკარად ასეთი შორსმდგომი, ცხვირაბზუებული დიასახლისი ერჩია.

რა დიდი იყო მისი გაოცება, როცა ერთხელ, ლექციებიდან დაბრუნებულს, დიასახლისი კიბეზე დადარაჯებული დაუხვდა და სახლში შეიპატიჟა: „მობრძანდი, აბო, გენაცვალე, მობრძანდი.. მგონი შენ აბო გქვია ხომ?“ „კი, ქალბატონო, აბოს მეძახიან“. და სავსებით მოულოდნელად აბო გაწყობილ სუფრასთან აღმოჩნდა. მთელი ოჯახი იქ იყო თავმოყრილი: დიასახლისის მეათეკლასელი ვაჟი, ქალიშვილი და სიძე. საკმაოდ სიმპათიური, მაგრამ თავის ასაკთან შეუფერებლად სქელი და თმაშეთხელებული. იგი წყნარად იჯდა თავისთვის და ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდით, ძალიან ეჩქარება წასვლა, მაგრამ ძალად იჭერენო. აბო რომ შევიდა, ფეხზე ადგა და მოწაფესავით ხელებჩამოშვებული გაშეშდა. მორცხვად, თავაზიანად იღიმებოდა. „აი, ეს გახლავთ ჩვენი აბო“, — უთხრა დიასახლისმა ქალიშვილსა და სიძეს. ერთმანეთი გაიცნეს და მასპინძლებმა აბო დიდი მოწიწებით და თავაზით მიიწვიეს სუფრასთან. აბო დაჯდა. დიასახლისის ქალიშვილმა მაშინვე სუფთა თეფში და ჭიქა მოურბენინა. „მიირთვით. თქვენი შესაფერისი სუფრა არა გვაქვს, მაგრამ...“ „როგორ გეკადრებათ... დიდებული სუფრაა...“ დიასახლისის ვაჟი შუა ოთახში დაყუდებულიყო, ხელთათმანები არ ეკეთა, მაგრამ მაინც მოკრივეს პოზაში იდგა, მარჯვენა ხელით სახეს იფარავდა, მარცხენას კი კომბალივით იშვერდა წინ: „ბუმ-ბუმ-ბახ...“ „რას გავხარ, მალხაზ, — უთხრა დამ, — მოდი, ბიჭო, სუფრასთან, სტუმარს პატივი ეცი“. „არ მინდა მე არაფერი...ბუმ-ბახ...“ „ბიჭი შეხტა და შეცუნცრუკდა. მარცხენა ისევ წინგაშვერილი ეჭირა: „მაგ თქვენმა აბომ, იცით, მე რა მითხრა? შენგან მოკრივე არ დადგება. ფეხზე გძინავსო... მძინავს ახლა მე?“ „გეხუმრა შე შტერო, ხუმრობა ვერ უნდა გაიგო?“ „აბო, გენაცვალე, — ჰკითხა დიასახლისმა, — დედ-მამა ხომ ჯანმრთელად გყავს?“ აბომ თავი ასწია, ქათმის ბარკალი ფრთხილად დადო თეფშზე და თითები ხელსახოცზე შეიწმინდა. „მამა არა მყავს, შარშან მოკვდა“. „ოო, ცუდია, ცუდი... მაგრამ რას იზამ. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“. „დიახ... რას იზამ...“ „და-ძმა როგორ არიან?“ „გმადლობთ. არ უჩივიან ჯანმრთელობას“. „მშობლების სადღეგრძელო იყოს“, — თქვა სიძემ და ჭიქა ასწია. „ბედნიერია დედაშენი, ჩემო აბო, — უთხრა დიასახლისმა, — ამისთანა შვილი რომ გაგზარდა. ალბათ როგორ ამაყობს“. „ამაყობს“ რა აქვს საამაყო ქალბატონო?“ „ხედავ, რა თავმდაბალია?! — შეჰყვირა დიასახლისის ქალიშვილმა, — სხვა ქვეყანას აიკლებდა, ესა ვარ და ისა ვარო!“... „სავსე თავთავი თავს დაბლა ხრის... ჩემსავით... ბუმ-ბუმ-ბახ“... თქვა მალხაზმა. „დავლიოთ აბა ახლა კიდევ თითო ჭიქა და ვადღეგრძელოთ ჩვენ-ჩვენი მომავალი და ჩვენ-ჩვენი საქმიანობა და ჩვენ-ჩვენს წარმატებას გაუმარჯოს“, თქვა სიძემ.

კარგად შეზარხოშებული იყო აბო, მასპინძლებს რომ დაემშვიდობა და კიბეზე დაეშვა. კმაყოფილი ცოტა ხანს ეზოში გაჩერდა და ღრმად ჩაისუნთქა შემოდგომის მსუყე ჰაერი. მძიმე ტვირთი კია სახელ-დიდება, მაგრამ კარგია მაინც. კარგია, როცა გაფასებენ, შენთან ურთიერთობა, საუბარი შეხვედრა სიამოვნებთ; რა სიამოვნებით გაუმასპინძლდნენ ყოველგვარი შურის, ანგარების, მზაკვრობის გარეშე. უცებ აბოს ლექსის დაწერა მოუნდა და თავისი ბუნაგისაკენ გაქანდა, სინათლე აანთო და შემკრთალი კარებში გაშეშდა: მის საწოლზე თანაკურსელი და უახლოესი მეგობარი მამუკა მამიაური გა-

(გაგრძელება მე-16 გვერდზე).

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მარგალიტა მეტრეველი.



ალექსანდრე გრიბოედოვი სტუმრად ალექსანდრე ჭავჭავაძესთან.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი შოთა მეტრეველი.



მეფე ერეკლე მეორე რუს სარდლებთან ერთად სიღნაღში.

ეროვნული ბიბლიოთეკა








# საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები რსფსრ–ში

## სტავროპოლის მხარე



სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მურახოვსკი (მარჯვნივ), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჩითანავა (შუაში) და სტავროპოლის სახალხო დეპუტატთა სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ტ. ტარანოვი.



რაუდენ ჭანტურია (ტყვარჩელი) და საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი ვიქტორ ვასილის ძე გორბატკო.









ფოტო „დროშის" სპეციალური კორესპონდენტის ბონდო დადვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი დავით გაბიტაშვილი და ვაჟა მიშველაძე.

მოზაიკური პანოები.

მხატვარი ვაჟა მიშველაძე



# ძიება გრძელდება

მოსკოვის ონკოლოგიური ცენტრი მოზრდილ ქალაქს წააგავს. უცხო კაცი აქ უთუოდ დაიბნევა მრავალსართულიანი კორპუსების ლაბირინთებში.

კლინიკას პოლიკლინიკები ენაცვლება, პანსიონატს — აფთიაქი, სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო დაწესებულებებს — უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები.

იმუნოთერაპიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ჩვენი თანამემამულეა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაირა ქადაგიძე.

იმუნოთერაპია მედიცინაში საკმაოდ ახალი დარგია. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კიბოს სიმსივნის მკურნალობაში ქირურგიის, დასხივებისა და სხვადასხვა ქიმიური პრეპარატების გამოყენებასთან ერთად, იმუნოთერაპიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას, სხვას რომ თავი დავანებოთ, მეტყველებს მოსკოვის ონკოლოგიურ ცენტრში განკურნებული ასობით პაციენტი.

სახელოვანი მეცნიერი ზაირა ქადაგიძე ორმოცი წლისაც არ არის. ჩვენი კეთილი მასპინძელი დინჯი და ტკბილმოუბარი გახლავთ. ვსხედვართ და ქართულად ვსაუბრობთ.

გონებაში თითქოს ნათლად ცოცხლდება ის ძიება და მომქანცველი შრომა, რასაც პატივცემული ზაირა ქადაგიძე და მისი ლაბორატორიის 64 მეცნიერი თანამშრომელი ეწევა წლების მანძილზე.

პროფესორის კაბინეტში შევიტყვეთ, რომ ყოველი ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში თურმე დიდი რაოდენობით ცოცხლობენ ე. წ. „საშიში ვირუსები". ამ მავნე ვირუსებს, დროთა განმავლობაში, საიმედოდ უმკლავდება ადამიანის ორგანიზმში გამომუშავებული იმუნიტეტი.

იმუნიტეტის დაქვეითება, ცხადია, ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. „საშიში ვირუსები" სწრაფად აქტიურდებიან და ხელსაყრელი პირობები ექმნებათ სხვადასხვა სიმსივნის, შემდეგ კი კიბოს დაავადების განსავითარებლად.

მავნე ვირუსების მიმართ იმუნიტეტის ამაღლება და ორგანიზმის შეუვალობის დაცვა, თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად გადაიქცა.

თორმეტიოდე წლის წინათ, როცა ზაირა ქადაგიძემ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, იმუნოლოგია, როგორც მეცნიერება, ონკოლოგიაში ის-ის იყო ფეხს იდგამდა.

ძიება იმუნიტეტისა, რომლის საშუალებით ორგანიზმი უკეთ გაუმკლავდება სხვადასხვა სიმსივნეს, — ეს იყო ახალგაზრდა მეცნიერის დისერტაციის დედაარსი.

ზაირა ქადაგიძემ სამამულო მედიცინაში, ხანგრძლივი ძიებით, პირველმა შეიმუშავა მკურნალობის მეთოდი, რომელმაც ცხოველებზე ცდის დროს სასურველი შედეგი გამოიღო. მეტოტრექსატის საგანგებოდ შერჩეული დოზით შეჯერებულმა ვაქცინამ ორგანიზმში დაქვეითებული იმუნიტეტის აღდგენა, სტიმულირება, „საშიშ ვირუსებთან" ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება გამოიწვია.

მეცნიერის წინადადება — ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები ავადმყოფ ადამიანებზე გამოეცადათ — სამეცნიერო საბჭომ მიზანშეწონილად ცნო.

იმუნოლოგიის კარდინალურ საკითხებს მიეძღვნა სადოქტორო შრომაც, რომელიც ზაირა ქადაგიძემ ხუთიოდე წლის წინათ წარმატებით დაიცვა. იგივე საკითხებია გაშუქებული აგრეთვე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ 46 სამეცნიერო ნაშრომში.

ჩვენი თანამემამულის მუშაობით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დაინტერესდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ჟურნალში შემოკლებით დაიბეჭდა ზაირა ქადაგიძის დისერტაცია.

საბჭოთა მეცნიერის მეთოდის გამოყენებით ფრანგმა და ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ახალი იმუნოპრეპარატები, რომლებმაც კიდევ უფრო წინ წასწიეს სიმსივნეთა მკურნალობის საქმე.

პროფესორი ზაირა ქადაგიძე მალე ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. იგი რამდენიმე თვე მუშაობდა ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ონკოლოგიურ ცენტრებში. მიღებული შედეგების გაცნობა-გაზიარების მიზნით, ზაირა ქადაგიძე მალე კვლავ ეწვია ამერიკელ სპეციალისტებს.



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაირა ქადაგიძე.

გამოირკვა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიღებული შედეგები სავსებით იდენტურია. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ კიბოს წინააღმდეგ საერთო ბრძოლა სწორი გზით მიდიოდა.

ზაირა ქადაგიძემ თავისი მუშაობის შესახებ ლექციები წაიკითხა აგრეთვე უნგრეთსა და იტალიაში. მას იწვევენ საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მოწყობილ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში...

ძიება გრძელდება.

— ალბათ შორს აღარ არის ის ჟამი, როცა სიმსივნეს დავამარცხებთ! — მასპინძელი ერთ წამს ყოვნდება. სათვალეს ისწორებს და ხმადაბლა ამბობს:

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჟურნალ „დროშის" მკითხველებს, ყველა ჩემს თანამემამულეს, დიდი სიყვარულით მივესალმო, ახალი შრომითი წარმატებები და პირადი ბედნიერება ვუსურვო.

**მედეა კეიდია,**

„დროშის" სპეციალური კორესპონდენტი.



# ხელოვნების დიდ სარბიელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახურმა ტრადიციებმა ბევრი რამ განაპირობა კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილის ცხოვრებაში. მამა და მამიდა ვასილ და თამარ შავერზაშვილები ცნობილი მუსიკოსები იყვნენ. დედა, გალინა პეტრეს ასული იურკოვსკაია, წარმოშობით პოლონელი, ვოკალში ცნობილმა პედაგოგმა ე. რიადნოვამ დაოსტატა თბილისში. „სახალხო სახლის“ სცენაზე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინისა“ და გუნოს „ფაუსტში“ თავისი პირველი გამოსვლებით (ტატიანასა და მარგარიტას პარტიები) მან საერთო ყურადღება მიიქცია. შემდეგ ოჯახმა გაიტაცა გალინა პეტრეს ასული და ველარ შეძლო საყვარელი საქმის გაგრძელება...

გალინა იურკოვსკაიას პაპა იყო რუსეთის საიმპერატორო თეატრის დირექტორი, პროგრესული მოღვაწე ალექსანდრე იურკოვსკი, დედის დეიდაშვილი მარიამ თევდორეს ასული ანდრეევა-იურკოვსკაია კი — სამხატვრო თეატრის გამოჩენილი მსახიობი და მოღვაწე. იგი გახლდათ დიდი საბჭოთა მწერლის მაქსიმ გორკის მეუღლე.

ცხადია, კონსერვატორიის შემოქმედებითმა გარემომაც დიდი გავლენა მოახდინა ალექსანდრე შავერზაშვილზე სტუდენტობის წლებში.

...ხელოვნების დიდი სარბიელი საკუთარი გზით სვლას მოითხოვს. ალექსანდრე შავერზაშვილს ბედმა ამ მხრივაც გაუღიმა. მისი მოძღვარი იყო სახელგანთქმული კომპოზიტორი, ანდრია ბალანჩივაძე.

განვლილი ოთხი ათეული წლის მანძილზე ალ. შავერზაშვილმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინა ქართულ საბჭოთა მუსიკას. ბევრი მათგანი შორს გახმაურდა და ფართო საკავშირო და საერთაშორისო აღიარებაც ჰპოვა.

ახლა, შემოქმედებითი მიღწევების ამ სიმაღლიდან, ფრიად საინტერესოდ „იკითხება“ კომპოზიტორის თვით პირველი ნაბიჯებიც კი („კონცერტშტიუკი“, 1940 წ. სუიტა ბალეტ „ელგუჯადან“, 1943 წ.), მაგრამ სულ სხვაგვარი ბრწყინვალებით წარმოჩნდება მისი პირველი ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი გამარჯვება — საფორტეპიანო ტრიო (1952 წ.), ალ. შავერზაშვილს რომ ფართო საკავშირო აღიარება მოუტანა. ამ ზეშთაგონებით დაწერილ ნაწარმოებს განსაკუთრებული წარმატება ხვდა 1953 წელს, საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებით პლენუმზე. ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის ამ გამორჩეულ ქმნილებას მეტად მაღალი შეფასება მისცა დიდმა საბჭოთა კომპოზიტორმა — დიმიტრი შოსტაკოვიჩმა. ალ. შავერზაშვილის შემოქმედებითი ზრდისათვის ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გაიზარდა და განივრცო ალ. შავერზაშვილის შემოქმედების ჟანრობრივი და თემატური თვალსაწიერი. გამოიკვეთა კომპოზიტორის უაღრესად ვრცელი და შინაარსიანი შემოქმედებითი გზის ისეთი საფეხურები როგორებიც არის: ოპერები — „მარინე“ (1954 წელს მოსკოვში, საკავშირო თეატრალური საზოგადოების საოპერო ანსამბლის მიერ შესრულებული, 1955 წელს კი უკვე თბილისის საოპერო თეატრის მიერ დადგმული) და „ოიდიპოს მეფე“ (1964 წელს საკონცერტო შესრულებით წარმოსახული); კონცერტი ვოკალისათვის (1981 წ.) და სხვ. მათ შორის, ფართოდ გახმაურებული მისი სასიმღერო ციკლი — „ჩემი მეგობარი — მესაზღვრეები“ (ტექსტი ი. ლაშკოვისა) და სიმღერები: „რაზე მეტყველებდა დუმილი“ (ტექსტი ა. ბეზიმენსკისა) და „იძინე მშვიდად, უცნობო ჯარისკაცო“ (სიტყვები ვ. დავიდოვიჩისა), სამამულო ომის თემაზე დაწერილი ღრმად შთამბეჭდავი „დრამატული სცენები“, რომელთა შექმნისათვის ალ. შავერზაშვილს 1973 წელს, მიენიჭა ა. ალექსანდროვის სახელობის ვერცხლის მედალი, სამხედრო-პატრიოტული სიმღერის მაღალმხატვრული ნიმუშისათვის დაწესებული საპატიო საკავშირო ჯილდო.

და მაინც, ალ. შავერზაშვილის „თვითგამოსახვისათვის“, ყველაზე ბუნებრივი სწორედ კამერულ-ინსტრუმენტული სფერო გახლავთ, უფრო ფართოდ, ბგერაწერის ინსტრუმენტული პალიტრა. ამის მჭევრმეტყველური დადასტურებაა თუნდაც უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნილ ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა მთელი წყება (III ტრიო, სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის, სიმფონიური პოემა „მცირე მიწა“ და სხვ.), რომელთა შორის, პირველყოვლისა, 1976 წელს დაწერილი კამერული სიმფონია იქცევს ყურადღებას. ეს ნაწარმოები ხელოვანმა უძღვნა დიმიტრი შოსტაკოვიჩის ხსოვნას. 1947 წელს იგი — თბილისის კონსერვატორიის ასპირანტი, საკონსულტაციოდ იყო დიმიტრი შოსტაკოვიჩთან, და როგორც თვითონ ამბობს ამან „ძალზე დიდი ზემოქმედება მოახდინა მისი, როგორც კომპოზიტორისა და პიროვნების ფორმირებაზე“.

ა. ბალანჩივაძისა და დ. შოსტაკოვიჩის დიდი ხელოვნების პრინციპთა გარდატეხას მხოლოდ საკუთარი შემოქმედების თვალსაწიერიდან როდი ახდენს ალ შავერზაშვილი. იგი ამ პრინციპებს, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის საძირკველს, განუხრელად ატარებს თავის პედაგოგიურ საქმიანობაშიც. ამ უკანასკნელის შედეგიანობაზე კი, ვფიქრობთ, ბევრს გვეტყვის ის ამბავი, რომ სხვადასხვა დროს კომპოზიციის განხრით მასთან სწავლობდნენ: ბ. კვერნაძე, ი. ბობოხიძე, შ. დავიდოვი, ნ. გიგაური (ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური მუსიკალური სკოლა), ვ. აზარაშვილი, ნ. ვაწაძე, ა. რაქვიაშვილი, გ. ოძელი (III მუსიკალური სასწავლებელი) და სხვ. საკუთრივ კონსერვატორია კი (სადაც იგი 1955 წლიდან კომპოზიციის კათედრის პედაგოგია, ხოლო 1968-1978 წლებში აღნიშნული კათედრის გამგეც გახლდათ) მისი საკომპოზიტორო კლასით დაამთავრეს: გ. ბზვანელმა და ნ. გაბუნიამ, ი. ბარდანაშვილმა და რ. შახბაგონმა, ოსმა კომპოზიტორმა ზ. ხაბალოვამ, აფხაზმა კომპოზიტორებმა: ვ. ჭკადუამ, ტ. აჯოპუამ და სხვა.

პროფესორი ალექსანდრე შავერზაშვილი უაღრესად მრავალმხრივ მუსიკალურ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა როგორც კომპოზიტორთა კავშირში (1951-1955 წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, 50-60-იანი წლების მიჯნაზე კი — კომპოზიტორთა კავშირის პარტბიუროს მდივანი), ისე კონსერვატორიაში (1972 წლიდან იგი თბილისის კონსერვატორიის პრორექტორია სამეცნიერო-მეთოდურ დარგში). მას თავის შემოქმედებით თანამოსაგრეებთან, ქართული საბჭოთა მუსიკის უფროსი და შუა თაობის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, მკვიდრი პროფესიონალიზმის გზაზე გაჰყავს ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა.

შემოქმედებითი ცხოვრების ესოდენ დაძაბულ რიტმში ალ. შავერზაშვილს ზუსტად აქვს გათვლილი ყოველი წამი.

საქართველოს სახალხო არტისტის ალექსანდრე შავერზაშვილის ფიქრი ამჟამად რამდენიმე რთულ ნაწარმოებს დასტრიალებს. მათ შორის „სიმფონია — პოემას. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით პლენუმზე კი დიდი წარმატებით შესრულდა მისი IV საფორტეპიანო ტრიო.

ძიებათა გზა, როგორც ჩანს „ჩვეული“ გახლავთ შავერზაშვილების ოჯახისათვის. მით უმეტეს რომ ამ გზას დაადგნენ ახალთაობის წარმომადგენლებიც. ალექსანდრე შავერზაშვილის ვაჟიშვილმა, გიორგიმ, წარჩინებით რომ დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი და ცნობილი პიანისტის — რესპუბლიკის სახალხო არტისტ გ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურა, მაგრამ უარი თქვა ფართო საკონცერტო მოღვაწეობაზე, რის პერსპექტივასაც უხსნიდა მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატის მაღალი წოდება. ახლა გიორგი შავერზაშვილი თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტია (პროფ. ს. ნასიძის კლასი). 1982 წელს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ ჩატარებულ კონკურსზე, მისმა ალტისთვის დაწერილმა პიესებმა პრემია დაიმსახურა.

კიდევ უფრო მოულოდნელი გახლდათ კომპოზიტორის ქალიშვილის — მარინე შავერზაშვილის „ფერისცვალება“. ფართო სარბიელზე გამოსულმა პიანისტმა, ამიერკავკასიის კონკურსის დიპლომატმა, შემდგომ მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურაში რომ სრულჰყო თავისი ოსტატობა პროფესორ ვ. გორნასტაევას ხელმძღვანელობით, უყოყმანოდ გადადგა ახალი ნაბიჯი. სულ ახლახან მარინე შავერზაშვილი, ამჯერად თბილისის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი (პროფესორ ნ. ანდღულაძის კლასი), საოპერო სცენაზე ვიხილეთ და დავრწმუნდით რაოდენ ბუნებრივი, შინაგანად განპირობებული ყოფილა ეს გარდასახვა. მისმა დებიუტმა საოპერო სტუდიის სცენაზე გ. დონიცეტის ოპერა „სიყვარულის ნექტარში“ (ადინას პარტია), მომღერლის მაღალი ვოკალური ტექნიკა და საერთო მუსიკალური კულტურა წარმოაჩინა, კიდევ ერთხელ მიგვანიშნა ოჯახური ტრადიციის დიდ ძალაზე; ძალაზე იმ შემოქმედებითი ატმოსფეროსი, რომელიც იქმნება იქ, სადაც თანდაყოლილ ნიჭს დიდი შრომაც აწრთობს.

მრავალ ახალ სიხარულს მოუტანს მშობელ ქვეყანას შავერზაშვილების ოჯახი.

მზია იაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




მოსკოვი.
საქართველოს სსრ სპორტული დელეგაცია სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე.

# სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადა



სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ჭიდაობა ძიუ-დოში მალხაზ ბერუაშვილი.



სპარტაკიადის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუ-დოში თამაზ ნამგალაური (71 კგ.).



საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სპარტაკიადის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუ-დოში შოთა ხაბარელი (78 კგ.).

(გაგრძელება)

შოტილიყო და საყვედურით უმზერდა: „კარგად მოილხინე? მოგეწონა ბანკეტი?“ „აქ რას აკეთებ?“ — ჰკითხა გაოცებულმა აბომ. „აქ ვწევარ ორი საათია. არ იქნა შენი ჩამოსვლა. გაგიტკბა ქეიფი...“ „იმათ იცოდნენ რომ მელოდი?“ „აქ რომ შემოვედი, შენი დიასახლისი ფეხდაფეხ შემომყვა... ალბათ ქურდი თუ ვეგონე“. „ეს ყველაფერი შენი ოინებია?“ „რა შუაშია ოინები, ნეტა ჩემთვისაც დაეძახა ვინმეს, შიმშილით კუჭი მიხმება... შემომყვა და ეს შენი საავტორო ეგზემპლარებიც აქ ეწყო მაგიდაზე. ავიღე და ვაჩვენე, უნდა ამაყობდეთ ასეთი მდგმური რომ გყავთ, თქვენცა და თქვენი სახლიც ისტორიაში შეხვალთ-მეთქი... აქ ცხოვრობდა ამა და ამა წელს სახელოვანი პოეტი აბო... პირველად არაფრით არ დაიჯერა, რაღაც არა ჰგავს მაგისთანა კაცსო. მე ვუთხარი, ამისთანა ხალხი საერთოდ არავის არ ჰგავს-მეთქი... მერე შენი პასპორტიც ვაჩვენე, აგერ, თაროზე ვიპოვე. ასეთი ტალანტის პატრონი თუაო, მითხრა, წიგნებს თუ წერს, ფულიც ხომ თავზე საყრელად უნდა ჰქონდეს და ამ სოროში რა ეშმაკი უნდაო; დიდი დალხინება არც ტანზე და ფეხზე ეტყობაო. მე ვუთხარი, ჩაცმა-დახურვა არ აინტერესებს, ბავშვობიდან ასეთი იყო-მეთქი. ბინასაც, ცხადია, ათასჯერ უკეთესს იშოვის, თუ მოინდომა, მაგრამ არ უნდა. რატომღაც ასე ურჩევნია... ასეთ პირობებში უკეთესად მუშაობს. ამ პოეტებს ყველას რაღაც უცნაურობა სჭირს-მეთქი“.

ორიოდე დღის შემდეგ დიასახლისმა გატეხა ნავსი და აბოს ესტუმრა. აბო შეწუხდა, ადგა, სკამი დაუთმო. „იჯექი, იჯექი, გენაცვალე. ნუ დაცდები... იმუშავე“. „მობრძანდით. დაბრძანდით. მე აგერ ჩამოვჯდები, საწოლზე“. დიასახლისი ზღურბლზე იდგა და შემოსვლას არ აპირებდა. „სულ წერ და წერ... კარგია, კარგი. აი, ჩემი მალხაზიც იგონებს ლექსებს. მაგრამ წერა ეზარება... არ წერს...“ „უნდა ჩაიწეროს... არ უნდა დაკარგოს“. „ზოგს იწერს, მაგრამ ყველას ვერა... ავიწყდება ხოლმე“.

ამას კი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა აბო. სად მალხაზი და სად ლექსი. სასწაული თუ გინდა, სწორედ ეს არის. თუმცა რა შორს წასვლა გინდა, თვითონაც თითქმის ასე არ დაემართა? კონკურსის შედეგები რომ გამოცხადდა, აბოს ნაცნობ-მეგობრებმა არაფრით არ დაიჯერეს, ეს ვიღაც სხვაა, ჩვენი აბო ლექსებს როდის წერდაო. „მომეცით, ქალბატონო, წავიკითხავ... იქნება ისეთია, გამოქვეყნებაც ღირდეს“. „ეს შესაძლებელია ვითომ?“ „როგორ არა... ბავშვები ზოგჯერ ისეთ ლექსებს წერენ... თუმცა მალხაზი უკვე ბავშვიც აღარაა...“ აბოს წამით სარკმლისკენ გაექცა თვალი და მალხაზი დაინახა — ეზოში დასეირნობდა თავის განუყრელი ხელთათმანებით შეიარაღებული. „მალხაზ, ჩამოიტანე ერთი შენი რვეული!“ დაუძახა დედამ. „რომელი რვეული?“ „ლექსების“. ბიჭი ახლოს მოვიდა. ვერ მიმხვდარიყო, რის მოტანას ავალებდნენ. „აბომ უკვე იცის, შენ ლექსებს რომ წერ... წადი ახლა და მოიტანე შენი რვეული. იქნება ზოგი დასაბეჭდავადაც ღირდესო“. „ელაპარაკე ახლა ამას, — გაიცინა მალხაზმა, — დარტყმულია ნამდვილად...“ „გიჩვენებ მე შენ დარტყმულს. როგორ ელაპარაკები დედაშენს!“ — ქალმა თავში ჩასცხო ბიჭს. „ჰო, კაი, კაი, ნუ გადაირევი ახლა“. — მალხაზმა ძლივს მოიგერია განრისხებული დედა. მერე აბოს მიუბრუნდა: „ღირს ვითომ წაკითხვა?“ „მიდი, მიდი, მოიტანე“. „მერე იყოს... გადავწერო უნდა...“ მალხაზი წავიდა და თავისი საქმე განაგრძო. ჯერ თუთის ბებერ ხესთან მიიჭრა და რამდენჯერმე გამეტებით სთხლიშა. მერე ონკანს მისცხო, ბოლოს ხის ტახტზე მზის გულზე დაწყობილ ბალიშებსა და მუთაქებს დაერია და ბდღვირი აადინა. „მთლად ბავშვის ჭკუა აქვს, — თქვა დიასახლისმა, — ჩემი ბრალია. სკოლაში ერთი წლით ადრე შევიყვანე“.

საღამოს მალხაზი რვეულითა და ფანქრით აღჭურვილი შევიდა აბოსთან. „ვწერ რაღაცას და რითმა არ გამახსენდა სახლზე“. „ამოიღე და სხვა ჩასვი“, — ურჩია აბომ. „რა ამოვიღო?“ „სახლი. რაზეც რითმა ვერ მონახე“. „ამოიღო კარგია... საქმეც ისაა, რომ უსახლოდ არ იქნება... მოდი, ერთად მოვიფიქროთ რამე“. „ძაღლი, დაღლილს, დავხრი, ლაღი...“ მალხაზი ღრმად ჩაფიქრდა. „არც ერთი რომ არ ეწყობა?“ „უნდა მიაწყო, რის პოეტი ხარ აბა“. „მსხალი არ გამოდგება?“ „კი, მწიფე თუა“. „კარგი რა, ხუმრობისთვის მცალია?“ „მსხალი ნამდვილად არ ვარგა“. „ვაშლი?“ „არც ვაშლი... არც კომში და ქლიავი“. „მომეხმარე, კაცი არა ხარ?“ „რა დიდი საქმე ეგ არის. მშვენიერი რითმები ჩამოგითვალე: განმარტოებით დგას სერზე სახლი, ეზოში დადის ბომბორა ძაღლი, გზა იქით მიდევს მაშვრალს და დაღლილს...“ „აი, ყოჩაღ... თავიდან დაიწყე, ჩავიწერ ბარემ“.

კარგა ხანს იწვალეს. ეს რა ხათაბალა ამეკიდაო, ფიქრობდა აბო, დროა გაქცევაზე ვიფიქრო. ჯავრი მამუკაზე ამოიყარა: ყველაფერი შენი ბრალია და, თუ გინდა დანაშაული გამოისყიდო, დატრიალდი და სასწრაფოდ ბინა მომიძებნეო. რაღა გზა ჰქონდა მამუკას — შეუდგა თავის დანაშაულის გამოსყიდვას. როგორც კი ლექციებს მორჩებოდა, ხან ქალაქის ერთ ბოლოში ამოჰყოფდა თავს, ხან მეორეში. ეკითხებოდა ყველას, ვინც კი შეჩერდებოდა და მოუსმენდა, იქნება ასეთი და ასეთი ბინა გეგულებათო. სახლი განმარტოებული უნდა ყოფილიყო, ბინა მყუდრო და იაფი. პოეტი კაცია, თავის მუზასთან განმარტოება სჭირდებაო, ხელი არავინ არ უნდა შეუშალოსო. კომფორტი და სხვა ამგვარები სულაც არ უნდაო. მამუკას მცდელობა მალე წარმატებით დაგვირგვინდა — იპოვა ერთი სახლი გოგებაშვილის რომელიღაც შესახვევის ბოლოში. ზედ მთის ძირას. დიდებული ადგილი იყო, უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. ზედ სახლთან მთავრდებოდა ყვავილებით მოჩითული ციცაბო ფერდობი. ფერდობს თუ აუყვებოდი, თუ ერთხანს ივლიდი აღმართ-აღმართ, ისეთ წალკოტში ამოჰყოფდი თავს, აბოს კი არა, იქნება მამუკასაც დაეწყო იქ ლექსების წერა. სახლი თითქმის მიტოვებული იყო და უკვე სულს ღაფავდა. მისი პატრონი, მოხუცი, პენსიონერი ქალი სადღაც ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობდა ნათესავებთან შეკედლებული, სახლს კი მეზობელი უვლიდა, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ მდგმურებისაგან ფულს კრეფდა და ფოსტით პატრონს უგზავნიდა.

აბო დაუყოვნებლივ გადავიდოდა ახალ ბინაში, მაგრამ დიასახლისისთვის მთელი თვის ქირა წინასწარ ჰქონდა გადახდილი, ათიოდე დღე დარჩენოდა და გადაწყვიტა, ეს ხანი როგორმე გაეძლო. მაგრამ მალე ყოვლად გაუთვალისწინებელი ამბები მოხდა და მოვლენებიც დაჩქარდა. საქმე ის იყო, რომ აბომ თავისი პატარა წიგნის ჰონორარი აიღო. რა თქმა უნდა, უსაშველო არაფერი იყო. რა უნდა მიეცათ იმ ერთიციცქნა წიგნაკში. ჯერ ფასი იკითხეთ — შვიდი კაპიკი ღირდა. მაგრამ აბოსთვის ის ფულიც კარგა დიდი თანხა იყო. ამას სტიპენდიაც დაერთო, რომელიც სწორედ იმ დღეს მისცეს... ასე ერთბაშად გამდიდრებულმა აბომ ახალგამოსული წიგნის დალოცვის მიზნით ამხანაგებს სადილზე და თითო ტოლჩა ლუდზე კაფეში დაპატიჟა. ლუდს არაყი მოჰყვა, რასაც აბო ძნელად ეგუებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკად გამოთვრა. ძლივს მიაღწია შინ ბარბაცითა და თვალების ბრეცით. ჭიშკარი რომ შეაღო, წამით ძლივს გაუსწორა მზერა კიბეზე ჩამომავალ მომღიმარ დიასახლისს, რაღაც გაურკვევლად ჩაილუღლუღა, სასწრაფოდ შევარდა თავის სოროში, გაუხდელად დაემხო საწოლზე და მკვდარივით დაეძინა. დილით, ნავთქურაზე ჩაიდანი რომ შემოდგა და შაქრისა და პურის მოსატანად მაღაზიაში წასვლა დააპირა, აღმოჩნდა, რომ ჯიბეში კაპიკიც არ ეგდო. მთელი ოთახი გადააქოთა, სასწრაფოდ გადაჩხრიკა წიგნები, რვეულები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელებიც კი, იქნება მთვრალმა ფული სადმე დავმალეო. მანეთიც ვერსად იპოვა. ათუხთუხებული ჩაიდანი ძირს ჩამოდგა და შეეცადა გაეხსენებინა ყველაფერი, თუ რა გააკეთა, სად იყო, ან ვის შეხვდა მას შემდეგ, ფული რომ აიღო. არა, საეჭვო ნამდვილად არაფერი შემთხვევია. კაფეში შევიდა ამხანაგებთან ერთად, ისადილეს, ლუდი და არაყი სვეს. არც ისე ბევრი დაუხარჯავს. სულ ცოტა, ორასი მანეთი მაინც უნდა დარჩენოდა. მერე ისიც გაახსენდა, საწოლზე პირქვე დამხობილს როგორ ეჯაჯგურებოდა მალხაზი, ადექი გაიხადე და წესიერად დაწექიო. მაგრამ აბოს თავის წამოწევის არაქათიც არ ჰქონდა. ბუტბუტებდა მხოლოდ, მომცილდი, თავი დამანებეო. რამდენჯერმე ბიჭმა ძალითაც სცადა აბოს წამოყენება, მაგრამ ვერაფერს გახდა. აბომ თავისი დაბინდული მეხსიერების კუნჭულში ისიც დალანდა, თუ რა საეჭვოდ უფათურებდა ხელს ბიჭი ძილ-ღვიძილში მყოფს ჯიბეებში...

იმ დღეს ლექციებზე აღარ წასულა.

როგორ გამოტეხოს, როგორ დააბრუნებინოს მოპარული ორასი მანეთი?

გადაწყვიტა დედამისს მოლაპარაკებოდა. კიბეზე ავიდა და კარებზე ფრთხილად დააკაკუნა. მეტისმეტად საჩოთირო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი — ხომ შეიძლებოდა, ბიჭი მართალი ყოფილიყო? დიასახლისი დამდუღრულივით შეხტა და შეფუცხუნდა, ჩემი მალხაზი ამას როგორ იზამდაო. აბომ უთხრა, შეიძლება შეცდა, სულმა წასძლიაო, ფულზე კი არაა საქმე, ბიჭის ზნეობისა და მორალის, მისი მომავლის საკითხი დგასო. შეიძლება რამე დავიდარაბაში აღმოჩნდეს, ბავშვია მაინც, ვაითუ ამ უნებლიე შეცდომას სერიოზული დანაშაული მოჰყვესო, იქნება ფულზე ითამაშოს, წააგოს და მერე ჩხუბი მოუვიდეს; ვინ

იცის, რით დამთავრდება ეს ჩხუბი, ამ ხნის ბიჭები ზოგჯერ დანებსაც ატრიალებენო; ან შეიძლება ნარკომანებს ჩაუვარდეს ხელშიო. როცა ამ ასაკის ყმაწვილებს ჯიბეში ამდენი ფული უდევთ, ბევრი ცდუნების წინაშე აღმოჩნდებიანო. დიასახლისი დაღონდა. დაპირდა აბოს, ჭეშმარიტების დასადგენად ყველა ღონეს ვიხმართ და თუ მაგ ფული ჩემმა ბიჭმა აიღო, არაფრით არ დაიკარგებაო. იმ დღეს საგულისხმო მეტი არაფერი მომხდარა, ხოლო მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, დედამ ვაჟი ქალაქში ჩაიყვანა და ახალი კოსტუმი უყიდა. საღამოს კი აბოს ესტუმრა და უთხრა, მალხაზი შენთან ცამდე მართალი აღმოჩნდა და ძალიან გთხოვ, არ აგრძნობინო, მასზე ეჭვი რომ აიღე, მეტისმეტად უყვარხარ და პატივს გცემს, პირდაპირ გაღმერთებს და ამას რომ გაიგებს, ვაითუ შენზე გული აიყაროსო.

იმ ღამით აბოს კარგა ხანს არ დაეძინა. ფულის დაკარგვა კიდევ არაფერი. მთავარი ის იყო, რომ ძალიან გამასხარავებულად, დამცირებულად გრძნობდა თავს. ბრიყვი ვარ და ჩემს დღეში ჭკუას ვერ ვისწავლიო, წუხდა. ჩემისთანა შტერმა და სულელმა ხეირიანი რა უნდა დაწეროს, ნეტა ის პოემა რაში მოეწონათ, რისთვის დამიბეჭდესო. დილით თავს შეუძლოდ გრძნობდა და არც ადგომას ჩქარობდა. შუადღე მოახლოებული იყო, კარზე რომ მოუკაკუნეს. აბო წამოხტა და ჩაცმა დაიწყო. კარი რომ გააღო, მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა, ხმაც კი ჩაუწყდა. მერე თვითონვე უკვირდა, ასე მაინც რამ შემაცბუნაო. კართან დიასახლისი იდგა, ცალ ხელში რაღაც გაზეთში შეხვეული ეჭირა, მეორეთი კი მალხაზი ჰყავდა გაქაჩული. „ნებივრობდი? თუმცა დღეს ხომ კვირაა. არსად გეჩქარება". აბოს არც კი ახსოვდა, კვირა რომ იყო. „დიახ, დიახ, კვირა გახლავთ, მობრძანდით". ბიჭი გასხლტომას ლამობდა, მაგრამ დედა არ უშვებდა. „ნუ ხარ შენ მორცხვი... უჰ, მომკლა ამან... ვეუბნები, დააყენე საშველი, წააკითხე მაგ ლექსები აბოს, გაგისწორებს, გასწავლის რამეს-მეთქი... იქნება ზოგი დასაბეჭდავადაც გამომდგარიყო... არაო, ჯერ დამუშავება აკლიაო". „გამიშვი რა, დედა, ნუ შემომახიე ტანზე". „მშვენიერი კოსტუმი გიყიდიათ, ქალბატონო, თქვენი ვაჟისთვის... გილოცავ, მალხაზ, ძალიან გიხდება". „გმადლობ, შვილო, შენთვისაც ყველაფერი კარგი მომელოცოს". „მობრძანდით, დაბრძანდით..." „არა უშავს, ვიდგები... შედი, ბიჭო, შენ დაჯექი. მოუსმინე, რას გეტყვის ეს კაცი... ა, აგერაა ლექსებიც... წაიკითხე ერთი ჩემო აბო, და გვითხარი შენი აზრი".

დიასახლისმა ლამაზ, ცისფერყდიან რვეულს გაზეთი შემოაცალა და მაგიდაზე დაუდო აბოს. მდგმურმა მზერა რვეულს დაასო, ჯერ გაფითრდა, მერე კი ყურებამდე გაწითლდა.

— რა საჭიროა, ქალბატონო, რატომ იწუხებთ თავს?

— მე რამ შემაწუხა... შენ გაწუხებთ აგერ...

— ჰო და ნურც მე მაწუხებთ. ამ საქმისგან მაინც არაფერი გამოვა.

— როგორ არ გამოვა. არაფერი მესმის.

— არ გამოვა მაგ ბიჭისგან პოეტი... არავითარ შემთხვევაში.

— წაგეკითხა ჯერ.

— არ უნდა წაკითხვა.

— წაუკითხავად მაინც რას ხვდები, ბიჭო, შენ?

— რა დიდი მიხვედრა უნდა. მაგ ყმაწვილს რომ ბინძური და მრუდე ხელები აქვს, პური არ იჭმევა მაგის მოტანილი... რა ლექსი უნდა დაწეროს.

— რას ჰქვია მრუდე ხელები, ამიხსენი ერთი.

— კარგად იცი შენ, რასაც ჰქვია მრუდე ხელები. ახლა კი, დიდი ბოდიში და, არ მცალია მეტი, ძილი მაკლია ცოტა და გავაგრძელო უნდა.

— კარგად რომ გამოიძინო, აბო, გენაცვალე, ბინა მოძებნე... ნათესავი ჩამომივა მალე სოფლიდან, აქ უნდა დავაბინავო.

აღელვებული დიასახლისი ისეთი ბრახა-ბრუხით ავარდა კიბეზე, რომ აბოს კარის წინ კარგა ხანს ცვიოდა მტვერი. ზევიდანაც კარგა ხანს ისმოდა მისი მძიმე ნაბიჯების ხმა, რასაც მალე ნაძალადევად ხალისიანი ღიღინი დაერთო. ერთი პირი პიანინოც აგრიალდა, თითქოს ზედ ფეხბურთს თამაშობენო. მალე კიბეზე სიძე-ქალიშვილიც აბაკუნდნენ და ზემო სართულზე მხიარულებამ ერთიორად იმატა. აბოს თავზე საყრელად ჰქონდა საქმე და მათთვის აღარ ეცალა. იგი გამალებით ტენიდა ზურგჩანთაში წიგნებსა და ხელნაწერებს, კონსპექტებს, თეფშებსა და ჭიქებს, ჩაიდანსა და ქვაბს. ტანსაცმელი ჩემოდანში ჩააწყო. ქვეშაგებიც დაგორგლა და თოკით შეკრა. კარგა ბლომად დაუგროვდა ხარა-ხურა. ამდენ ბარგს მარტო როგორ მოერეოდა. იქნება ვინმე ამხანაგიც გამოჩნდეს? ჰო, მართლა, ტაქსის ფული? ეს როგორ დაავიწყდა. ნელნელა საღამოც მოახლოვდა. წამით აბომ კარის ღრიჭოდან კიბის ქვეშ ბინდბუნდში მალხაზის სილუეტი დალანდა. დაზვერვაზე თუ იყო. დედამისი გამოგზავნიდა იმის გასაგებად, მართლა აპირებდა თუ არა გადასვლას მათი სახელოვანი მდგმური. სასწრაფოდ უნდა ჩაირბინოს სტუდქალაქში და ათი-ხუთმეტი მანეთი იშოვოს. მაგრამ რა პირით უნდა სთხოვოს ახლა ამხანაგებს ფული, ხომ შეიძლება ვინმემ იფიქროს, ეშმაკობს, თავს იზღვევს, ეშინია, იქით არ დავესესხოთო. იყო მათ კურსზე ერთი ასეთი ოინბაზი, ფული ჯიბეში მუდამ ჩეჩქივით ეყარა და, მიუხედავად ამისა, ყოველდღე სესხულობდა თითო მანეთს. ამ ფიქრსა და ყოყმანში იყო აბო, დიასახლისის სიმპათიური სიძე რომ წამოადგა თავს. „გადასვლას აპირებ?" ჰკითხა მან. „ღირს ახლა ჩემი აქ გაჩერება?" „კარგი, კაცო, რა ფიცხი ყოფილხარ".

— ფიცხი კი არა, ისეთ გუნებაზე ვარ, კაცი რომ მოვკლა, ჭკუა არ დამიშლის.

სიძეს გაეცინა.

— გგონია ვხუმრობ? ისე გამწმინდა მაგ მამაძაღლმა, მანეთიანიც არ დამიტოვა ჯიბეში. ეს ბარგი კი გავამზადე, მაგრამ ტაქსის ფული რომ არ მქონდა, გვიან გამახსენდა.

— დარჩესო, სიდედრმა, ნუღარ გადადისო.

— შენ გაჩერდებოდი?

— არა... ერთი ეს მითხარი, რატომ დაიჟინე, ტყუილად იწუხებს თავს, მაგ ბიჭი ლექსის დამწერი არააო... ასე ძნელი საქმეა?

— შენ ადვილი გგონია?

— რა ვიცი... ბევრი კი წერს და.

— ასეთი ბინძური ხელით? არა, ძმაო...

სიძემ ჯიბიდან სიგარეტების კოლოფი ამოიღო, აბოს მიაწოდა. ასანთი მოძებნეს, მოუკიდეს და გააბოლეს. სტუმარი საწოლზე დაჯდა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა: „ჩვენს შორის დარჩეს და მართლა დიდი არამზადა ვინმეა... ჯერ სადა ხარ, გაიზრდება კიდევ და მერე იკითხე. ჩვენ რა გვიყო, რომ იცოდე... საკუთარ დას ჩემგან საჩუქარი ნიშნობის ბეჭედი და ოქროს საათი აწაპნა. საათი დავაბრუნებინეთ დიდი დავიდარაბის შემდეგ, ბეჭედს კი აღარაფერი ეშველა, მოასწრო გაყიდვა. დროზე მეთქვა შენთვის, რა სულიც იყო, ის იქნებოდა კარგი. ახლა რა ეშველება მაგ საქმეს... თუმცა, უბნის ინსპექტორთან რომ მიხვიდე? უთხარი, დავინახე, როგორ ჩამიძვრა ჯიბეში, თანაც ოთახში მის გარდა არავინ შემოსულა-თქო, სთხოვე, გაგიკეთოს კაცური საქმე, ამოიღოს მაგ ფული". „რაღას ამოიღებს, დახარჯეს უკვე, კოსტუმი იყიდეს". „მთავარი გამოტეხაა. ფულს კი აშოვნინებენ, ნუ გეშინია". „თავი დამანებე, თუ ძმა ხარ. არაფერი არ მინდა მაგათი. ერთი წავიდე, აქაურობას მოვცილდე. დასანახავად ვერ ვიტან უკვე ვერც შვილებს და ვერც [illegible]". მეორე სართულზე, ეზოს მხარეზე, ფანჯარა გაიღო და დიასახლისის ქალიშვილის [illegible]მა ხმამ მთელი ქუჩა გააყრუა: „დათო! სადა ხარ, დათო!" „აქა ვარ, რა გაყვირებს!" გაეპასუხა ქმარი. „მოდი, გელოდებით!" „მოვდივარ!" დათო მაინც არ ჩქარობდა წასვლას, სიგარეტი ფილტრზე დაიყვანა, იატაკზე დააგდო, ფეხით მოსრისა და ახალს მოუკიდა. „მოდი, ქუჩაში გავიდეთ, ტაქსი დავიჭიროთ... მოგეხმარები გადაბარგებაზე". „ფული?" „ეგ ჩემზე იყოს გასესხებ". ქუჩაში გავიდნენ. კარგა ხანს ელოდნენ ცარიელ მანქანას. სახლთან შორიახლოს იდგნენ და ესმოდათ, დიასახლისის ქალიშვილი რომ გაჰკიოდა, დათო, დათოო. ქმარი არ ეხმაურებოდა. „წადი, — უთხრა აბომ, — გელოდებიან. მე როგორმე თვითონ მოვუვლი ჩემს საქმეს". „ერთი მაგათი... — სიძემ შეაგინა — „მოდი, მართლა უჩივლე. რატომ უნდა დაკარგო ამდენი ფული?"

— მე არაფერს არ ვკარგავ, თქვა აბომ, — მე ამ ამბავზე მოთხრობას დავწერ. წაიკითხავ შენ იმ მოთხრობას.

დათო ერთხანს თვალებში უმზერდა აბოს და იღიმებოდა.

— დაბეჭდავ და ზარალსაც აინაზღაურებ, არა? შენ, ეტყობა, მართლა არაფერს კარგავ.

— არა, ნამდვილად არა, — ღიმილით დაუდასტურა აბომ.

მოთხრობა უკვე მოფიქრებულიც კი ჰქონდა და თითქმის უხაროდა კიდეც, ასე რომ აეწყო ყველაფერი. ამაღამვე შეუდგება წერას, ამაღამვე, როგორც კი მარტო დარჩება. დათოსაც ხომ არ მოუძებნოს სადმე იმ მოთხრობაში ადგილი? კარგი ბიჭი ჩანს. ჩანს კი არა, ნამდვილად კარგი ბიჭია.

ერთი თვის შემდეგ აბოს მოთხრობა მზად ჰქონდა. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მოთხრობაში აღწერილი ამბავი სრულებით არ ჰგავდა სინამდვილეში მომხდარს. მთავარი გმირი, მერვეკლასელი მოსწავლე, კეთილი და თავაზიანი ბიჭი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს ხატვა და კარგადაც ხატავს, თავის მდგმურს ათიოდე მანეთს მოპარავს. მერე კი იტანჯება და სანამ დანაშაულს არ გამოისყიდის, ვერ მოისვენებს. დიასახლისის სიძის თანაგრძნობა და მხარდაჭერა იმით გადაიხადა, რომ მისი სახელი მდგმურს დაარქვა. ეს იყო და ეს.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული



# პროფესორი ალექსანდრე ხვიჩია 80

პროფესორი ა. ხვიჩია და აკადემიკოსი ი. ბარდინი.

ქართული ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „შავი ლითონების მეტალურგიის" კათედრის გამგეს, პროფესორ ალექსანდრე ხვიჩიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ალექსანდრე ხვიჩიამ შრომითი საქმიანობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო, გამოიცვალა მრავალი სპეციალობა, მუშაობდა და პროვიზორადაც. ერთი პერიოდი ზაქოში მოქმედი ქართული დასის მსახიობიც კი იყო.

ბედნიერი გამოდგა ალ. ხვიჩიასათვის გიორგი ნიკოლაძესთან შეხვედრა. ალექსანდრე ხვიჩია იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი მსმენელი და მან თავისი საყვარელი მასწავლებლისა და შემდგომში დიდი მეგობრის, გიორგი ნიკოლაძის სპეციალობა — მეტალურგია აირჩია.

გიორგი ნიკოლაძე მეტად მომთხოვნი და მკაცრი მასწავლებელი იყო. ამიტომ ბევრის მეტყველია ის ფაქტი, რომ ცნობილმა პროფესორმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ალექსანდრე ხვიჩია კათედრაზე ლაბორანტად აიყვანა. გ. ნიკოლაძეს კი ალღო იშვიათად ღალატობდა. ასე იყო ამჯერადაც. ახალგაზრდა დიდი გატაცებით შეუდგა საქმიანობას. მის მეცნიერულ და მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თვით ნიკოლაძეების ოჯახთან სიახლოვემ. აქ მან ახლოს გაიცნო ნიკო მუსხელიშვილი, ანდრია რაზმაძე, არჩილ ხარაძე, ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალი წარმომადგენელი. ამ პერიოდს ემთხვევა მისი გატაცება მათემატიკითაც.

ა. ხვიჩია პროფესორ გ. ნიკოლაძესთან ერთად დაუღალავად მუშაობს დიდუბის საცდელი ქარხნის მშენებლობაზე, აქ ჩაეყარა ფაქტიურად საფუძველი ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანას, აქ დადგინდა ადგილობრივი ნედლეულიდან მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობების მიღების შესაძლებლობა. ეს საშვილიშვილო საქმე იყო, ქვეყანას მანამდე ოქროზე უხდებოდა ფეროშენადნობების შემოტანა. და თუ დღეს ზესტაფონის ქარხანა ერთ-ერთი წამყვანია მთელ კავშირში, ამაში პროფესორ ა. ხვიჩიას როლიც მცირე როდია.

გ. ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგ ა. ხვიჩიამ კიდევ მრავალი საინტერესო სამუშაო ჩაატარა. 30-იან წლებში ის უკვე ცნობილი მკვლევარია. მან შემოქმედებითი კონტაქტები დაამყარა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეტალურგებთან — ა. ბაიკოვთან და ი. ბარდინთან. ისინი დიდად აფასებდნენ ალექსანდრე ხვიჩიას შრომებს. მოგვიანებით მეცნიერის მიერ შემუშავებული ე. წ. „მოწოკაზმის" მეთოდი მთელ კავშირის მასშტაბით მიიღეს და აღიარეს. მას დიდი ინტერესით შეხვდნენ ბულგარელი და გერმანელი მეტალურგებიც. ალ. ხვიჩიას მიერ მოსკოვის ფილიალის ინსტიტუტში დაცული სადოქტორო დისერტაცია ქართული მეტალურგიული სკოლის ნამდვილი გამარჯვება იყო.

დღეს ქართული მეტალურგიის სკოლა ერთხმადაა აღიარებული მთელ კავშირში, ამაში კი თვალსაჩინოა თვით ალ. ხვიჩიას და მისი აღზრდილების როლი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი თავის აღორძინებას პირველ რიგში პროფესორ ალ. ხვიჩიას ავტორიტეტსა და ენერგიას უნდა უმადლოდეს. 1949 წელს განახლდა ინჟინერ-მეტალურგთა მიღება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1951 წლიდან კი ფაკულტეტი დამოუკიდებელ ერთეულად გამოიყო. მისი პირველი დეკანი და უცვლელი კათედრის გამგე პროფესორი ალ. ხვიჩია იყო. პირველი გამოშვების მეტალურგები სიყვარულით იგონებენ სწავლის იმ პერიოდს, როდესაც სპეციალურ დისციპლინების უმრავლესობას მათ პატივცემული ალექსანდრე უკითხავდათ. კადრების სიმცირის გამო ალ. ხვიჩია რამდენიმე სხვადასხვა საგანს კითხულობდა.

ამჟამად მეტალურგიის ფაკულტეტზე უკვე 5 კათედრა, 1 საპრობლემო ლაბორატორია და 3 სტუდენტთა სამეცნიერო-საკვლევი ბიურო მუშაობს. ყველა მათგანი ძირითადად ფაკულტეტის კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული, ყველა მათგანი თავს პროფესორ ალ. ხვიჩიას მოწაფედ თვლის. რესპუბლიკის მეტალურგიული საწარმოების საკომანდო პუნქტებიც ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს უკავიათ.

ალექსანდრე ხვიჩიას დიდი ავტორიტეტი აქვს მთელ საბჭოთა კავშირში. მისი რეკომენდაციით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზიარა მეცნიერების საფუძვლებს მოსკოვისა და სხვა ქალაქების ინსტიტუტებში, ბევრი მათგანი დღესაც წარმატებით განაგრძობს საქმიანობას სხვადასხვა ქალაქში.

რაც შეეხება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს, ეს მძლავრი სამეცნიერო ცენტრია, რომელსაც გასული წლის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. ეს ინსტიტუტი ძირითადში მეტალურგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული და მათი უმრავლესობა პროფესორ ალ. ხვიჩიას მოწაფეები არიან.

ალ. ხვიჩია ტექნიკური აზროვნების ცოცხალი ენციკლოპედიაა. ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ მასთან საუბარი და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მიიღებთ ამომწურავ, ამასთან ერთად ძალზე ორიგინალურ და არასტანდარტულ პასუხს. თავისებური და განუმეორებელია ბატონ ალექსანდრეს იუმორი, საგნების მხოლოდ მისებური ხედვა: ამიტომ მის ნაცნობ-მეგობრებს შორის სულ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებს შეხვდებით. მაგრამ მათში, ბუნებრივია, მეტალურგები სჭარბობენ. პროფესორ ალ. ხვიჩიას ასეთი მეცნიერული და მეგობრული კონტაქტები აკავშირებდა ახლანდელ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრთან პროფესორ ვ. ელუტინთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, პროფესორ ნ. ტიხონოვთან მისი ნიკოპოლის მილების ქარხნის დირექტორად მუშაობის დროს. პირადად იცნობდა აკადემიკოს მ. პავლოვს, აკადემიკოს ა. პისარჟევსკის, აკადემიკოს ა. ბოჩვარს და მეცნიერების მრავალ სხვა კორიფეს. ძალზე დასანანია, რომ მისი ზეპირი მოგონებები ამ დიდ პიროვნებებზე ქაღალდზე გადატანილი არ არის და ფართო საზოგადოებისათვის უცნობია.

ვუსურვებთ პატივცემულ ალექსანდრეს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ხოლო მის საყვარელ დარგს, მეტალურგიას, ახალ გამარჯვებებს.

ალფრედ ბაბნიძე,
დოცენტი.



# მეცნიერი და პედაგოგი

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის რექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ნიკოლოზ ქორთუას დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

ჭაბუკი პედაგოგი ნ. ქორთუა სამამულო ომის დაწყებისთანავე იარაღით ხელში ჩადგა ქვეყნის დამცველთა რიგებში. დაჭრილი და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დაუბრუნდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს სკოლის დირექტორად მუშაობდა.

1949 წლიდან ნ. ქორთუა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტია და სახელგანთქმულ მეცნიერთა ე. ტარლეს, გ. სტრუვეს, ბ. გრეკოვის, ბ. რომანოვის და სხვათა ლექციებს ისმენს. 1953 წელს იქვე, ლენინგრადში, იცავს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს. ახალგაზრდა მეცნიერი იმავე წელს ინიშნება თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად, ხოლო 1959 წლიდან — რექტორად.

ახალგაზრდა რექტორის ორგანიზატორულმა ნიჭმა, მონდობილი საქმისადმი დიდმა სიყვარულმა და დაუცხრომელმა ენერგიამ თავისი გაიტანა. დღეს, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი რესპუბლიკის მოწინავე უმაღლეს სასწავლებელთა შორის მოიხსენიება. მას თანამედროვე, ნათელი აუდიტორიებითა და მდიდარი კაბინეტ-ლაბორატორიებით აღჭურვილი სასწავლო კორპუსი, მდიდარი ბიბლიოთეკა, სტუდენტთა საცხოვრებელი, სასადილო და წალკოტად ქცეული ეზო-კარი ამშვენებს. ამასთან ერთად ნ. ქორთუა იმთავითვე დიდი გულისხმიერებით მოეკიდა ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდას. დღეს ინსტიტუტის მეცნიერ-პედაგოგთა უდიდესი ნაწილი ამავე ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტები არიან. აქ აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა წარმატებით მუშაობს რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო პოსტებზე.

პროფესორი ნ. ქორთუა 50-ზე მეტი პრობლემური სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორის ქართულ და რუსულ ენებზეა გამოცემული მონოგრაფიული გამოკვლევები: „საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში", „ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში", „რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ისტორიიდან" და სხვა. ამ ნაშრომებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

უახლოეს ხანს გამოიცემა მეცნიერის მონოგრაფიული გამოკვლევა „გეორგიევსკის ტრაქტატი და ამიერკავკასიის ხალხები".

ნიკოლოზ ქორთუა არის საქართველოს კპ თელავის რაიკომის წევრი და რაიონული საბჭოს დეპუტატი, რაიკომის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი და საქართველოს საისტორიო საზოგადოების თელავის რაიონის განყოფილების თავმჯდომარე.

პროფესორი ნ. ქორთუა, როგორც დელეგატი, მონაწილეობდა მსოფლიო ისტორიკოსთა XII კონგრესის მუშაობაში.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს სამოცი წლის თავს ულოცავენ სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, თბილისიდან, ულოცავენ კოლეგები, მისივე აღზრდილი მეცნიერები და პედაგოგები. „დიდად გვახარებს, რომ პირველწყაროების ღრმა შესწავლით თქვენ ჩვენი მეცნიერება გაამდიდრეთ საინტერესო გამოკვლევებით" — სწერს მას საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დავით ჩხიკვიშვილი, საქართველოს სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

ვუსურვებთ ცნობილ მეცნიერს, აღმზრდელსა და საზოგადო მოღვაწეს პროფესორ ნიკოლოზ ქორთუას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ცხოვრების ნათელ გზაზე.

დავით გოგოჭური.

# სოფელი გვიხმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახუნაო გეგეჭკორის რაიონის ცენტრიდან ჩრდილოეთით ოთხ, ხუთ კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, სოფელი შეფენილია მთის ლამაზ და წარმტაც კალთებზე. ძველად იგი უგზოობის გამო მიუვალი, თითქმის მოწყვეტილი იყო რაიონის ცენტრს. მარტვილსა და ბანძის ბაზარში ხალხი ფეხით, ურმით, ცხენითა და ჯორით დადიოდა.

აი, ამ სოფლიდან იყვნენ ექიმები — ძმები ცანავები, რომლებმაც უმაღლესი სამედიცინო განათლება რუსეთში მიიღეს და შემდეგ თავიანთ მამაპაპეულ კერას მიაშურეს. ნახუნაოში ააშენეს ლამაზი ოდასახლი და თავის პროფესიასთან ერთად სოფლის მეურნეობასაც მოჰკიდეს ხელი.

ბედნიერი იყო ჩვენი პატარა სოფელი, აბა წარმოიდგინეთ ერთ პატარა სოფელში ორი გამოჩენილი ექიმი, მაშინ, როცა იმ დროს სენაკის მაზრაში ექიმი თითზე ჩამოსათვლელი იყო.

კარგად მახსოვს ექიმ იასონ ცანავას ნათელი, მშვიდი და ლამაზი სახე. ერთხელ უფროსი ძმა ავად გამიხდა.

ღამეა, წვიმს, მამამ კოჭობში ნავთი ჩაასხა, პატრუქი ამოსწია, რათა ქარს შუქი არ ჩაექრო და ექიმის მოსაყვანად წავიდა. მალე ექიმი მოვიდა, ავადმყოფი გასინჯა და შემდეგ დედა დაარიგა:

— ქრისტინე, ეს წამალი ავადმყოფს რძით დაალევინე, ეს კი — წყლით. ნუ გეშინია, შენი შვილი ერთ კვირაში ფეხზე წამოდგებაო.

დღესაც კარგად მახსოვს 60 წლის წინათ წარმოთქმული თბილი და იმედიანი სიტყვები ექიმისა.

თქვენ წარმოიდგინეთ, საოცარია, მაგრამ სინამდვილეა — დღეს სოფელ ნახუნაოს თავისი მკვიდრი ექიმი არა ჰყავს, იმ დროს, როცა ჩემმა არა ერთმა თანასოფლელმა დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი.

ეს წერილი ერთი შემთხვევის გამო დავწერე.

არც ისე დიდი ხნის წინათ რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა ჩემი ახალგაზრდა თანასოფლელი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაემთავრებინა, შორეულ ქალაქში დაუწყია მუშაობა, საუბარში გავიხსენე ექიმები, ძმები ცანავები, რომლებიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე თავდადებით ემსახურებოდნენ მშობლიურ სოფელს.

— მეც მსმენია მათი ამბავი, — მითხრა თანასოფლელმა, — მათ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არ სჭირდებოდათ საგზურები, სადაც თვითონ მოისურვებდნენ, იქ დაიწყებდნენ მუშაობას. მეც ჩემ სოფელში გავემგზავრე სამუშაოდ, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ რამდენიმე წელიწადი მალოდინა. აბა ეს საქმეა? ჩემი დაც ასე ეწვალა. ხელი თუ არ შეგვიწყეს, მარტო ჩვენი სურვილი არ კმარა.

— თავი არ გამოგიდვიათ, თორემ ყველაფერი მოგვარდებოდა, — არ დავუთმე და ახლა ის მოვაგონე, ერთმა ჩვენებურმა ინჟინერმა სოფელი რომ მიატოვა და სხვაგან დაიწყო მუშაობა, იმას ვიღამ შეუშალა ხელი-მეთქი.

— ამ ორიოდე თვის წინათ ნახუნაოში ვიყავი, — განვაგრძე ისევ, — შევხვდი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მავლინა ჩხეტიას, იგი ნიჭიერი, ენერგიული მუშაკია, მონდომებული და დაინტერესებული, რომ კოლმეურნეობა ეკონომიკურად წინ წავიდეს და ხალხი კმაყოფილი იყოს, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდება, თუ მას ხელი არ შეუწყვეთ და გვერდში არ ამოვუდექით ყოველგვარ საქმეში.

მართლაც გამრჯე ხალხის წყალობით ბევრი ჩვენი სოფელი თავისი კეთილმოწყობით, სილამაზითა და სიმშვენიერით ქალაქს დაემსგავსა. მოასფალტებულია გზები, გაჩახჩახებულია ელექტრონათურებით, აშენებულია ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მუშაობს ჯანმრთელობის პუნქტები, დაჰქრის სასწრაფო დახმარების მანქანები. მუშაობს რადიო, კინოთეატრი, ფოსტა-ტელეგრაფი, სავაჭრო მაღაზიები, დეკორატიულად არის გაფორმებული სკვერები, ბაღები...

დიახ, დღეს ჩვენი სოფელი კოხტაა და ლამაზი, მას ატყვია გამრჯე ადამიანის მოსიყვარულე ხელი. გული სიხარულით გევსება როცა ხედავ ასეთი მოვლითა და ზრუნვით აყვავებულ კარ-მიდამოებს.

მშვენიერია ნახუნაო, მაგრამ ვინც სოფლიდან წამოვა უმაღლესი განათლების მისაღებად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ უბრუნდება მამაპაპისეულ კერას.

სოფელს დღეს უფრო მეტად სჭირდებიან იასონ და გიგო ცანავების მსგავსი ექიმები, მათსავით მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეყვარებული სპეციალისტები. ეს უნდა ახსოვდეს ჩვენს ახალგაზრდობას.

ალექსანდრე სიგუა.



# ქალის ჩანთა

**იროდიონ ქავჟარაძე**

მოთხრობის ავტორს — მწერალ იროდიონ ქავჟარაძეს დაბადების 90 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მისალმება გაუგზავნა იუბილარს:

თითქმის შვიდი ათეული წელია, რაც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევით. თქვენი პირველი მოთხრობა „დამზრალი სიცოცხლე“ 1915 წელს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ცხოვრებისეული სიბრძნითა და დიდი ადამიანური სიმართლით გამსჭვალული თქვენი პროზაული კრებულები — „ადამ და ევა“, „ერმილე ბაბუა“, „შაქრულა“ გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა. ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობა.

ძვირფასო იროდიონ! თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები კიდევ ერთხელ მოგესალმებიან, გისურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ლამარა ტელეფონით ელაპარაკებოდა მირიანს. საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა...

— შემთხვევით წავაწყდი ქალის ჩანთას. არც ძვირი ღირს... ას ოცდასამ მანეთად. სანამ უნდა ვიარო მოდიდან გამოსული ჩანთით?! რას დუმხარ? ახლავე გამოდი... არ მალოდინო... კიდევ დუმხარ? თუმცა დუმილი თანხმობის ნიშანია... საათში გიცდი! — სხაპასხუპით ლაპარაკობდა ლამარა.

ის-ის იყო მირიანს პასუხი უნდა გაეცა, რომ ტელეფონი გამოითიშა. მირიანმა ხმა ველარ ამოიღო, რადგან გვერდით თანამშრომლები იყვნენ და არ უნდოდა, ოჯახური საიდუმლოება გაემჟღავნებინა.

რამდენი სიხარული მოუტანია მირიანისათვის ტელეფონის ზარის წკრიალს. ეს იყო ორი წლის წინათ, როდესაც მირიანი და ლამარა ერთმანეთს პაემანს უნიშნავდნენ. მათთვის შუა ზამთარშიც თბილი, სასიამოვნო საღამოები იყო...

არც ერთი ისეთი კუთხე არ დარჩენიათ თბილისში უნახავი, სადაც მხოლოდ ბედნიერ წყვილს ჰქონდა უფლება ესეირნა. რამდენს საუბრობდნენ. განშორების წუთი რომ დადგებოდა, თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს ერთმანეთი ეს-ეს არის ნახესო.

ლამარა და მირიანი ერთმანეთს ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს შეხვდნენ. მაგრამ მათი ნაცნობობა ხანმოკლე გამოდგა. მირიანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გაიწვიეს. ლამარამ კი უნივერსიტეტი დაამთავრა და იმდენად „იყოჩაღა“, როგორც თვითონ ამბობდა, რომ რაიონში სამუშაოდ არ წასულა და თბილისში უსაქმოდ ატარებდა დროს.

ომგადახდილმა მირიანმა სწავლა განაგრძო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, დაუსწრებელ სექტორზე. ერთ-ერთ სამეცნიერო ინსტიტუტში მოლარედ მოეწყო. ეს შედარებით მარტივი სამუშაო მეცადინეობის საშუალებას აძლევდა. ყოველ თავისუფალ წუთს იყენებდა მირიანი, ბანკში თავის ჯერს ელოდა, თუ სადმე სხვაგან იმყოფებოდა, ხელში სულ წიგნი ეჭირა და კითხულობდა. მაგრამ არცთუ ისე წყნარი გამოდგა ეს სამსახური. ლამარა რაიმეს ყიდვას რომ აიხირებდა, ანგარიშს არაფერს უწევდა, ჰქონდა თუ არა მირიანს ფული, ეტყოდა:

— აიღე ორი-სამი დღით სალაროდან ფული... ასეთ საქონელს მერე ვერსად ვიშოვით!

მირიანი დიდ წინააღმდეგობას უწევდა ცოლს, მაგრამ შეტევა თანდათან ძლიერდებოდა. ისმოდა გამუდმებული წუწუნი, იღვრებოდა ცრემლი:

— მიიხედ-მოიხედე, სხვებს როგორი გამოწყობილი ჰყავთ ცოლები. დაგავიწყდა, რას მპირდებოდი: ისე გამოგაწყობ, შენსავით მორთული ქალაქში არავინ დადიოდესო.

მირიანი ამშვიდებდა ცოლს: სწავლას დავამთავრებ და დაპირებას შეგისრულებო, მაგრამ ლამარას დარწმუნება ძნელი იყო. ხანდახან რაიმეს რომ აიჩემებდა და ვერ შეისრულებდა, ოჯახში ვერ ჩერდებოდა კაცი.

დღეს ჩანთა აიჩემა, ახალი მოდის ჩანთა. მირიანი გრძნობდა, რა შავი დღე დაადგებოდა, ლამარასთან შესახვედრად თუ არ წავიდოდა. გუშინაც აწყენინა, დასთან ვერ წაჰყვა, სასტუმროდ არ ეცალა, სამეცადინო ჰქონდა. ამ დილას ერთმანეთისათვის სიტყვა არ უთქვამთ, მირიანი ისე წავიდა სამსახურში. ხელფასის მიღებამდე ორი-სამი დღე დარჩა. უნდა გაებედა და სამნეო ხარჯებისთვის განკუთვნილი თანხიდან ფული აეღო. ას ორმოცდაათი მანეთი გადათვალა. გადადო. მირიანი თავს ისე გრძნობდა, თითქოს ვინმეს ჯიბეში ხელი ჩაეყო. სახეზე ცეცხლი მოედო. შენიშნეს, ხელში ხელი სტაცეს... დაიღუპა... ჩანთისთვის.

„რა სისულელეა! — გაიფიქრა, პირველად ხომ არ ამიღია. ხელფასიდან დავფარავ“.

მირიანი თამამად შეხვდა ლამარას. მაღაზიისაკენ გაეშურნენ. ქალის ჩანთა შეიძინეს. ლამარამ მოდიდან გამოსული ჩანთიდან ახალშეძენილში გადააწყო თავისი ნივთები. ქაღალდში გახვეული ძველი ჩანთა მირიანს მიაჩეჩა ხელში:

— მანიკურის გასაკეთებლად მივდივარ, თან სად ვატარიო.

ლამარა კოპწია რხევით გაუყვა გზას. მალი-მალ დახედავდა ახალ ჩანთას. მირიანმა თვალი გააყოლა მიმავალ ცოლს და გაიფიქრა: „რა პატარა რამ ახარებს და სწყინს ქალებს!“ კმაყოფილმა, რომ ცოლის გული მოიგო, სამსახურს მიაშურა. დარჩენილი ფული სალაროში შეინახა და ძველი ჩანთაც იქვე დააბინავა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ საბანკის თანამშრომელი მოვიდა სალაროს ნაშთის შესამოწმებლად.

ეს იყო დარბაისელი, შეჭაღარავებული [illegible] ღიმილით მოუსმინა მირიანს, რამდენჯერაც არ შეუმოწმებია მისი სალარო, არც ერთხელ დანაკლისი არ აღმოუჩენია. რასაკვირველია, სასიამოვნო იყო, ასეთი სალაროს შემოწმება.

მირიანს სიმწრის ოფლმა დაასხა. რევიზორმა სალარო დალუქა და ბუღალტერთან წავიდა სალაროს ნაშთის ცნობისათვის.

ბუღალტერის თანდასწრებით სალარო გახსნეს. ფული დაითვალეს. აღმოჩნდა დანაკლისი ას ოცდასამი მანეთი და 60 კაპიკი. რევიზორისათვის ეს მოულოდნელი იყო.

— იქნებ სადმე ქაღალდებში გაგებნა. კარგად მოვნახოთ, — ამბობს რევიზორი. სათითაოდ გადაფურცლეს ყოველი ქაღალდი.

— ეს შეხვეული რა არის? — იკითხა რევიზორმა.

მირიანმა სიტყვა ვერ მოაბრუნა, ფერი დაკარგა.

რევიზორმა შეხვეული გახსნა. ხელში ლამარას ძველი ჩანთა შერჩა. იქვე ნახა ახალი ჩანთის იარლიყი, რომელზედაც ფასი ეწერა — 123 მან. და 60 კაპ.

რევიზორისათვის ყველაფერი ნათელი გახდა.

დაენანა მირიანი, მაგრამ რას იზამდა! დანაკლისზე აქტი უნდა შეედგინა, რასაც, რასაკვირველია, მირიანის სამსახურიდან მოხსნა მოჰყვებოდა. შეიძლება, პასუხისგებაშიც მიეცათ.

მირიანი იდგა გარინდული. ამ დროს ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა.

— მირიან, ტელეფონთან გთხოვენ!

მირიანმა მილაკი უგულოდ აიღო. მოისმა ლამარას აჩქარებული ლაპარაკი.

— რა შევცდით, ეს ჩანთა რომ ვიყიდეთ! მაღაზიაში, სადაც ახლა ვარ, სრულიად ახალი მოდის ჩანთა მიუღიათ. ამ ჩანთას გავყიდი, ან ვინმეს ვაჩუქებ. წამოიღე სასწრაფოდ ას ორმოცი მანეთი, თუ ამწუთაში არ მოხვედი, ჩანთა გათავდება, დავიღუპები!

# ბუნების წიაღში



# დედის გულის მფარველნი

აფრიკაში, სერენგეტის ნაკრძალში, აქაური ბუნების თავგამოდებული დამცველების, მამა-შვილ ბერნჰარდ და მიხაელ გრჟიმეკების თვალწინ საინტერესო რამ მოხდა. ანტილოპა გნუს საკმაოდ დიდი ჯოგი უკიდეგანო სავანეში მიქროდა. ჯოგის შუაგულში აქეთ-იქით აწყდებოდა ფრთებშემართული ქოჩორა პრანწია. ცოტაც და ფრინველი სულ დაიკარგა ცხოველთა ჩლიქებისაგან ავარდნილი მტვრის ღრუბელში. გრიგალივით მოვარდნილმა ჯოგმა ჩაიქროლა. მტვერში ამოგანგლული ფრინველი საცოდავი შესახედავი იყო. როცა მტვერი დაიწმინდა, გამოირკვა, რომ პრანწია ორ უმწეო ბარტყს იცავდა ჩლიქებისაგან.

მშობლიური ინსტიქტი მაგიური ძალაა. ამ ინსტიქტით შეიარაღებული კრუხი მძვინვარე მტაცებელს — ქორს არ ეპუება. მსგავსი მაგალითები ცხოველთა სამყაროში უამრავია.

ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი აირა პროგოვი დაასკვნის, რომ ცხოველთა მშობლიურ ინსტიქტს აქვს არა მარტო საკუთარი შვილის გადარჩენის დანიშნულება, არამედ პირველ რიგში, თავისი სახეობის არსებობის შენარჩუნებაც.

ჩვენი საუკუნის გამოჩენილი ბიოლოგი ერნსტ მაირიც თვლის, რომ შთამომავლობაზე ზრუნვას დიდი ევოლუციური მნიშვნელობა აქვს ცხოველთა ამა თუ იმ სახეობის შენარჩუნებისათვის.

ბუნებაში თავისებური კანონზომიერება არსებობს: გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან ცუდად დაცული ცხოველები გაცილებით ხშირად მრავლდებიან და მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ჰყავთ. განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას ცხოველი, ე. ი. რაც უფრო კარგად არის შეგუებული გარემო პირობებთან, მით უფრო მცირერიცხოვანია მისი შთამომავლობა.

თევზები ამ ევოლუციური კიბის შუა საფეხურზე დგანან. მათ შორის ყველაზე ერთგული მშობლები ორაგულები არიან. ისინი ზღვების, ოკეანის გავლით, რამდენიმე ათასი კილომეტრის გადალახვით აღწევენ იმ მდინარეს, საიდანაც ზღვის ტალღებს მისცეს თავი. შემდეგ მიაგნებენ „საკუთარ" პატარა მდინარეს და იმ მშობლიურ ღელე-ნაკადულსაც კი, სადაც ოდესღაც თვითონვე იხილეს დღის სინათლე. ნამგზავრი ორაგულები ღელის ამ ნაკადულის ფსკერზე ჩაღრმავდებიან, ფარფლებითა და ბოლოებით ღრმულს ამოთხრიან, მდედრი ყრის ქვირითს, ხოლო მამრი დაუყოვნებლივ ანაყოფიერებს მას. ამ პროცესის დამთავრებისთანავე ორივე მშობელი აფარებს ქვირითს მათ მიერვე ამოთხრილ გრუნტს. აქ, ჰაერით მდიდარ და მტრის თვალისაგან კარგად დაცულ ადგილას, ქვირითი რჩება ახალი თაობის გამოჩეკამდე.

ტოფობის შემდეგ ორაგულს უცნაური რამ ემართება: იგი მოულოდნელად კარგავს ინტერესს სიცოცხლისადმი — ჯერ ცოტას ჭამს, შემდეგ საერთოდ ანებებს თავს ჭამას. ნაქვირითალი, დაოსებული თევზი უკან, ზღვისაკენ ფაქტიურად წყლის დინებას მიაქვს. ძალაგამოლეულ ორაგულს მთის გიჟმაჟი მდინარე ანარცხებს ქვებსა და ლოდებს, დასუსტებული ხშირად იღუპება, ანდა მტაცებლისა და ბრაკონიერის მსხვერპლი ხდება. თუ გაუმართლებს და ზღვის სივრცეებში ამოყოფს თავს, თევზი დროთა განმავლობაში აღიდგენს დაკარგულ ძალას და, შესაძლებელია, ერთხელ კიდევ დაუბრუნდეს მშობლიურ მდინარეს.

ცნობილი ფაქტია: განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება ცხოველი, მით უფრო კარგი მშობელია. მაგრამ არსებობს გამონაკლისი: გველები თევზებზე განვითარებული არსებები არიან, მაგრამ ზოგიერთი სახეობის თევზის შედარება გველებთან შეუძლებელია. ამ უკანასკნელთ სრულიად არ ედარდებათ მომავალი თაობის ბედი.

სულ სხვაა პითონი. მდედრი პითონი სიგრძით ცხრა მეტრს აღწევს, ხოლო ფოლადზე ძლიერ მის სხეულს ძალუძს ადვილად მოახრჩოს ხარი. ეს უზარმაზარი მასა საოცარი სიმსუბუქით დაეხვევა ხოლმე რგოლებად კვერცხებს და ასე იწყებს კრუხობას. იგი გაუნძრევლად წევს, წუთითაც არ ტოვებს კვერცხებს. კრუხობისას ცხოველის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურაზე უფრო მაღლა იწევს, ასე უვლის მდედრი პითონი 30-40 კვერცხს. გამოჩეკილი წიწილები გარკვეულ ხანს ისევ დედის მზრუნველობის ქვეშ არიან.

განსაკუთრებით მზრუნველი მშობლები არიან ფრინველები, ფრთოსნები, განურჩევლად სქესისა, უდიდეს სასიცოცხლო ენერგიას ხარჯავენ ბარტყებზე და ხშირად თავსაც ანაცვალებენ მათ. ასეთივე დიდ დროს უთმობენ შთამომავლობის გაზრდას ძუძუმწოვრები — კვებავენ მოზარდებს, იცავენ მტრისაგან, ასწავლიან საშიშროებისაგან თავდაცვის ათასგვარ ხერხს... ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა შეთვისება ხდება დედასთან, ზოგჯერ მამასთანაც, ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობით.

ცხოველებში მშობლებს, განსაკუთრებით დედასა და მოზარდ თაობას შორის ახლო ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დღეს ეს ექსპერიმენტულადაც არის დადასტურებული.

ამ თვალსაზრისით უმაღლეს მაიმუნებზე ანუ პრიმატებზე კლასიკური ცდები ჩაატარეს ჰარი ჰარლოუსმა და მარგარეტ ჰარლოუსმა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ვისკონსონის უნივერსიტეტი). მშობლიური სითბოს როლის დადგენის მიზნით მეცნიერებმა მაიმუნთა ჯოგი ორ ჯგუფად გაყვეს. ერთ ჯგუფში ახლადშობილები მშობლებთან იზრდებოდნენ, მეორე, იზოლირებული ჯგუფის პატარები კი — ხელოვნურ დედებთან, მანეკენებთან. ექსპერიმენტატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მანეკენები გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდნენ მშობლებისაგან, ე. ი. ცოცხალი მაიმუნის ზომისანი იყვნენ, ჰქონდათ იმავე სიგრძის ბეწვი, იგივე ტემპერატურა, ხოლო მკერდში ჩადგმული ჰქონდათ რძით სავსე წყვილი საწოვარა. მეცნიერთა დაკვირვებებით პატარა მაიმუნები დიდ ინტერესს იჩენდნენ ხელოვნური დედებისადმი.

როდესაც ასეთ გარემოში მყოფი მაიმუნები წამოიზარდნენ, გარეგნულად მშობლებთან გაზრდილი თანამოძმეებისაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ უდედოდ გაზრდილი ორმოცდათხუთმეტი მაიმუნიდან უმრავლესობამ ვერ მიაღწია სქესობრივ სიმწიფეს, მათგან მხოლოდ ოთხი გახდა მშობელი. მაგრამ ვაი ასეთ მშობლობას! მდედრები თითქმის არ ცნობდნენ თავიანთ შთამომავლობას — ან სრულებით არ იკარებდნენ ახლოს, ანდა იმდენად მტრულად და უდიერად ექცეოდნენ, რომ მკვლევარები იძულებულნი გახდნენ, მათთვის მოეშორებინათ ახალშობილები.

ამასთანავე უკლებლივ ყველა მაიმუნი ამჟღავნებდა ნევროპათიისა და ფსიქოზის ნიშნებს. აპათიურნი და სივრცეს გულგრილად მიშტერებულნი, ხშირად ამოჩემებულ ადგილს არ შორდებოდნენ და ასე ულიმლამოდ ატარებდნენ დროს. ისინი გულგრილნი იყვნენ ყველასა და ყველაფრისადმი.

განსხვავებით „მანეკენი" მშობლების შვილებისაგან, მეორე ჯგუფში გაზრდილი მაიმუნები ყოველმხრივ — ფიზიოლოგიურადაც და ფსიქიკურადაც ჯანმრთელნი იყვნენ.

ექსპერიმენტიდან ნათლად ჩანს მშობლის და, უპირველეს ყოვლისა, დედის სიახლოვის აუცილებლობა ფიზიკურად და ფსიქიკურად სრულყოფილი შთამომავლობის ჩამოყალიბებისათვის, განსაკუთრებით ნაშიერთა ზრდის საწყის ეტაპზე.

ბუნებრივ პირობებში „დედის კალთას" მოშორებული ცხოველის ნაშიერი იშვიათად გადარჩება ხოლმე. დღემდე უცნობია, თუ რა მოსდის პატარას, რომელმაც ვერ მოასწრო დედის მხრივ თუნდაც სულ მცირე მშობლიური სითბოსა და ალერსის მიღება. საქმეში ჩახედული ადამიანები — ტრაპერები, მონადირეები, ნატურალისტები თვლიან, რომ თუ გადარჩა, სიმწიფის ხანაში სწორედ ასეთი ცხოველი შეიძლება გადაიქცეს იმ „მგელ-განდეგილად", რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მძვინვარებითა და სისხლის სიყვარულით.

**არნოლდ გეგეჭკორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის მესამე გუნდი

ლანჩხუთის რაიონი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ტრადიციული კუთხეა.

ფოთში, როგორც ცნობილია, ინგლისელი მეზღვაურების მეოხებით, სწრაფად გავრცელდა ფეხბურთის თამაში. ფოთთან სიახლოვემ ხელი შეუწყო ლანჩხუთის რაიონში ფეხბურთის გავრცელებას.

აქაურ ხანდაზმულ ადამიანებს დღესაც ახსოვთ, ქართული ფეხბურთის გარიჟრაჟზე, ლანჩხუთში თავის მეგობრებთან ერთად როგორ ჩამოდიოდა ბორის პაიჭაძე.

ლანჩხუთის რაიონში დაიბადა ქართული ფეხბურთის დიდი მოამაგე ანდრო ჟორდანია. აქაური გახლდათ ცნობილი მწვრთნელი და მსაჯი ოტია ჟორდანია. ფეხბურთის ფართო ასპარეზზე გასასვლელად აქ აიდგეს ფეხი ილია დათუნაშვილმა, რევაზ ურუშაძემ, ზაურ ებრალიძემ, გიორგი თავაძემ, თეიმურაზ ჩხაიძემ, გიგლა იმნაძემ, ვახტანგ ძიძიგურმა, ლევან ჟორდანიამ...

ასეთ გათვითცნობიერებულ, ობიექტურ, თავის გუნდზე შეყვარებულ მაყურებელს არცთუ ხშირად შეხვდებით სადმე.

ეს გათვითცნობიერება, საყვარელი გუნდის თავგამოდებული ქომაგობა და ობიექტურობა არაერთხელ აღუნიშნავთ ჩამოსულ მსაჯებს, მატჩების კომისრებს, სხვადასხვა გუნდის ფეხბურთელებსა თუ სტუმრებს...

აქაურმა კოლმეურნეებმა, მუშამოსამსახურეებმა, მოსწავლეებმა, დიასახლისებმაც კი ზედმიწევნით ზუსტად იციან პირველ ლიგაში შექმნილი სიტუაცია, მოსალოდნელი პროგნოზები, ჩატარებული თუ მომდევნო მატჩების ზუსტი კალენდარული გრაფიკი.

ისიც დაწვრილებით იციან — რა უჭირს და ულხინს თავიანთ საყვარელ გუნდს „გურიას“.

როცა „გურია“ თამაშობს, ადგილობრივ სტადიონზე ტევა არ არის. ყოველი კუთხიდან იძვრება გულშემატკივართა ნაკადი. მოდიან მეზობელ სოფლებიდან, ქობულეთიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, მოდიან, რომ გუნდი გაამხნეონ, ძალა შემატონ, გულშემატკივრობა გაუწიონ.

რესპუბლიკის მესამე გუნდის ისტორია 1952 წლიდან იწყება.

ჟურნალისტის, ფეხბურთის დიდი ტრფიალისა და ქომაგის, რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ევგრაფი შევარდნაძის აქტიური თაოსნობით, ლანჩხუთში შეიქმნა საფეხბურთო გუნდი „კოლმეურნე“. სწორედ „კოლმეურნე“ გახდა დღევანდელი „გურიის“ წინამორბედი.

გუნდი საქართველოს პირველობის მესამე ჯგუფში ჩარიცხეს. მწვრთნელად ლენინგრადის „ზენიტის“ ყოფილი ფეხბურთელი გივი იმნაიშვილი მიიწვიეს. მან აქ სამი წელი იმუშავა, გუნდი საქართველოს პირველობის გათამაშების II ჯგუფში გადაიყვანა და მწვრთნელის ესტაფეტა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის ყოფილ მოთამაშეს ლადო ნარიმანიძეს გადასცა.

ლადო ნარიმანიძის მწვრთნელობის დროს, გუნდმა უფლება მოიპოვა, საქართველოს პირველობის I ჯგუფში ეთამაშა. გუნდის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ცნობილმა ფეხბურთელებმა ვიქტორ ბერეჟნოიმ და ბორის ჩიტაიამ.

რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის თაოსნობით გუნდში მალე მწვრთნელად მიიწვიეს ნიჭიერი ფეხბურთელი, რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ყოფილი კაპიტანი შალვა კაკაბაძე.

იგი გუნდს 1958–1979 წლებში ედგა სათავეში. ეს იყო შემდგომი ამაღლობის და წინსვლის წლები. „გურია“ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, სამჯერ დაეუფლა რესპუბლიკის საფეხბურთო თასს, სამჯერ შოთა შავგულიძის სახელობის თასი მოიპოვა. გუნდის დიდი წარმატება იყო საკავშირო შეჯიბრების „ბ“ კლასში მონაწილეობის უფლების მოპოვება.

1979 წელს სანუკვარი ოცნება ახდა — „გურიამ“ საკავშირო გათამაშების II ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და პირველი ლიგის ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

გუნდის წარმატებაში შალვა კაკაბაძესთან ერთად თავიანთი წვლილი შეიტანეს გუნდის უფროსებმა იური ებრალიძემ, გულსუნდა დუნდუამ, მწვრთნელებმა იოსებ ჟორდანიამ, ბეგი სიხარულიძემ...

„გურია“ დიდ საფეხბურთო არენაზე გაეიდა.

ხომ გახსოვთ?

1980 წელს „გურიამ“ მოასპარეზე 24 გუნდს შორის მეთერთმეტე ადგილი დაიკავა და ქუთაისის „ტორპედოს“ დროებით წაართვა რესპუბლიკის მეორე გუნდის სახელი.

გუნდის ოსტატობის ამაღლებაში, სტრატეგიისა და ტაქტიკის დახვეწაში, ფიზიკური მომზადების სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანეს ალექსანდრე კოტრიკაძემ და ჩვენმა სასიქადულო ფეხბურთელმა მურთაზ ხურცილავამ.

მომდევნო წლები გუნდისთვის წარუმატებელი გამოდგა. ხარვეზი თანდათან გაღრმავდა. ლანჩხუთის „გურია“ პირველი ლიგის დატოვების რეალური საშიშროების წინაშე დადგა.

შექმნილ რთულ სიტუაციაში ყველა ერთხმად დაირაზმა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონის დასაწყისში, „გურიის“ მწვრთნელად კვლავ გამოცდილი სპეციალისტი შალვა კაკაბაძე მოიწვიეს. გუნდი ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეებით დაკომპლექტდა.

ჩვენ საშუალება მოგვეცა ლანჩხუთში ჩატარებულ რამდენიმე მატჩს დავსწრებოდით.

„გურია“ იმედიანად გამოიყურება. იგრძნობა შეკრული, ერთსულოვანი კოლექტივი. ბიჭები ბრძოლის ჟინით და რწმენით ძრიან აღსავსენი.

აი ისინი: მეკარეები გ. იმნაძე, ნ. მესხია; მცველები გ. გილიგაშვილი, მ. გოგოხია, ბ. ლომინაძე, დ. სანიკიძე, შ. სომხიშვილი, მ. თევზაძე, მ. ხურცილავა, თ. ცნობილაძე, ნახევარმცველები გ. ვერულაშვილი, ნ. კიკნაძე, ი. ციპლე, რ. ცხოვრებაშვილი, თ. ჩხაიძე, თ. ებანოიძე; თავდამსხმელები მ. აკოფიანი, ბ. ფრიდონაშვილი, მ. სარჯველაძე, ა. ტყეშელაშვილი, მ. უგრელიძე..

გუნდის კაპიტანია თ. ჩხაიძე, გუნდის უფროსი გ. დუნდუა, მწვრთნელი ბ. სიხარულიძე.

— ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადებისა და ოსტატობის ასამაღლებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, — გვითხრა უფროსმა მწვრთნელმა შალვა კაკაბაძემ, — დიდ იმედს ვამყარებთ ჩვენს რაიონში ახლახან გახსნილ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საფეხბურთო სკოლაზე. ამ სპორტულ სკოლაში ამჟამად 250 ბავშვი ეუფლება ტყავის ბურთის ხელოვნებას. სკოლა მალე ალბათ ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი და რეზერვი გახდება... რესპუბლიკის მესამე გუნდის, თუნდაც, საინტერესო მატჩებზე რადიოგადაცემაც კი არ ეწყობა. ურიგო არ იქნება, ტელესტუდიამ ზოგიერთი პრინციპული მატჩის ვიდეოჩანაწერი გააკეთოს.— ამით, დამერწმუნეთ, ფეხბურთელებიცა და გულშემატკივრებიც დიდად კმაყოფილნი დარჩებიან, მეტი ხალისი, ძალა და მონდომება შეემატება ბიჭების თამაშს.

მწვრთნელი შეჩერდა და დასძინა:

— ვიცი, მკითხავთ და დაგასწრებთ: ჩვენი უპირველესი ამოცანაა, წელს პირველ ლიგაში დავრჩეთ, ოსტატობა ავიმაღლოთ, პოზიცია გავიმტკიცოთ და მომავალი წინსვლისთვის მოვემზადოთ...

**დავით ღოღობერიძე**

# საყურადღებო, სახალისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ექვსი ფოტოსურათი

შექსიკაში ვირების და ჯორების მეპატრონეები მოვალენი არიან იცოდნენ საგზაო მოძრაობის წესები.

ისინი გამოცდას აბარებენ კომისიას გამოცდაზე დასაშვებად. წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს ექვსი ფოტოსურათი: ოთხი — მეპატრონისა და ორი — სახედრისა ან ჯორისა.

### დრო უკან მიდის

შვეიცარიის ქალაქ რომანსხორნის ერთ-ერთ რესტორანში კედელზე ჰკიდია უცნაური საათი.

ამ საათის ციფერბლატზე რიცხვები უკუსვლით არის განლაგებული — იწყება თორმეტით და მთავრდება ერთით.

მუშტრები კმაყოფილნი არიან დროის უკან სვლით: უმრავლესობას ღიმილს გვრის, რომ რესტორანში შემოსვლის დროზე ადრე მიდის შინ, ზოგსართობს დროის უკან სვლა, ზოგი არეულ-დარეულ საათზე ყურადღებას აღარ აქცევს დროს და ამით კმაყოფილი რჩება...

### მომგებიანი პროფესია

ცნობილ ავსტრიელ ფსიქოლოგს ჰ. რევესას მიაჩნია, რომ ჯანმრთელობის ხანგრძლივი დაცვისათვის ყველაზე კარგი პროფესიაა — დირიჟორობა.

ხნავლული ირწმუნება — ემოციური დაძაბულობის ფიზიკურ დატვირთვასთან შერწყმა, რომელიც ნიშანდობლივია ამ პროფესიისათვის, დირიჟორს ეხმარება ჯანმრთელობა შეინარჩუნოს და ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლოს.

ალსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას მთელი რიგი სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

### მოლაპარაკე წერილები

შვეიცარიაში დაიწყეს ე. წ. მოლაპარაკე წერილების გამოშვება.

მსურველს შეუძლია, ყოველ საფოსტო განყოფილებაში შეიძინოს მაგნიტოფონის საგანგებო ციცქნა კასეტა, ფირზე ჩაწეროს ტექსტი, ჩადოს კონვერტში და ადრესატს გაუგზავნოს.

საფოსტო განყოფილებების მაგნიტოფონებზე ტექსტის ჩაწერის გარდა, მიღებული წერილის მოსმენაც შეიძლება.

### საოცარია, მაგრამ ფაქტია

საუდის არაბეთში, რომლის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ქვიშით არის დაფარული, ჰოლანდიიდან შეაქვთ... ქვიშა.

საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი ქვიშა უვარგისია სასმელი წყლის გაფილტვრისათვის, რომელიც ესოდენ აუცილებელია აქაური ამლევრეული წყლებისათვის.

### უძველესი კოცონი

როდის გამოიყენა ადამიანმა ცეცხლი? ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

აფრიკაში, ვიქტორიას ტბის რაიონში, ამას წინათ აღმოაჩინეს უძველესი ხანის კოცონის ნაშთები.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს კოცონი ადამიანმა დაანთო 1.400.000 წლის წინათ.

კოცონის მახლობლად სხვადასხვა ცხოველის ძვლები და ქვის იარაღი იპოვეს.

## სხვადასხვა მერიდიანზე

იტალიის საავტომობილო ფირმის „ფიატის" დამპროექტებლებმა უკვე დაიწყეს XXI საუკუნის მსუბუქი მანქანების ნახაზების შედგენა.

მომავალი საუკუნის მანქანა უფრო კომფორტულია. მისი სალონი ადვილად იშლება და სურვილისამებრ შეიძლება შეიცვალოს.

სალონის ნაწილები მაღაზიებში გაიყიდება.

• • •

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ფინეთის ტერიტორიას 1.100 კვადრატული კილომეტრი შეემატა.

ეს მატება ზღვის გამუდმებულმა უკან დახევამ განაპირობა.

• • •

ერთ-ერთმა დანიელმა ექიმმა ამას წინათ გულდასმით შეისწავლა ავტოავარიები, რომელთა შედეგად 300 ადამიანი დაიღუპა.

გამოირკვა, რომ ავარიების დროს უსაფრთხოების ღვედი მგზავრთა მხოლოდ რამდენიმე პროცენტს ეკეთა. ყოველი დაღუპული სამი მგზავრიდან ორ მგზავრს ღვედი არასწორად ეკეთა.

ექიმს მიაჩნია, რომ დაღუპული 300 კაციდან 54 პროცენტი ადამიანი ცოცხალი დარჩებოდა, ღვედი რომ საიმედოდ ჰქონოდა გაკეთებული.

• • •

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამას წინათ დაიწყეს კბილანებიანი აგურების დამზადება.

მშენებლობის დროს კბილანები ერთმანეთში საიმედოდ ჯდება და მყარ ფენას ქმნის; ასეთი აგურით კედლის ამოყვანას შედარებით ნაკლები ცემენტის ხსნარი სჭირდება; გარდა ამისა, მშენებლობა მნიშვნელოვნად ჩქარდება.

## ცოტა რამ ენებზე

ამას წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოქვეყნდა ლინგვისტური ცნობარი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მსოფლიოში ამჟამად 5.651 ენაა.

აქედან 1.400-მდე ენა ე. წ. მომაკვდავ ენად ითვლება. მომაკვდავი ენების კატეგორიას განეკუთვნება, მაგალითად, 250-მდე ავსტრალიური ენა, რომლებზეც დღეს მხოლოდ 40 ათასამდე ადამიანიღა ლაპარაკობს.

ავსტრალიის მკვიდრნი ძირითადად ინგლისურ ენაზე საუბრობენ.

ბევრი მომაკვდავი ენაა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების 170 ენაზე ამჟამად მხოლოდ ადამიანთა პატარა ჯგუფები საუბრობენ.

4.200 ენიდან, რომლებიც დამოუკიდებელ ენებად არის მიჩნეული, დღემდე მხოლოდ 500-მდე ენაა შესწავლილი 1500 ენა თითქმის შეუსწავლელია.

ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში 130 ენაა. აღსანიშნავია, რომ დაღესტანში 30-მდე ენაა გავრცელებული.

## რეკორდსმენები

ყირგიზეთში, ოშკის შალეულის კომბინატში დღესაც მუშაობს რეკორდსმენი მანქანა — „გაზ-ა", რომელიც 1937 წელს დაამზადეს.

კონვეიერიდან ჩამოსვლის შემდეგ ეს სატვირთო მანქანა ოთხი წელი კიევში მუშაობდა. 1941 წელს იგი გაგზავნეს ფრონტზე, სადაც ეზიდებოდა სურსათს, ჭურვებს, გადაჰყავდა დაჭრილები.

ერთ ფიცხელ ბრძოლაში შოფერი დაიღუპა, ტყვიებით და ყუმბარის ნამსხვრევებით დაცხრილული მანქანა კი ფაშისტებს ჩაუვარდათ ხელთ.

ერთი კვირის შემდეგ საბჭოთა მეომრებმა მანქანა დაიბრუნეს.

დამთავრდა ომი.

„გაზ-ა"-ს რამდენიმე წელი სხვადასხვა აღდგენით სამუშაოებზე იყენებდნენ, 1949 წელს კი ყირგიზეთში ჩაიყვანეს. ამ დღიდან მოყოლებული ამაგდარი მანქანა კვლავაც ერთგულად ემსახურება საქმეს.

ვეტერანმა „გაზ-ა"-მ რამდენიმე მილიონი კილომეტრი გაიარა.

* * *

ალმა-ათელმა სტუდენტმა-ბიოლოგმა ტ. ხვირიდოვმა აყვავებულ ახალგაზრდა ვაშლის ხეზე მხოლოდ რამდენიმე ყვავილი დატოვა.

შემდეგ, თანდათანობით, ისინიც მოაშორა და ხეს მხოლოდ ერთი ყვავილიღა დაუტოვა.

ნაყოფმა სწრაფად დაიწყო ზრდა. წითელი ვაშლი ისე გაიზარდა, ყუნწს რომ არ მოსწყვეტოდა, საგანგებო საბჯენის შედგმა გახდა საჭირო.

როცა ვაშლი დამწიფდა, მოწყვიტეს და აწონეს.

იგი რეკორდსმენი აღმოჩნდა: წითელი ვაშლის წონა 3 კილოგრამს აღემატებოდა.

* * *

რიგელმა ტ. შაბალმა ამას წინათ მისთვის ორი ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნა: 70 წლის შესრულება და 40.000 კილომეტრის გარბენა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გულის ჩხვლეტებით შეწუხებულმა ტ. შაბალმა გადაწყვიტა სპორტისთვის მოეკიდა ხელი.

ექიმების რჩევით მან სირბილი აირჩია.

ტ. შაბალი თანდათან ზრდიდა სირბილის დროს და მალე ნამდვილი მარათონელი გახდა.

ხანდაზმულ სპორტსმენს, რომელმაც რამდენიმე წელიწადში 40.000 კილომეტრი გაირბინა, გულის ჩხვლეტა აღარ აწუხებს და მხნედ გრძნობს თავს.

# კროსვორდი



შვეულად: 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. ელექტროდენის ძაბვის ერთეული; 3. ხელში დასაჭერი ორმილიანი ოპტიკური ხელსაწყო, შორი საგნების კარგად დასანახავად; 4. ნალექი ქანი, ალუმინის საუკეთესო მადანი; 5. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 6. მოწყობილობა შიდაწვის ძრავების ასამოქმედებლად; 12. ორგანიზმის შეუვალობა დაავადების მიმართ; 13. აპარატი, რომლის საშუალებით ხდება ორთქლის გამოცლა გაზიდან; 15. ქიმიური ელემენტი; 16. საშენი მასალა; 20. ვრცელი მიდამოს ხედი; 22. მინერალი, რკინის შპატი; 23. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესის შედეგად; 24. სასვენი ნიშანი; 26. ტომრისებრი დიდი ბადე გემიდან ზღვაში თევზის დასაჭერად; 27. სიგრძის საზომი ძირითადი ერთეული.

თარაზულად: 7. აპარატი, რომელიც სამუშაოს ასრულებს თავისთავად, შიდა მექანიზმის საშუალებით; 8. ერთ-ერთი სამ კოორდინატთაგან, რომელიც განსაზღვრავს: წერტილის მდებარეობას სივრცეში; 9. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 10. მაგარი საწვავი; 11. მდინარე ევროპაში; 14. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 17. თვითმფრინავი, რომელსაც ერთმანეთის ზევით ორი მზიდი ზედაპირი აქვს; 18. სახელმწიფო ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა წარმოებას, ორგანიზაციას ზარალის დასაფარავად; 19. ხელსაწყო, რომელიც რაიმე გარკვეულ მუშაობას ასრულებს; 21. ჰორიზონტალური კოორდინატი კოორდინატთა სწორკუთხა ბრტყელ სისტემაში; 25. სხვადასხვაგვარი ზედაპირიდან აორთქლების საზომი ხელსაწყო; 28. უქოჩრო, გრძელბოლოიანი თუთიყუში; 29. გემის გვერდის კედელი; 30. ქალაქის მიწისქვეშა ელექტრორკინიგზა; 31. უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა; 32. მუქი ლურჯი ფერის მინერალი.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ.

# კროსვორდი



შვეულად: 1. საბუთი; 2. გემის სვლის დროს იალქნის გასაჭიმი, გემსართავი; 3. ძველებური ფრანგული და ესპანური ოქროს ფული; 4. ფრანგი რეჟისორი და თეატრალური მხატვარი; 5. შხამიანი ქვეწარმავალი; 6. ავტორის ხელით შესრულებული საკუთარი ხელმოწერა; 10. საბჭოთა კინორეჟისორი, ავტორი ფილმისა „უმზითვო პატარძალი"; 11. ადგილსამყოფელის დამდგენი ხელსაწყო; 15. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 16. შოკოლადის ხე; 17. საათების დამამზადებელი იაპონური ფირმა; 22. რუსი საბჭოთა მწერალი; 24. ღირსებათა და ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილი საერთო აზრი, შეხედულება; 26. ესპანეთის ერთ-ერთი ისტორიული ოლქი; 27. განსაკუთრებული ნიჭი; 30. პეტერბურგში მოღვაწე იტალიელი კომპოზიტორი; 31. მადრიდის სამხატვრო მუზეუმი.

თარაზულად: 7. X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი; 8. მაღალი წნევის პირობებში წყლის გამაცხელებელი ჰერმეტულად დახურული ლითონის ჭურჭელი; 9. დედამიწის ქერქის ზედა ნაწილი; 12. ევრიპიდეს ტრაგედია; 13. სიგრძის საზომი ერთეული; 14. პატარა ძაღლი; 18. აღმოსავლური სევდიანი სიმღერის კილო; 19. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 20. საზეიმო სვლა, პროცესია; 21. პაერნაოსნობა; 23. გვინეის დედაქალაქი; 25. ამერიკის სახელმწიფო; 28. ბოჭკოვანი ქსოვილი; 29. ერთ-ერთი ისტორიული ოლქი საფრანგეთში; 32. კანონთა დაცვის მეთვალყურე სახელმწიფო ორგანო; 33. მირტისებრთა ოჯახის ხე; 34. მისწრაფება, მიდრეკილება რაიმე დარგში.

შეადგინა ლამარა ქავთარაძემ.

დროშა № 2-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად: 1. ბურიმე; 2. ანტიკვარი; 3. ლოტოსი; 5. ბომბეი; 6 არქივი; 11. თეორემა; 12. იუნკერი; 13. ტანკერი; 14. ინდიუმი; 15. კულტი, 16. ირანი; 19. ბათისფერო; 20. მეთოდი; 22. მერანი; 25. დალაქი; 26. იტალია.

თარაზულად: 4. ილუმინატორი; 7. პოეზია; 8. დომბრა; 9. ერევანი; 10. ათლეტი; 13. „ტავრია"; 15. კორდი; 17. რადიკალი; 18. ბანკნოტი; 21. იმამი; 23. მაზერი; 24. იბერია; 25. დებიუტი; 27. იდეალი; 28. ბანანი; 29. ბაქტერიციდი.

დროშა № 5-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად: 1. მილიონი; 2. თმოგვი; 3. დრამა; 4. იანკი; 5. მანტია; 6. დიორიტი; 10. ამორტიზატორი; 11. ეკონომაიზერი; 14. ნიკოტინი; 16. ტრიპტიქი; 19. ბატალია; 20. არბიტრი; 22. ტრიერი; 24. დრაქმა; 25. ანეტა; 26. ირანი.

თარაზულად: 7. დიამეტრი; 8. რადიაცია; 9. დიაგრამა; 11. ეკვატორი; 12. ამიაკი; 13. ანგინა; 15. სტარტი; 17. კონტრფორსი; 18. ინფაინტინგი; 21. ქარტია; 23. ფიდერი; 25. არხარი; 27. ბარიტონი; 28. ირიგაცია; 29. ჰიდრატი; 30. ენდემური.

გარეკანის პირველ გვერდზე: „ლაშქრობა უფლისციხეზე". ფოტო პ. იუხანოვისა და ბ. დვალიშვილისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე: სოხუმი, დენდროლოგიური პარკი. ფოტო გონდო დადვაძისა.

გადაეცა წარმოებას 21. VI. 83., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. VIII 83. უე 08277. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,99, ტირაჟი 49600 შეკვ. № 1592. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66,
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69,
პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები რსფსრ-ში

ქალაქი ვლადიმირი



საქინფორმის ფოტოქრონიკა.



ინდექსი 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა